

ISSN : 0763 - 7247

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



825  
1992

# გუგაბი

ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო

პარიზი

N° 29

PARIS

ზ ა მ თ ა რ ი

1992

HIVER



„რად მინდა ხმალი, გინდ იყოს მკრეხელი  
 თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდე“

ილია

\*\*\*\*\*

**ბ ე ღ ნ ი ე რ ი**  
**შობა - ახალი წელი!**

*Djorbadze's  
 Library*

134



### ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ

ს. რ. „სახელმწიფო საბჭომ“ და მისმა თავმჯდომარემ დანაქადი „გაიტანეს“. აქ სიტყვა „გაიტანეს“ ზუსტად გამოხატავს არსს: გაიტანეს ისევე, როგორც ბუთი გააქვთ მოწინააღმდეგის კარებში. დემოკრატიულ სამყაროს არ ახსოვს ასეთი საპარლამენტო არჩევნები. ქვეყანა, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფება, დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის, სავანგაშო მდგომარეობასა და საყოველთაო მობილიზაციას აცხადებს და ამ დროს საპარლამენტო არჩევნებს ატარებდეს, ეს ბატონებო, ა ბ ე რ ა ც ი ა ა!

თუ საქ. რესპ. პრეზიდენტობა გინდოდათ, თქვენ გქონდათ ეს ინსტიტუტი, ის არ უნდა გაგეუქმებინათ და უნდა დაგენიშნათ ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, თუარა და თქვენს მიერ წინასწარ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე უპრეცედენტო მაგალითითა და ის მხოლოდ და მხოლოდ თქვენს პოლიტიკურ უმწიფრობას აჩვენებს. თქვენ წინასწარ რა იცოდით, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოიპოვებდა უმრავლესობას პარლამენტში. ეს ამ ძალას უნდა აერჩია, პარლამენტის თავმჯდომარეცა და ემართა ქვეყანაც. ეს შეუსაბამობა არჩევნების ჩატარების თანავე ცხადად დაგანახათ ცხოვრებამ და გაიძულათ, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში შეიარაღებული რაზმი შეგვეყვანათ, თეორიულად მთელი ძალაუფლების მქონე დეპუტატებს ტყვიისმფრქვევლების მუქარის ქვეშ მიეცათ ხმა ამა თუ იმ წინადადებაზე.

სახ. საბჭოს დროებითი ხელისუფლება, არამც თუ ხელს არ გვიწყობდა, რომ პოლიტიკური ამბების კურსში ვყოფილიყავით სამშობლოს გარეთ მცხოვრები ქართველები, არამედ შთაბეჭდილება გვრჩება, რომ თითქოს ის განგებ გვიქმნიდეს ასეთ სიბნელეს. საბოლოოდ სიმართლე არ დაიმალება, ყველაფერი გაირკვევა, მანამდე კი, დღეისთვისაც ნათელია, რომ **11** ოქტომბრის არჩევნები იყო დემოკრატიის გამასხრება. იგი ოდნავაც წინ ვერ სწევს ვერც სახელმწიფო საბჭოს ლეგიტიმურობას და, მით უფრო, ვერც ქართველი ხალხის პოლიტიკურ გამთლიანებას, რაც მთავარი საზრუნავი უნდა ყოფილიყო საპარლამენტო არჩევნებისათვის.

ასეთი არჩევნების შემდეგ სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ შეიარაღებული აჯანყებით შობილი ძალაუფლება უძღურია.

25833





\*\*\*\*\*

რომ ქვეყანაში დაამყაროს წესრიგი და სამოქალაქო მშვიდობა, დემოკრატიული, კანონის და სამართლიანობის პატივისცემელი წესწყობილება.

**აფხაზეთის ომი**

შორს არაა საქირო წასვლა, აფხაზეთის ომის გამჩაღებლები იქვე უნდა ვეძიოთ, სადაც ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის დაუძინებელი მტრებია და მაშ, გამთიშველი-დამაპირისპირებელი იყვნენ და არიან – რუსეთის იმპერიალიზმი და მისი საოკუპაციო შეიარაღებული ძალები.

როგორც კი საფრანგეთში პრესამ ცნობა მოიტანა აფხაზეთის ჩრდილოეთში ქართველი მხედრობის უმოწყალოდ ამოუღეტისა და საშინელი ტრადედიისა, დაუყოვნებლივ პროტესტით მივმართეთ გაეროს, ოტანს, ევროპის კავშირს, საფრანგეთის მთავრობასა და სანდორმაციო სააგენტოებს 4 ოქტომბრის თარიღით.

პრეზიდენტ ფ. მიტერანის სახელით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მივიღეთ საინტერესო კომუნიკაცია საქართველოში არჩევნების თაობაზე, რომელიც ფართო პრესაში არ გამოქვეყნებულა, და რომლის გაცნობაც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის. ამ გაგებით აქვე ვაქვეყნებთ სამივე დოკუმენტის ფოტო-ასლს.

მანამდე კი, მინდა ამ ომის ქართველი პროტოგონისტების შესახებ გაგიზიაროთ ჩემი ფიქრები. გასული წლის ოქტომბერში, როცა ბ-ნი თენგიზ სიგუა ბრალმდებლის როლში გამოდიოდა მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ, ის მას ბრალს დებდა არაკომპენტენტურობაში ეკონომიკისა და კადრების საკითხებში და რომ თითქოს ის განგებ აბრკოლებდა ქვეყნის გადაყვანას კერძო საკუთრებაზე და საბაზრო ეკონომიკაზე.

თენგიზ კიტოვანი, ის, რომელიც პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ რიგითი მოქალაქიდან გვარდიის მთავარსარდალად აქცია, მის პრეზიდენტს აუჯანყდა იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა რუსეთის უხემ ძალას დიპლომატია დაუპირისპირა – დროებით ეროვნული არმიის შექმნაზე ხელი აიღო.

რაც შეეხება ე.შევარდნაძეს, მან მარტის 6-ში თბილისის აე-





\*\*\*\*\*

როპორტში ჩამოსვლისასვე განაცხადა, რომ საქართველოში კრავტიულმა ძალებმა გაიმარჯვეს, მე მის განკარგულებაში ჩამოვედი, რომ საქართველო დემოკრავტიისა და თავისუფლების ასპარეზზე დავამკვიდროთო.

წელიწადი იწურება, სადაა თქვენი დანაქადები ბატონებო? არასოდეს არ ყოფილა საქართველო ასეთ უბედურებაში – ნამდვილი ანარქია სუფევს. ეს ისე თვალში საცემია, რომ ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარომ“ ერთი მისი თბილისიდან მიღებული კორესპონდენცია ასე დაასათაურა: „გახრწნილი საქართველო“. კორესპონდენტი პიერ რესლანი კი ასკვნის: „საქართველო სრულიად მოშლილია, მას შევარდნაძის გარდა სხვა რესურსი არ გააჩნიაო“.

შევარდნაძის რესურსები კი, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან შეზღუდული გამოდგა.

### რუსეთთან ურთიერთობა

სახელმწიფო საბჭოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ არაორაზროვანი უნდა იყოს:

1. საქართველო პოლიტიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს მის მიმართ.
2. აქედან გამომდინარე, რუსეთის ჯარებმა უნდა დასტოვონ საქართველოს საზღვრები. უამისოდ დამოუკიდებლობა ფიქტიაა.
3. რუსეთმა საქართველო უნდა იცნოს იმ საზღვრებში, რომელიც საქართველოს ჰქონდა 1920 წლის 7 მაისის საქართველო–საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულების დროს, წითელი არმიის 11-12 თებერვლის შემოსევამდე. ესეც უდავო უნდა იყოს!
4. საქართველომ საერთაშორისო ხელშეკრულებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული უპირატესობა შეიძლება დაპირდეს რუსეთს, რაც მთავარია, საქართველოს მთავრობამ უნდა აიღოს დროებითი ვალდებულება, რომ ის რჩება რუსეთის გავლენის ზონაში და საერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში ის რუსეთის მტრის მხარეზე არ გადავა. მაგრამ, ეს უნდა იყოს სუვერენობის სრული დაცვით და არა რუსეთის საოკუპაციო ჯარების მუქარის ქვეშ.



**ჩრდილო - კავკასიის კონფედერაცია**

კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნა ყველა და ყოველი დროის ქვეშაბრტყ კავკასიელის ოცნებისა და ნატურის საგანია. მას პირველად საფუძვლები ჩაეყარა 30-იანი წლების დასაწყისში პარიზში, დენილოვბაში მყოფ საქართველოს, აზერბეიჯანის და ჩრდილო კავკასიელთა მთავრობების მიერ. სომხეთმა მასში მონაწილეობა იმ დროს მიზანშეწონილად არ ჩათვალა. დასკვნით დოკუმენტში ნათქვამია, რომ სომხეთს ენახება ადგილი, როგორც მისი კუთვნილი.

ახლა, როგორც ჩანს, ჩრდილო-კავკასიის კონფედერაცია შექმნილია. ჩვენ ჯერ-ჯერობით ისიც არ ვიცით, თუ ჩეჩნეთის გარდა ვინ შედის ამ „კონფედერაციაში“, ხოლო ჩეჩნეთის კონფედერაციას გზა და კვალი არეგია: იმის მაგივრად, რომ რუსებისაგან იცავდეს თავს, ის რუსის საოკუპაციო ჯარებთან ერთად ებრძვის ქართულ მხედრობას აფხაზეთში. აფხაზეთში მეომარი ჩრდილო-კავკასიის „ბოევიკები“ უფრო რუსული იმპერიალიზმის მიერ კავკასიაში შემოპარებულ ტროას ცხენს ჰგავს, ვიდრე კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ.

ჩეჩნეთის გენერალ-პრეზიდენტი ჯ.დულდაევი, რომელიც ჩვენ მისი ქვეყნის დიდ პატრიოტად მიგვაჩნია, ალბათ შემოგვესიტყვება, რომ კონფედერაციის „მოხალისენი“ საქართველოს უზურპატორ ხელისუფლებას ეომებიან და არა მის კანონიერ ხელისუფლებასო. არა, ბატონო პრეზიდენტო, აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რის წაგლეჯასაც ცდილობს რუსული იმპერიალიზმი. თქვენი „ბოევიკები“ იქ ან ქართველების მხარდამხარ უნდა იბრძოდნენ, ანდა იქ არ უნდა იყვნენ.

ჩვენ გვაოცებს ამ საკითხში ბატონ ზ.გამსახურდიას ძალზე სუსტი პოზიცია: ნუთუ ამაზე მეტი გავლენა არ აქვს მას „კონფედერაციაზე“ და კერძოდ – გენერალ ჯ.დულდაევზე, რომ ამ კრიმინალურ წამოწყებას წინ აღსდგომოდა?

**ეროვნული თავდაცვა**

გასული წლის ბოლოდან მოყოლებული, როცა სსრკ ოფიციალურად დაიშალა, აღარავითარი საერთაშორისო დაბრკოლება აღარ

\*\*\*\*\*



არსებობდა იმისთვის, რომ ქართული ეროვნული ლაშქარი შექმნილიყო. სამხედრო საბჭომ რომ ეს ვერ შეძლო, კიდევ შემოვიდა ამათლო, მაგრამ, ე.შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის დღიდან 7-8 თვის გასვლის შემდეგ რომ იგი კვლავ მომავლის ამოცანად რჩება, ამას ლალატის მეტს ვერაფერს დავარქმევთ.

ახლად არჩეულმა პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა გამოსცეს კანონი ეროვნული თავდაცვის ქართული ლაშქრის შექმნის თაობაზე: ერთადერთი უნდა იყოს ეროვნული ტერიტორიის მთლიანობის დამცავი არმია და ასევე ერთთავიანი სახელმწიფოს შინაური სიმშვიდისა და უშიშროების დამცველი პოლიცია.

### დასკვნა

ამეამად გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს: საქართველოს მოქალაქეთა დაზავება, ერთად შემოკრება საგარეო მტრების წინააღმდეგ, რათა მხოლოდ ერთობლივი მოქმედება გვიხსნის იმპერიალისტური ძალებისა და მისი ხრიკებისაგან.

საქართველო ერთია და განუყოფელი. მთელი ეროვნული ენერჯია უნდა მოხმარდეს მის დაცვას და შთამომავლობისათვის მის უკლებლივ გადაცემას.

– ახლად არჩეული პარლამენტი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მოწესრიგებას, რომ ქვეყანაში დაამყაროს სამოქალაქო მშვიდობა.

– ახალი კონსტიტუცია, რომელსაც შეიძლება „მესამე რესპუბლიკის კონსტიტუცია“ ეწოდოს, ორგანიულად უნდა გამოდიოდეს წინამორბედებიდან: 1921 წლის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი საკრებულოს მიერ მიღებული კონსტიტუციიდან და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან.

– ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ უნდა მოეწყოს ქვეყნის რიტად დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა პოლიტიკური ძალები.

– მანამდე კი, ბნ ზ.გამსახურდიას უნდა შეექმნას უშიშროების პირობები, რომ მან შესძლოს ქვეყანაში დაბრუნება და იქ კონსტიტუციური ოპოზიციის წარმოება.



## Résurgence de l'impérialisme russe

L'impérialisme russe n'est pas mort avec la disparition de l'Union Soviétique. Il a conservé intact ce qui, pour lui est primordial, la force militaire.

Pendant la courte période de gestation menant du régime communiste au régime "démocratique", le gouvernement de Moscou a su voiler ses forces militaires.

Or, les nouvelles parvenues en Occident, via Moscou, nous révèlent le redéploiement de ces forces dans tous les territoires de l'ex-U.R.S.S. notamment en Asie Centrale et en Transcaucasie.

Ce sont ces forces impérialistes qui ont provoqué, le deux octobre 1992 en Géorgie, dans la ville de Gagra, le massacre de plusieurs centaines de jeunes appelés géorgiens.

Nous condamnons énergiquement cette nouvelle intervention de l'armée russe en territoire géorgien. Nous appelons le monde entier comme témoin et nous demandons à l'O.N.U., à l'O.T.A.N. et à la C.S.C.E. de défendre l'intégrité et la souveraineté de l'Etat géorgien.

Il n'y a pas de séparatisme abkhaze vis à vis de la Géorgie, mais bien l'impérialisme russe provoquant artificiellement les antagonismes et les conflits entre les ethnies et les nations.

Georges TSERETELI

Directeur du journal "GOUGHAGUI"  
en langue géorgienne, édité à Paris

Paris, le 4 octobre 1992



DES  
AFFAIRES ETRANGERES  
DIRECTION D'EUROPE

REPUBLIQUE FRANCAISE  
Paris, le 21 octobre 1992

Le Sous-Directeur de  
l'Est de l'Europe

no 3688 / EU

Monsieur le Directeur,

Le Secrétariat Général de la Présidence de la République m'a transmis votre lettre du 6 octobre, dont j'ai pris connaissance avec intérêt, et m'a chargé d'y répondre.

La France a adopté avec ses partenaires de la Communauté une déclaration sur la crise en Abkhazie, dont vous trouverez ci-joint copie. Notre pays souhaite qu'une solution politique soit trouvée à ce conflit interne à la Géorgie, permettant à ce pays de retrouver la paix et la stabilité, dans le respect de sa souveraineté et de son indépendance.

Par ailleurs, en accord avec le Conseil de Sécurité que préside actuellement la France, le Secrétaire Général des Nations Unies a envoyé sur place une mission dirigée par l'un de ses adjoints, notre compatriote M. BLANCA, qui contribuera également à la recherche d'un règlement pacifique.

Veuillez agréer, Monsieur le Directeur l'expression de mes salutations distinguées.

Michel TOURAINE

Monsieur Georges TSERETELI  
Edition "GOUCHAGUI"  
8, rue des Marchais  
75019 PARIS



## COOPERATION POLITIQUE EUROPEENNE

## COMMUNICATION A LA PRESSE

P. 94/92

Bruxelles, le 14 octobre 1992

## DECLARATION SUR LA SITUATION EN GEORGIE

La Communauté et ses Etats membres se félicitent des élections qui se sont tenues le 11 octobre dans 90 % à peu près du territoire de la Géorgie, ainsi que de la forte participation à ce scrutin. Des observateurs des Etats membres de la CE ainsi que d'autres Etats ont assisté aux élections, observateurs dont on attend les rapports. La Communauté et ses Etats membres réitérent leur engagement au soutien de la stabilisation de la situation en Géorgie et au développement de la démocratie et d'une économie de marché; dans ce contexte la Communauté et ses Etats membres:

- félicitent chaleureusement M. Eduard Shévardnadze à l'occasion de son élection à la Présidence du Parlement géorgien, et seront heureux d'entretenir d'étroites relations avec lui dans ses nouvelles fonctions.
- expriment l'espoir qu'il sera bientôt possible de procéder à des élections dans les régions où elles n'ont pas eu lieu le 11 octobre.
- attendent l'établissement du nouveau Parlement et du nouveau Gouvernement géorgiens dont l'autorité sera fondée sur le résultat des élections.

En même temps, la Communauté et ses Etats membres restent profondément préoccupés par le récent regain des combats en Géorgie, ainsi que par les lourdes pertes en vies humaines qui ont été signalées. Ils:

- se félicitent des décisions du Secrétaire Général des Nations Unies et de la Conférence sur la Sécurité et sur la Coopération en Europe d'envoyer de nouvelles missions d'enquête en Géorgie, y compris en Abkhazie.
- pressent toutes les parties au conflit en Abkhazie de renouveler leurs efforts afin de trouver une solution pacifique dans le cadre des principes de la CSCE et de la Charte des Nations Unies.



\*\*\*\*\*



**რუსული იმპერიალიზმის ამოხედი**

რუსული იმპერიალიზმი არ მომკვდარა საბჭოთა კავშირის დაშლით. მან უცვლელად დასტოვა ის, რაც მის სიცოცხლეს ესაპირობება: სამხედრო ძალა.

მცირე ხნით, გარდამავალ პერიოდში კომუნისტურიდან ლიბერალურზე, კრემლის ხელისუფლებამ შესძლო ბურჟუაზიაში გაეხვია ეს უზარმრზარი მხედრობა. ახლა კი, ახალმა ამბებმა დასავლეთში გაავრცელეს ცნობა მოსკოვიდან მომავალი ამ სამხედრო ძალების გააქტიურებისა მთელს ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე, კერძოდ კი – ამიერკავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. ამ იმპერიალისტურმა ძალებმა გაუმართეს ქართულ მხედრობას 2 ოქტომბერს ღამით ქ.გაგრაში მასიური ხოცვა-ჟლეტა, რომლის მსხვერპლსაც მრავალ ასეულს ანგარიშობენ.

ჩვენ ენერგიულად ვგმობთ რუსის ჯარის ინტერვენციას დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე და მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თანაგრძნობისათვის, ხოლო გაეროს, ოტანსა და ევროპას, – რომ დაეხმარონ ქართველ ხალხს ტერიტორიის მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენობის დაცვაში.

გიორგი წერეთელი, „გუშაგის“ დირექტორი. პარიზი, 4.10.1992 წ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო  
ევროპის განყოფილება  
აღმოსავლეთ ევროპის  
ქვე-განყოფილება

საფრანგეთის რესპუბლიკა  
პარიზი, 21. 10. 1992 წ.

ბატონო დირექტორო,

რესპუბლიკის საპრეზიდენტოს მთავარმა სამდივნომ მე გადმომიცა თქვენი წერილი, 6 ოქტომბრის, რომელსაც დიდი ინტერესით გავეცანი, და მე დამევალა პასუხის გაცემა.



\*\*\*\*\*

საფრანგეთმა, მის ევროპულ პარტნიორებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება რაცია აფხაზეთის კრიზისის თაობაზე, რის ასლსაც თქვენს წინაშე ვაჩვენებთ იპოვით. ჩვენს ქვეყანას სურს, რომ კონფლიქტი პოლიტიკურად მოგვარდეს, როგორც საქართველოს შინაური საქმე, ისე, რომ ამ ქვეყანამ (საქართველომ) აღადგინოს მშვიდობა და სტაბილურობა, და მოუკიდებლობისა და სუვერენობის პატივისცემაში.

პარალელურად, გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელსაც ამჟამად საფრანგეთი თავმჯდომარეობს, გაეროს გენერალურმა მდივანმა ადგილზე გააგზავნა მისია, რომელსაც ერთ-ერთი მისი თანამშემწეთაგანი მეთაურობს, - ჩვენი თანამემამულე ბნი ბ.ბლანკა. ვიმედოვნებთ, რომ ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს საკითხის მშვიდობიან მოგვარებას.

**მიშულ ტურენი**

ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა, ბრიუსელი, 1410 1992.

**საქართველოში მდგომარეობის შესახებ განცხადება**

კომუნოტე და მისი წევრი სახელმწიფოები მიესალმებიან არჩევნებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 11 ოქტომბერს მისი ტერიტორიის დაახლოვებით 90%-ში და მოსახლეობის მასში ძლიერ მონაწილეობას. ევროპის კომუნოტეს მეთვალყურენი და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომელნიც დაესწრნენ არჩევნებს, ველით მათ შთაბეჭდილებებს. კომუნოტე და მისი წევრი სახელმწიფოები კიდევ იმეორებენ მათ მიერ აღებულ ვალდებულებებს ხელი შეუწყონ საქართველოში მდგომარეობის სტაბილურობას, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

ამ კუთხით, ევროპის ერთობა და მისი წევრი სახელმწიფოები: 1. მხურვალედ მიესალმებიან ბნ ელუარდ შევარდნაძეს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით, და ბედნიერი იქ-



\*\*\*\*\*

ნებიან იქონიონ მასთან მჭიდრო ურთიერთობა, მის ახალ თანამდებობის პირობებში.

2. იმედს გამოსთქვამენ, რომ მალე შესაძლებელი იქნება არჩევნების ჩატარება იმ რეგიონებშიც, სადაც ის ვერ ჩატარდა 11 ოქტომბერს.

3. ელოდებიან საქართველოში ახალი პარლამენტიცა და მთავრობის დაფუძნებას, რომლის ავტორიტეტიც დაფუძნებული იქნება არჩევნების შედეგებზე.

ამავე დროს, კომუნოტე და მისი წევრი სახელმწიფოები შეუფოთებულნი არიან საქართველოში ახლახან ბრძოლების განახლების და აგრეთვე, - იმ დიდი ადამიანური მსხვერპლის გამო, რომელზეც ჩვენ მოგვხსენდა. ისინი:

ა) იწონებენ გაეროს გენერალური მდივნისა, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციის ღონისძიებას საქართველოში, აფხაზეთის ჩათვლით, ახალი მისიის გაგზავნისა.

ბ) მოუწოდებს აფხაზეთის კონფლიქტის ყველა მონაწილეს გააძლიერონ ძალისხმევა, რათა გამოინახოს მშვიდობიანი გზა კონფლიქტის მოსაგვარებლად, როგორც გაეროს, ისე ე.უ.თ.კ. დეკლარაციითა შესაბამისად.

**კომენტარი.**

მკითხველი შენიშნავს, რომ 11 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ევროპის კომუნოტეს შემადგენელი სახელმწიფოების განცხადება ეწინააღმდეგება ჩვენი სარედაქციო წერილის შეფასებას. ამან არ უნდა გაგვაკვიროს. „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩვენს გონება-გრძნობასა“. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა და საერთოდ, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების პოზიციას ჩვენ უნდა მოვეკიდოთ დიდი ყურადღებით, რადგანაც მათზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ბედი. სწორედ ეს, სამშობლოს მომავალი უნდა გვინათებდეს სავალ გზას, მაგრამ, არც სიმატლეს უნდა ვუღალატოთ.

**რედაქცია**



ო რ ი ს ტ ა ტ ი ა

ჩვენთვის აღრეც უღავო იყო, რომ აფხაზეთის კონფლიქტი, ისევე, როგორც ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“, აღრე თუ გვიან რუსეთ-საქართველოს კონფლიქტად გარღაიქმნებოღა იმ განსხვავებით, რომ აფხაზეთი სხვა ნუგბარი გახლავთ რუსული იმპერიალიზმისთვის და მის გაღდასაყლაპავად, ალბათ, უფრო ღიდ საშუალღებებსაც არ ღაზოგავღა. ეს გარემოებღა სცვლის ჩვენს შეხებღულღებებსაც სამშობლოს შინაურ მღგომარეობაზე. ჩვენთვის უღავოღა, რომ აფხაზეთში საქართველოს ინტერესებს სხვა ვერ ღაიცავს, თუ არღა საქართველოს რესპუბლიკის არსებული მთავრობღა. ჩვენ ვიცით, რომ იგი ერთსულღოვანი არ არის: ნაწილი ღამპალიღა და ებღაუჭებღა რუსეთის საოკუპაციო არმიის, მეორე, ღა ჩვენ ვიმეღგონებთ, რომ ღიღი უმრავლესობღა, — სღღიღა, პატრიოტული ნაწილიღა, რომელიც უშეღავათოდ იბრძვის საქართველოს ღამოუკიდებლობისთვის მის ისტორიულ საზღვრებში. ჩვენი სიმპათიღა, ჩვენი გამხნევებღა ურეზერვოდ მათ მხარეზეღა, რღ პარტიისაც, რღ სოციღლური ღა პოლიტიკური მრწემისიც არ უნღღა იყვენენ ისინი.

ამ ღიქრებით ღაიწერღა ეს ორი სტატია, რომელსაც ქვემოთ გთავოზობთ.

I. გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე — ე ღ უ ა რ ღ შ ე ვ ა რ ღ ნ ა ძ ე ( ო ც ნ ე ბ ა ? )

როცღა აქტუღლობღა ე.შეღვარღნაძეზე ჩამაღიქრებს, ჩემღღა უნებურად ჩემში ამოტივეტივეღბღა ისტორიული სახე გიორგი სავაკღისღა. რატომ? რღ მოგახსენოთ! იქნებ, იმიტომ, რომ რღღაც სავართოღა მათ შორის. ეს იქნებ ის იყო, რომ, თუმიცღა მტერი შეიცვღღა, ჩვენი ქვეყნის მღგომარეობღა არ შეცვლიღღა, რღღვანაც იგი მუღღამ მტრის მპყრობღლობღაშიღა ღა მუღღამ მასთან შეუღრიგებელიღა. ამ მღგომარეობის გამო, ეს ორი ქართველი ხან თავისი ქვეყნის სამსახურშიღა ღა ხანაც, — მისი ღამპყრობღების.

გიორგი სავაკღე ღიღი მხეღართმთავარიღა ღა მერე, თუ შეიღღღა ასე ითქვას, — ხელმოცარული პოლიტიკოსიღა. „ქართლის ცხოვრებღამ“ სხვაც ბევრი იცის სახეღვანთქმული ღფოღღალი ღა მხეღართმთავარი, მავრამ, ანონიმურიღიღან გამოღწევეღა ძღღიღან ცოტას თუ

\*\*\*\*\*



ხვდა წილად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შეესაბამება ოგნება სამუდამოდ გააშუქა მარტყოფის ბრძოლამ.

... 1626 წლის 24 მარტის ღამით, მარტყოფის ველზე დაბანაკებულა ქართველების მუხანათურად ამოსაყლელად მოსული ყიზილბაშების ჯარი. მის მთავარსარდლობაშია გიორგი სააკაძეც. შაჰ აბასის გეგმა თუ შესრულდა, მომდევნო დღეებში ქართველების ნატამალი აღარ დარჩება მთელს ქართლსა და კახეთში...

მაგრამ ქართლის ჭეშმარიტ მოურავს არ სძინავს, მისი შეთქმულება ამარცხებს შაჰისას, გამთენიისას, როცა მტრის მძინარე ბანაკს თავს ესხმიან სამშობლოს სახსნელად აღმდგარი ქართველთა რაზმები, შიგნით ბანაკში გიორგი სააკაძე და მისი შეფიცულნი ხმლებს იშიშვლებენ და თვალის დახამხამებაში თავებს წაადებინებენ მტრის ჯარების მთავარსარდლებს. უთავოდ დარჩენილ მტერს კი უწყალოდ ჟღერენ სამშობლოს დამცველები.

მარტყოფის დაუვიწყარი გამარჯვება გიორგი სააკაძის პიროვნული ტრიუმფია. მან იქ არა მხოლოდ შეუდარებელი ორგანიზატორის ნიჭი და ვაჟკაცობა გამოიჩინა, არამედ დიდი და აუწონავი სიმძიმისა და ფასდაუდები ღირებულების მსხვერპლის გაღებისაც: – მძვინვარე შაჰ აბასის ხელში საყვარელი ვაჟის პაატას დატოვებით. ამით, ეს ერთი საექვო ფეოდალი და სარდალი სამუდამოდ ამაღლდა ხალხის წარმოდგენაში ერთ-ერთ დიდებულ ეროვნულ გმირად. და მან ხელის ერთი მოსმით წაშალა ყველაფერი, რაც საექვო და ჩრდილოვანი იყო მის ცხოვრებაში...

ა.წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში, რუსეთის ჯარმა საქართველოს უდავო ტერიტორიაზე, აფხაზეთში, სასტიკი „ჩუკუა ასწავლა“ ქართველთა გაუწვრთნელ ლაშქარს, რომელიც სიღრმეში შეიტიყუა და იქ ჩასაფრებულ აფხაზ და კავკასიის მთიელთა კონფედერაციის ბანდებს გააყლელტია. ამ მოქმედებით, საქართველოში დაბანაკებულმა რუსის ჯარმა ნიღაბი აიხადა და მისი ნამდვილი სახე, – საოკუპაციო უცხო არმიისა გამოაჩინა, სრულიად უდანაშაულო, სუვერენი ქართველი ერი ღრმად შეურაცხყო და პირველ რიგში მან შეურაცხყო ამ სუვერენობის სიმბოლო, – იმ დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, – ბ.ნი. ე. შევარდნაძე.



მიუხედავად იმისა, რომ ე.შევარდნაძე საბჭოთა კავშირის დაშლის მაგალითო ჩინოვნიკი იყო, მაინც წარმოუდგენელია, რომ მასში არ იფეთქოს ქართულმა სისხლმა და არ ააჯანყოს რუსის მხედრობის გაუფონარმა სიმუხთლემ და ბოროტებამ.

ამ აჯანყების სიმპტომები კი უკვე სჩანს, — აფხაზეთიდან მოსული ახალი ამბები იტყობინებიან, რომ შევარდნაძე სოხუმშია და იქიდან საპროტესტო დემონსტრაციებს უგზავნის მოსკოვის მთავრობას, გაეროსა და ნატოს გენერალურ მდივნებს, ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების კონფერენციას და სხვა.

თუ შევარდნაძე მტკიცედ დარჩა ამ პოზიციაზე, მას შეუძლია იოცნებოს გიორგი სააკაძეობაზე.

5 ოქტომბერი 1992.

## II. აფხაზეთის კონფლიქტის შედეგები

1. განა ტყუილადაა ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო. ეს ანდაზა, შეიძლება, რომ აფხაზეთის კონფლიქტმაც გაამართლოს. ეს დიდი ეროვნული სატკივარი, დიდი ხანია, რაც სიღრმეულად მწიფდებოდა და აი, ახლა ბურბუშელასავით ხანძრად იფეთქა. ვის შეიძლება მაინც, დაბრალდეს ამ ხანძრის აფეთქება? თვალსაჩინოდ, მისი ავტორები შევარდნაძე და კიტოვანია. თუმცა, შეიძლება, რომ ისინი უბრალო დეტონატორებია და მათგან დამოუკიდებელ ნებას ემორჩილებოდნენ. ისტორია გამოარკვევს ამას და მაშინ ის იმასაც ახსნის, თუ რა მიზანს ისახავდა ეს ნაბიჯი: იყო წინასწარ განზრახული დალატი თუ — სიბრყვე და უანგარიშობა.

2. ასე იყო თუ ისე, ვაგრის ხეობაში, იქ, სადაც რუს-აფხაზ შეთქმულებს ქართული თვალისაგან შეუმჩნევლად შეეძლოთ სანადირო საფარი მოეწყოთ, სისხლის აბანო გაუმართეს ომში უწვრთნელ ქართველ ქაბუკებს. რუსების მიერ მსოფლიოში გადმოცემული ინფორმაციით, აფხაზეთთან ერთად, ქართველებს საკადროსი ჭკუა ასწავლეს ჩრდილო-კავკასიის კონფედერაციის მოხალისე მებრძოლებმა. აქედანაც კი ცხადია, რომ ეს უკანასკნელები იქ არ უნდა ყოფილიყვნენ და ვინც ისინი იქ გაავზავნა, დიდადაა შემცდარი პოლიტიკურ ანგარიშში. თუ ჩეჩნები, და კერძოდ, — გენერალ-პრეზიდენტი ჯ.დულაევი გააგრძელებს მის დღევანდელ ანტიქართულ (და არა





\*\*\*\*\*

ანტიშეგარდნადის) პოლიტიკას, მაშინ ის გამოიჩინეს დიდ პოლიტიკურ ტირ სიბეცეს: თავისუფლების მავივრად მონობის ახალ უღელს გამ- მოსჭედს თავისი ხალხისთვის და, შეიძლება, მთელი კავკასიისათვისაც!

3. ბოლოსდაბოლოს, რევოლუციები, სამოქალაქო ომები, ანარქია, განუკითხაობა უნდა დასრულდეს, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ უნდა დამყარდეს კანონის ბატონობა, დემოკრატიული ქვეყნის მართვა-გამგეობა. პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას თანაუგრძნობენ, მასთან ერთად ხელისუფლებაში მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო ის პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც შეურიგებლობას გამოიჩინენ, პოლიტიკური ოპოზიციის სტატუსი უნდა მიიღონ, როგორც ეს მიღებულია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

თუ ეროვნული მშვიდობის ეს წინაპირობა იარსებებს, მაშინ, როდესაც ხელისუფლება მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკას აირჩევს, ის პირველ რიგში შეეცდება, რომ ეს პოლიტიკა ოპოზიციამაც გაიზიაროს. თანხმობის შემთხვევაში, მთავრობა მთელი ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკებს და მას საერთაშორისო არენაზე მეტ ანგარიშს გაუწევენ. ეს მომავლის საქმეა, ხოლო დრო არ ითმენს და ამჟამად სახელმწიფო საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ, - ბნ-მა ე.შეგარდნაძემ მძიმე ტვირთი მარტომ უნდა ზიდონ.


4. ნამდვილი, მიუკერძოებელი ცნობების უქონლობის გამო, რომ ვცდებოდე, ეს არ იქნება გასაკვირი, მაგრამ ამ მომენტში, მე მგონია, რომ ყველა პირობებია თავმოყრილი იმის სასარგებლოდ, რომ ედ.შეგარდნაძემ მისი დამასკოს გზა იპოვნოს და იქ ქვეშაირიტი ღმერთის ხმა გაიგონოს. ღმერთმა ინებოს! ამინ.

5. როგორც იქნა მოვესწართ, მსოფლიომ გაიგონა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლის ხმა, რომელიც გმობს რუსული იმპერიალიზმის შენიღბულ აგრესიას და რომელმაც არბიტრად მიიწვია გაეროს და ნატოს საერთაშორისო ორგანიზაციები.

სამოცდაათი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი გმირულად იტანდა არა მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის აგრესიას, არამედ კიდევ უფრო დამლუბველ ღუმელს ოფიციალურ ქართველ ხელისუფალთაგან. 1991 წელს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აღიმაღ-

ლა ხმა ამ საერთაშორისო უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ, ყველამ უწყით, რაც მას დაემართა.

ყველასათვის ცხადია, რომ ე.შევარდნაძე ეძებს პოპულარობას, ეძებს ქართველი ხალხის სიყვარულის დამსახურებას. და აი, სასწაული! მას შეუძლია იპოვოს ის, რასაც ეძებს. შევარდნაძის დამასკოს გზა გაგრავს გადის. გაგრაში, ამ უდავოდ ქართულ მიწაში უღვთოდ ჩახოცილი ქართველების ხსოვნა არ უნდა შებღალოს ლაჩრობამ. ორი ოქტომბერი უნდა გახდეს დღედ-სიმბოლოდ რუსული იმპერიალიზმის მუხანათური აგრესიის გამობისა, მისი საქართველოდან კუდამოძუებისა. აქ სისუსტე, მერყეობა ღალატის ტოლფასი იქნება.



გიორგი წერეთელი  
პარიზი, 1992 წ. 6 იქტ.

\*\*\* \*\*

**სო ლ ჟ ე ნ ი ც ი ნ ი ს ი ნ ტ ე რ ვ ი უ დ ა ნ**

წელს ორ და სამ სექტემბერს ალ. სოლჟენიცინის ინტერვიუ გადასცა მოსკოვის ტელევიზიამ, რომლის ზოგიერთი პასაჟი, ვფიქრობთ რომ, ზედმეტი არ იქნება „გუშაგის“ მკითხველისთვისაც.

„სოციალისტური იდეოლოგია იქნა დამარცხებული, ბრძანებს ბრძენი რუსი მწერალი და აგრძელებს, „მაგრამ დემოკრატია ჯერ კიდევ არ არის რუსეთში. კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის დედა-ბოძებს კვლავ შეუძლიათ დაგვმარხონ მათ ნანგრევებში (იგულისხმება თერმო-ბირთვული ბომბები, რომლებიც ხელშეუხებლად დარჩა რუსეთის არმიის განკარგულებაში). მე ძალიან მეშინია ამის!“

„დემოკრატია, ესაა ხალხის მმართველობა, მთელი ხალხის, ყველა პროვინციების და არა უმცირესობის, რომელიც მხოლოდ დედაქალაქში დაფხურობს. პროვინციებში კომუნისტური სისტემის მხოლოდ ზედა, სტრუქტურები იქნა დანგრეული, საშუალო დონეებზე მუდამ იგივე სახეები, იგივე ადამიანობი მოჩანან, რომლებმაც მხოლოდ კარებზე აბრა შეცვალეს“. „დემოკრატიის მაგივრად, რასაც ასე ელოდა, რუსეთმა შვა **ს ა შ ი ნ ე ლ ე ბ ა** — მუჟჟიანი ნარევი, შემდგარი ყოფილი ნომენკლატურის, საფინანსო მტაცებლების, რომელიც დაკავშირებულია მაფიასთან და რომლებიც ნამდვილ ანტრეპრენორებად არ ჩაითვლებიან და კაგებე, რომელიც ხელშეუხებელი ძალაა. არავინ არ იცის ჯერ, რა გამოვა აქედან. ამიტომ რუსები არ უნდა

(დასასრული იხ. 18 გვერდზე)

1 ნოემბერს ა. შ. შ. ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა ბნმა ბილ კლინტონმა გაიმარჯვე და გახდა ამ უმძლავრესი ქვეყნის პრეზიდენტი.

ამ დღეს, ამერიკული საარჩევნო წესის თანახმად, ადგილი ჰქონდა „დიდი ამომრჩევლების“ არჩევას, რომელთა რიცხვი ბ. კლინტონმა მოაგროვა 353, ხოლო ჯ. ბუშმა — მხოლოდ 168, მაშინ,



როცა ბ. კლინტონმა ხმების 44% მიიღო, ჯ. ბუშმა კი 39%. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 53%-მა, რაც თურმე მაღალი მაჩვენებელი ყოფილა ამ ქვეყნის არჩევნებისთვის. ბილ კლინტონს დამთავრებული აქვს პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტი ვაშინგტონსა და ოქსფორდში, იგი სწავლობდა უფლებას იელის უნივერსიტეტში, 1978 წელს, 32 წლის ასაკში, არჩეული იქნა არკანზასის შტატის გუბერნატორად და მის შემდეგ ხელახლად არჩეული.

ჯ. ბუშის პრეზიდენტობის დროს დაინერგა ბერლინის კედელი, გაერთიანდა გერმანია, აღმოსავლეთ ევროპაში დაემხო კომუნიზმი, დაიშალა საბჭოთა კავშირი, ბუშის ლიდერობით მაგისტრალური ომი იქნა გადახდილი ერაყის წინააღმდეგ, ოკუპაციისაგან გაანთავისუფლა პატარა ქუვეითი და მთელი ახლო აღმოსავლეთი ერაყის დიქტატორული რეჟიმის საშინაოებისაგან. და ბოლოს, ჯ. ბუშის და მისი სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის დაუღალავი დიპლომატიური მოქმედებით გაჩნდა შუქი პალესტინის წინააღმდეგობათა ლაბი-

25833

რინთიდან გამოსვლისა და სხვა მსოფლიო აქცია ამერიკისთვის თავი მოსაწონი. ჯ. ბუმს მოწინააღმდეგენი უკეთინებენ ქვეყნის ეკონომიკის უგულვებლყოფას და მის დაქვეითებას, მაგრამ არც ეს შეეფერება რეალობას, სინამდვილეში ირკვევა, რომ ეკონომიკური მაჩვენებლებით ა. შ. შ. კვლავ მოწინავე პოზიციებზე რჩება, თუმცა შეიმჩნევა ერთგვარი მოდუნება. და ასეთი პრეზიდენტი დამარცხებული იქნა მსოფლიოში ჯერ სრულიად უცნობი შტატის გუბერნატორისაგან, რომელიც უმწიკვლო პატრიოტის სახელითაც კი ვერ მოიწონებს თავს. მაშ სად არის გამარჯვება დამარცხების საიდუმლო?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბუმ-ბეიკერის წყვილი მსხვერპლი გახდა მისივე წარმატებების. მათ წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდა მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ამერიკის და არა მხოლოდ ამერიკის პრესა. ყველამ იცის თუ რა ძალა აქვს პრესას ამერიკაში. ჩვენ, ქართველებმა, არ უნდა ვიგლოვით ბუმ-ბეიკერის დამარცხება, თუ გავითვალისწინეთ, რომ მათ დიდი ბრალი მიუძღვით ამ ჩვენს დღევანდელ ეროვნულ ტრადედიამში.

დემოკრატიული პარტია უდიდესია ამერიკაში, მას გუბერნატორების უმრავლესობა ჰყავს და კიდევ უფრო დიდი წარმომადგენლობა კონგრესში, რის გამოც ადგილი აქვს ხოლმე წინააღმდეგობას პრეზიდენტსა და კონგრესის უმრავლესობას შორის, როცა პრეზიდენტები რესპუბლიკელები არიან. ახლა ეს წინააღმდეგობა ისპობა და ამან ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის მომავალ განვითარებას.

გიორგი წერეთელი

\*\*\*

**სო ლ ჟ ე ნ ი ც ი ნ ი ს ი ნ ტ ე რ ვ ი უ დ ა ნ**  
(გაგრძელება 16 ე გვერდიდან)

დასჯერდნენ ხაზი გადაუსვან წარსულს და იმ კრიმინელობას, რომლებიც ჩადენილი იქნენ კომუნისტურ ხანაში იმის მომიზეზებით, რომ თითქოს ეს ნიშნავდეს კუდიანების დევნას. „მათ უნდა მოინანიონ!“ ასკვნის მრავლის მნახველი „გულაგის არქიპელაგის“ ავტორი. სოლჟენიცინს ინტერვიუს უკეთებდა რუსეთის განთქმული კომენტატორი სტანისლავ გავორუხინი. („ფიგარო“ 4. IX. 1992.)

რედაქციის თარგმანი

\*\*\*\*\*



### შ ე მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა

დიდი ამბები გამოიწვიეს უკანასკნელად საბჭოთა წამოსროლილმა ლოზუნგებმა. სიტყვა „დემოკრატია“ ხშირ ხმარებაშია საბჭოთა კავშირში. ლაპარაკია დიდ რეფორმებზეც.

სულ სხვა ამბავია საერთოდ რეფორმების მოხდენა. რუსულად სიტყვა „სტროიტ“ შენებას ნიშნავს, ხოლო გორბაჩევის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი „პერესტროიკა“ ქართულად „გადაშენებას“ ნიშნავს. ამბობენ: აშენება ძნელია, ხოლო დანგრევა ადვილიაო. მაგრამ, საბჭოთა კავშირში დანგრევაზე არ არის ლაპარაკი (რაც ნიშნავს რევიმის დაცემას), ლაპარაკია გადაშენებაზე, ხოლო 70 წ. განმავლობაში ნაშენების გადაშენება დიდ დროს მოითხოვს (თუ მისი ავტორები გულწრფელნი არიან).

საბჭოთა კავშირის უბედურება ის კი არ არის, რომ წესიერად არაფერი სრულდება და რეფორმებით შეიძლება წესიერების დაბრუნება, შესაძლებლობა პროგრესისა, არამედ უბედურების სათავე თვით საბჭოთა სისტემაშია. თუ რევიმი არ მოიხსოვ, ქვეყანა ვერ გაუთანასწორდება თავისუფალ ქვეყნებს. ხრუმჩოვსაც ხომ უნდოდა რომ 1965 წლისათვის ამერიკელებს დასწეოდა და კიდევ გაესწრო, ეს კომედია საბჭოთა ხალხმა ნუთუ ვერ დაინახა!

70 წლის განმავლობაში საბჭოთა მეთაურებმა მრავალი ათეული მილიონი ადამიანის მსხვერპლი გასწირეს „კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის“ და ამ დროის განმავლობაში ვერ გაიგეს, რომ საბჭოთა სისტემა არ მუშაობს, რომ 70 წლის წვალების შემდეგ, სოციალიზმის კარებიც არ გამოჩენილა. ანდა, როგორ გამოჩნდებოდა ის, რაც არ არსებობს?! სოციალიზმი და კომუნისმი ისეთივე უტოპიაა, როგორც ყოველი სხვა უტოპია, რაც ადამიანის ფანტაზიას შეუქმნია! მარქსის იდეა მაინც აღსრულდა, თუმცა ცოტა სხვანაირად. მოხდა კაპიტალის კონცენტრაცია, მაგრამ არა კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩამორჩენილ რუსეთში. აქ კონცენტრაციამ იმასაც მიაღწია, რომ კაპიტალმა თავი მოიყარა ერთი „კაპიტალისტისა“ სახელმწიფოს ხელში! იგივე მოხდა სოფლის მეურნეობაში: მოსკეს დიდი მემამულეობა, როდესაც მათ შორის გლეხობა ღირსეულად იცავდა თავს და ეკონომიკური წარმატება მიდიოდა ბუნებრივი გზით, არ დაანებებს არაფრით კომუნისტებმა მათ,



აქაც მამულების კონცენტრაცია მოახდინეს, მემამულეებს კომპიუტერი ის გზა უჩვენეს, ხოლო გლახობა მათრახით კოლმეურნობაში მიჰყვება არეს. აქაც მამულებმა თავი მოიყარეს ერთი დიდი მემამულის, ბატონის ხელში, რომელსაც კომუნისტური სახელმწიფო ეწოდება!

ფეოდალიზმისა და ბატონყმობის ხანაში, ყმას შეეძლო გაქცევა და მერე ხელსაყრელ ბატონთან თავისი შეფარება, საბჭოთა ბატონყმობის ხანაში კი ეს შეუძლებელია, რადგან ბატონი აქ ერთია, მას ვერ გაექცევი. ასეთ პირობებში შესაძლებელია თუ არა რეფორმებით ქვეყნის შევლა?

ყველა ჩვენი ტკივილების ნათელყოფისათვის, გვინდა განვიხილოთ მწერალ რ. ჯაფარიძის წერილი. გ. წერეთელი კარგ საქმეს აკეთებს, რომ საქართველოში გამოცემულ ზოგ საინტერესო წერილს აქვეყნებს თავის „გუშავში“. რადგან უცხოეთში ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის საქართველოში გამოქვეყნებული წერილები, მან ჯაფარიძის წერილი გადმობეჭდა გაზეთ „თბილისიდან“ და ჩვენც მას ვემყარებით.

შექმნილ პირობებში, ის, რაც ჯაფარიძემ დასწერა, ეს გამბედაობა დასაფასებელია, ხოლო ზედმეტი თამასუქების გაღებას ვერ მოვუწონებ. მისი პატრიოტული ფრაზეოლოგიის ქვეშ ისეთი კონცეპტიაა გატარებული, რომელსაც კემშარიტი რუსიც მოაწერდა ხელს, ის რუსი, რომელიც ქართულ ენას „ძაღლის ენას“ უწოდებდა და ჯაფარიძემაც კიდევ ერთხელ გაგვახსენა!

მაგრამ, სანამ ჯაფარიძის წერილის მთავარი აზრად შეფასებაზე გადავიდოდე, აქ მინდა ავლნიშნო მისი მთელი რიგი შეცდომებისა თანამედროვე ჩვენი ისტორიიდან. თუმცა ავტორი აღნიშნავს რომ „ჩემს მიზანს არ შეადგენს ძირფესვიანად მიმოვიხილო სოც. პოლიტიკური მდგომარეობა ამ დროის საქართველოსიო“, მაგრამ, კემშარიტების გადმოცემა შეიძლება მრავალ ტომებშიც და ერთ ფრაზაშიც!

აქ, მამასადამე, ჯერ ეს შეცდომები უნდა დავასახელო. ავტორს რომ მოესურვა, ამას თავიდან აიციდნდა, რადგან ყველა საქირო დოკუმენტი გამოქვეყნებულია და უმთავრესად საქართველოში.

1. ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე იგი სწერს: „ზავის პირობების თანახმად, თურქეთის განმგებლობაში გადადიოდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, შეცდომა



\*\*\*\*\*



აქ იმავნა, რომ ახალციხე-ახალქალაქის მაზრები არ შედიოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავში. ხოლო შემდეგში რომ ის თურქებმა დაიკავეს, ამის მიზეზი სხვა იყო. ამაზე ქვემოლ.

2. შემდეგ რ. ჯაფარიძე სწერს: „ღღეს მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ უძნელეს პირობებში საქართველომ თავისი მიწა-წყალი შეინარჩუნა, განდევნა თურქების არმიები იმ ტერიტორიიდან, რომელზედაც მეთერთმეტე არმიას ხელი არ მიუწვდებოდა. თუ არა თავგანწირვა ერისა და იმ მოღვაწეებისა, რომლებიც ურთულეს ისტორიულ პირობებში წარმოადგენდნენ მას, ღღეს თურქეთის ფარგლებში იქნებოდა სულ ცოტა ბათუმი აჭართურთ და ძველი მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებით.“

საქართველოს ნაწილები: არტაან-ართვინის მხარე, ნაწილი ბათუმის ოლქისა და ნაწილი ახალციხის მაზრისა, სწორედ რუსებმა დაუთმეს თურქეთს (ჯერ 16 მარტის 1921 წ. ხელშეკრულებით) და მერე ყარსის ხელშეკრულებით, რაზედაც ქართველ კომუნისტებსაც მოაწერინეს ხელი აზერბეიჯანელებთან და სომხებთან ერთად.

აქ ჩვენ გვაკვირვებს მეთერთმეტე არმიის შეჩხირება. რუსები აქ რა შუაში იყვნენ! ჯერ კაცკასია და მერე საქართველო თავისუფალნი იყვნენ! რ. ჯაფარიძის დებულება რა გინდ პატრიოტული გრძნობით არ იყოს დაწერილი და მის მიერ მენშევიკური მთავრობის დაცვა რომ მხედველობაში არ მივიღოთ, მთლიანად ზღაპარია და ის სინამდვილეს არ შეეფერება. ჯაფარიძე აგრეთვე სწერს, რომ თითქოს მენშევიკები „მთავრობაში მარტო არ იყვნენ, მათთან ერთად ქვეყანას მართავდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიცო“. ავტორს რომ ცოტა თარიღები მოეშველიებინა, იქნებ მისი აზრი გასაგები გამხდარიყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას მართლაც შესდგა კოალიციური მთავრობა; თუმცა ახლაც მთავარი პოსტები მენშევიკების ხელში იყო. ხოლო დამფუძნებელი კრების არჩევნების (1919) შემდეგ, როდესაც მენშევიკებმა ხმის უმრავლესობა მიიღეს, შეადგინეს წმინდა მენშევიკური მთავრობა და, მაშასადამე, მას შემდეგ მომხდარი ამბების სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ პარტიას ეკისრება.

რომ ჯაფარიძის ფრაზა ზღაპარია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირია. მაშინ საქართველოს ისეთი ძლიერი ძალა სად ჰყავდა, რომ თურქების არმია გაედევნა და თუ ეს შეეძლო, რატომ მანამდე არ დაიკვა ქვეყანა! სინამდვილე სულ სხვა იყო. ჩვენ ვცხოვრობდით 1918

\*\*\*\*\*



წელში. მოახლოებული იყო ბოლო მსოფლიო ომისა. ყოველი უთამყოფელი ხედავდა, რომ გერმანია და მისი მოკავშირე თურქეთიც მარცხდებოდნენ და ამ დამარცხების მიზეზი იყო შემდეგი მდგომარეობა...

საქართველოს ჯარებს არ უნდა გაენთავისუფლებინათ ბრესტის ზავით დაკავებული ტერიტორიები. თურქებმა ის დასტოვეს თანახმად მუდროსის ზავისა. მაშინ ერთი ტყვიაც არავის გაუსროლია. სხვათა შორის, ჟორდანიას თავის მემუარებში გადმოგვცემს, რომ ყარსის დაკავება ინგლისელებს საქართველოსთვის შეუთავაზებიათ. ჟორდანიას კი კაცთმოყვარეობა გამოუჩენია და ყარსი სომხებისათვის დაუთმოია. ცხადია, ინგლისელები საქართველოს მისი ლამაზი თვალებისათვის კი არ სთავაზობდნენ ყარსს, არამედ იმიტომ, რომ ფიქრობდნენ, ქართველები უკეთ დაიცავდნენ მას.

როგორც ავღნიშნე, ახალციხე-ახალქალაქი არ შედიოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში და, როდესაც თურქები მოითხოვდნენ ზავის შესრულებას, ახალციხე-ახალქალაქი არ შედიოდა ამაში. ხოლო მერე, როდესაც ისიც დაიკავეს, ეს გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: როდესაც თურქები ტრაპიზონის კონფერენციაზე ზავის პირობების შესრულებას მოითხოვდნენ, ამაზე გაიმართა ვაჭრობა. ჩვენები მხოლოდ ნაწილს უთმობდნენ, თურქები კი ყველაფერს მოითხოვდნენ და როდესაც ჩხენკელმა ეს თბილისში აცნობა, აქ მოხდა გაუგებრობა. ულტიმატუმის ვადა გადიოდა, ჩხენკელმა კი პასუხი ვერ მიიღო. მაშინ, ვინაიდან მას სრული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, თურქების მოთხოვნილება დააკმაყოფილა. თბილისში ეს დროზე ვერ შეიტყვეს და თურქებს ომი გამოუცხადეს. ამ ე.წ. ომის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, რადგან მას არავითარი კვალი არ დაუმჩნევია საერთო მსვლელობისათვის. და როდესაც ბათუმში განახლდა თურქებთან საზავო მოლაპარაკება და ჩვენები მოითხოვდნენ მოლაპარაკების ბაზად მიეღოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ეს თურქებმა არ მიიღეს და ახალციხე-ახალქალაქის დაკავებას ამართლებდნენ იმით, რომ ტრაპიზონის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ჩვენს შორის სისხლი დაიღვარა...

და როდესაც 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ახლა თურქეთთან მოლაპარაკება ცა-

\*\*\*\*\*

ლკე რესპუბლიკებთან გადავიდა და თურქებმა მეტად სამარცხვინო ხელშეკრულებაზე მოაწერინეს ხელი ქართველებს. თუმცა ვაჟა-ფშაველამ მიხვდებოდა, რომ ეს არ იყო სამუდამო, რადგან საბოლოო ზავი კარზე იყო მომდგარი და ისიც ნათელი იყო, რომ თურქები მარცხდებოდნენ და ამ დამარცხების შედეგი იყო, რომ თანახმად მულროსის ზავის პირობებისა, თურქებმა დასტოვეს ყველა დაპყრობილი ტერიტორიები და „განთავისუფლება“ კი არა, როგორც ავღნიშნე, ამ დროს ერთი ტყვიაც არავის გაუსროლია და ჯაფარიძის სიტყვები, რომელიც ამ „განთავისუფლებას“ მიაწერს „თავგანწირვას ერისა და იმ მოღვაწეებისა, რომლებიც ურთულეს ისტორიულ პირობებში წარმართავდნენ მას“, სრული ზღაპარია.ა..

არ შემიძლია არ შევეხო სპეციალურად ბრესტ-ლიტოვსკის ზავს. რადგან, როგორც სჩანს, საკითხი თავის დროზე მიჩქმალულა ჩვენი მაშინდელი მოღვაწეების მიერ, ასევე მათ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში წაყრუებული, ასევე გაუგებრად არის წარმოდგენილ ჯაფარიძის წერილში, ალბათ ამ ოფიციალური ვერსიის გამო, რომ ამიერკავკასიას არ შეეძლო მიეღო ბრესტ-ლიტოვსკის გადაწყვეტილება, რადგან მას იქ მონაწილეობა არ მიუღია და სრულიად ბავშვურად „საერთაშორისო უფლების წესებსაც“ იშველებენ.

ჩემს წიგნში (გამოვიდა 1964 წ.) „რუსეთ და საქართველოს დამოუცილებლობა“ თუცა მოკლედ ყველა ეს საკითხი სათანადოდ არის დასაბუთებული უშუალოდ დოკუმენტებზე დამყარებით, აქ მაინც მინდა მოკლედ შევეხო მას. რადგან ეტყობა, საქართველოში არ კითხულობენ უცხოეთში შექმნილ ქართულ ლიტერატურას და არ ვიც, ახლად შექმნილ პირობებში, რომელმაც აღნიშნული წერილის დაბეჭდვა გააბედნა ბ. ჯაფარიძეს, შესძლებს თუ არა ჩვენი წერილის წაკითხვას! რაკი ახდლობის საკითხი დგას, ჩვენი წერილიც მოათავსონ იმავე გაზეთში, სადაც ჯაფარიძის წერილი დაიბეჭდა! ა. მაგრამ მკითხაობას თავი დავანებოთ და საკითხზე გადავიდეთ.

1918 წელს, როდესაც მოლაპარაკება დაიწყო რუსის კომუნისტებსა და გერმანიას შორის, ამ დროს ფაქტურად ამიერკავკასია მოწყვეტილი იყო რუსეთს. ის არ ვაპყვება ბლშევიკების გზას და ფაქტური დამოუცილებლობა მიიპოვება. შეიქმნა ე.წ. ამიერ კავკასიის კომისარიატი, სათანადო მთავრობით და მათი ლეგალური მას უწოდეს „დროებით“. რადგან ამაში

\*\*\*\*\*



მონაწილეობას იღებდნენ რუსული ელემენტები და აგრეთვე ქართველი მენშევიკები, რომელნიც წარმოადგენდნენ განდამწყვეტ ძალას, როგორც საქართველოში, ისე ამ. კავკასიაში, მოედნდნენ, რომ პეტერბურგში ლაზარე აღსდგებოდა და ისინი ძველ მეგობრებს, რუსეთის დემოკრატას დაუბრუნდნენ.

ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია ამის აღვნიშნა, რადგან გაუგებარო იქნებოდა შემდეგი მოვლენები.

მამასადამე, ამ. კავკასია ფაქტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მაგრამ ამას ის სთვლის დროებითად და დამოუკიდებლობას არ ატყაბდებს. ამავე პირობებში ის მოლაპარაკებას აწარმოებს თურქებთან. ცხადია, ოფიციალური დამოუკიდებლობის გარეშე საერთაშორისო ურთიერთობებში შესვლა თავისთავად ანომალიაა. ამას კარგად ხედავენ თურქები და დაჟინებით მოითხოვენ, რომ ამ.კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადოს. მაგრამ ამ.კავკასიის კომისარიატი ამას არ აკეთებს და სხვადასხვა უფასო მიზეზებით დროს მიათრევს. მას თითქოს უნდა ორი კუროდელი დაიჭიროს: თურქებთან მოლაპარაკება აწარმოოს როგორც ფაქტურად დამოუკიდებელმა სახელმწიფომ და არც რუსეთის დემოკრატას უღალატოს, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. თურქეთი ერთნაირად სტოობდა ამ.კავკასიის დამოუკიდებლობას და დაჟინებით უმეორებდა, რომ ეს ოფიციალურად ყოფილიყო გაფორმებული. ამას ზოგი უჩვენებდა იმით ხსნიდა, რომ თურქეთი ამას აკეთებდა თავისი ინტერესებისათვის, მათ უნდადღათ ამ.კავკასიის სამუდამოდ ჩამოშორება რუსეთსაგან და ჩვენი მიზანიც ეს არ უნდა ყოფილიყო...

ამ ჩიხში იყო მომწყვდელი ჩვენი ქვეყანა და როდესაც ბრესტ - ლიტოვსკის მოლაპარაკება დაიწყო, თურქებმა ოფიციალურად მიმართეს ამ.კავკასიის მთავრობას, რომ მათ თავიანთი წარმომადგენელი გაეგზავნათ კონფერენციაზე. აქედან სჩანს, რომ თურქეთი ერთნაირად სტოობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ფაქტურად.

მაგრამ, როგორც ზემოთ ავღნიშნე ამ.კავკასიის მთავრობის მდგომარეობა, მან თურქეთის წინადადებას სათანადო პასუხი არ გასცა. მან „ყური წაიყრუა“, როგორც ქართულად იტყვიან და ეს „წაყრუება“ გამოქრთის ყველა ლეჟენტში.

\*\*\*\*\*



თუ მათ ეს ახლად ვერ სთქვეს, ჩვენ ვთქვამთ ბრესტ-ლიტვისკის ზავზე დასწრება ერთნაირად აკანონებდა მის საბოლოო გამოყოფას რუსეთისაგან. ზედმეტა ლაპარაკი იმაზე, თუ ამ დროს თავის გულში ვინ რას ფიქრობდა. ფაქტი ის არის, რომ კომისარატმა თავისი დამოუკიდებელი მოქმედება დროებითად გამოაქადა და მაშასადამე, საბოლოოდ ის რუსეთისაგან გამოყოფილად არ ითვლებოდა. რუსეთში კი ამ დროს უკვე ბოლშევიკები ბატონობდნენ. თუ ამ კავკასიის კომისარიატ მას არ სწობდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთ პირობებში ბრესტ-ლიტვისკის ზავზე ამიერკავკასია ისევ რუსეთის ნაწილად იგულისხმებოდა და გერმანიას რაც უნდა სიმბატა ჰქონოდა ჩვენი, ის ამ ფაქტურ მდგომარეობას ემყარებოდა. რაც შეეხება თურქეთს, აქამდე მას ჩვენთან არავითარი ტერიტორიალური პრეტენზია არ ჰქონია, ახლა კი, როდესაც ნახეს ამ კავკასიის სიბეცე და რომ მათი წინადადება არ მიიღეს, ახლა მაქსიმუმი მოთხოვნილება წამოაყენეს და მიიღეს კიდევ გერმანიამ ეს მიიღო ასევე დათანხმდნენ ბოლშევიკები. რადგანაც ამჟამად მათ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. ამნაირად ბრესტ-ლიტვისკის კონფერენციაზე დაუსწრებლობა იყო უღელსი შეცდომა, რის გამოსწორებაც ალბათ ძნელი იქნებოდა, თურქეთი ომში რომ არ დამარცხებულიყო.

ეს შეცდომა პარიზში გამართულ ერთ საჯარო კრებაზე ახლად აღიარა აწ განსვენებულმა აკაკი ჩხენკელმა და ისიც დასძინა, — შემდგომ, როდესაც პირადად შევხველ გერმანიის კანცლერსო, მან პირადად მითხრა: თქვენ რომ თავის დროზე ბრესტ-ლიტვისკის კონფერენციას დასწრებოდითო, ჩვენ თქვენს მიწებს თურქებს არ დავუთმობდითო. ამნაირად პატოსანი აკაკი ჩხენკელი ამას აქაადებდა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეთა წინაშე. და მართლაც იმ პერიოდში ის დაბეჯითებით მომხრე იყო და მოთხოვდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოქაადებას.

როგორც ვნახეთ, თუმცა მდგომარეობას სრული დამოუკიდებლობისაკენ მივყავდით, იყო წრე და მეტად ძლიერი რომელიც საერთო სვლას უკან ეზიდებოდა. და როდესაც უკანასკნელი ომის შემდეგ პრესაში მოვიხსენიე მენშევიკების მოთქმა და ტირილი, რომ ისინი იძულებული არიან დასცლდნენ რუსეთის

\*\*\*\*\*



დემოკრატას და მოვიყვანე მ. არსენიძის სიტყვა, ეს ტროლი და გოდება ისმოდა, არსენიძე იქამდე დაქვედნა სინდსმა, ის-და დაჩენოდა რომ ცოტა შემემღერა ამის გახსენებისათვის!...

ჯაფარიძის წერილში მთელ რიგ წინააღმდეგობასაც აქვს ადგილი. როგორც ქვემოთ შევეხებით, ის იმეორებს რუსულ ვერსიას, რომ საქართველომ თავისი ნებით გააუქმა თავისი სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა რუსეთს უძღვნა და თითქოს ეს ყოფილიყოს ნაკლები ბოროტება და სხვ. ჯაფარიძე ერთ ადგილს იმასაც სწერს, რომ „საქართველომ ოდესღაც უკანონოდ წარმედული დამოუკიდებლობა აღდგინაო“ და სხვ.

საოცარია! თუ საქართველომ თავისი ნებით შესთავაზა რუსეთს თავისი ქვეყანა, „უკანონოდ წარმედვა“ რაღა შუაშია?! იმ შუაშია, რომ როდესაც ცხოვრობთ ისეთ პირობებში, რომ როგორც ილია იტყობა: „გინდა არ გინდა უნდა სთქვა, მუჟას ვაშლი აბიაო“ და მთელ რიგ სიმართლესთან ერთად „მუჟას ვაშლი აბიაც“ უნდა იძახოთ და ჯაფარიძეც იქვე დასძენს: „აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა, რომლის სათავეშიც ლენინი იდგა, პირველმა იცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მასთან დაპლატა იური ურთიერთობა დაამყარა ელჩების დანებზე“...

ეს განმეორება იმისა, როგორც იმპერატორების რუსეთმა საქართველო დალუბვას გადაარჩინა და ახლა ლენინის მიერ ცნობა საუყეთესო მაგალითი იქნებოდა, სხვებსაც ვეცანით, როგორც ამას გულბრყვილოდ ფიქრობდა ნოე ყორღანი!

აქ დასვა წერტილი ბ. რ. ჯაფარიძემ და თუ ნებას მოგვცემს, ჩვენ გვინდა ის განვაგრძოთ და იქნებ კეთილ ინებოს და ეს თავის მკითხველებსაც გააცნოს!

თავის დროზე, ლენინის ხელშეკრულებამ ნოე ყორღანიც შეცდომაში შეიყვანა, როდესაც ბოლშევიკური აგრესია საქართველოს მიმართ სტალინს და ტროცკის გადააბრალა და ლენინი მამა აბრამის ბატნად დასახა. მართალია, ლენინი ძალიან ფრთხილი იყო და ერთხელ კავკასიაში მის რწმუნებულს სტ. შაუმიანს სწერდა, რომ, თუ მოახერხო ყორღანიასთან კავშირში შედო. ალბათ მას ახსოვდა, როგორც მიხ. წერეთელი გად



\*\*\*\*\*

ერკონული  
ქრონიკები

მოგვცემს: ბლშევიკ - მენშევიკების გაყრის დროს, დასაწყისში არც ერთს არ მიმხრობია. მეტეც შეიძლება ითქვას, 1920 წელს რუსეთში ლენინის გარეშე ვერავინ გადადგამდა სეროზულ ნაბიჯს, ვერც ტროცკი და ვერც სტალინი. ამიტომ ლენინის გათეთრებას თავი დავანებთ!

გავიხსენოთ სინამდვილე და ფაქტების თანახმად სწორედ ხაზი ლენინის პოლიტიკისა. ეს კი იყო ის, რომ გაქცეული ქვეყნები უკან უნდა დაუბრუნდნენ მოსკოვს. ამას ამართლებდა ის თანახმად სოციალისტური ინტერესებისა. და ლენინის აგრესიას რომ სტალინიც სიამოვნებით მიიღებდა, ესეც ქადაბა: ამით ჯერ თავის თანამდებობას გაამართლებდა, როგორც ეროვნებათა კომისარი და მერე ქართველ მენშევიკებზეც შურს იძიებდა, რომელთაც ის საქართველოდან გააძევეს...

1920 წ. აპრილში რუსებმა აზერბეიჯანი დაიკავეს (ხოლო იმავე წლის დეკემბერში, სომხეთიც). ამავე დროს მონღოებს თავდასხმა საქართველოზე. პირველი დაეცნენ სამხედრო სკოლას, სადაც ისინი განადგურებულ იყვნენ. მათ უნდოდათ შიგნით გადატრიალება მოეხდინათ. ეს არ გაუვიდათ. ისინი დამარცხდნენ. გენ.კვინიტაძემ თავისი ორმოც ათასიანი არმიით შეუტია და სასტიკად დაამარცხა. მას ჩუმად დახმარებას ჰპირდებოდნენ აზერბეიჯანელები და სომხები, თუ ის ბრძოლას განაგრძობდა და კვინიტაძე დარწმუნებული იყო, რომ რუსებს კავკასიიდან განდევნიდა: გადაწყვეტილი იყო, რომ შეტევა დაწყებულიყო 19 მაისს, როდესაც გენერალმა მთავრობისაგან მიიღო ბრძანება ომი შეეჩერებინა! ამ დროს კი უორდანიას წარმომადგენელს მოსკოვში ხელშეკრულებაზე ხელს აწერონებდნენ. რაც უკვე მომხდარი იყო შვიდ მაისს, ე.ი. როდესაც ომი ჯერაც გრძელდებოდა!...

ერთ კერძო შეხვედრის დროს, განსვენებულ ევ.გეგეჩკოვს ვუსაყვედურე ამ ხელშეკრულების შინაარსის შესახებ. მინდოდა მისი აზრი გამეგო. მან ამაზე პირდაპირი პასუხი არ გამცა. მაშინ ვერ მივხვდი, რომ ის ამ ფორმით თავის აზრს გამოსთქვამდა. დავიანებთ კი ნოე უორდანიამ თავის მოგონებებში აღნიშნა, რომ აღნიშნული ფორმით ხელშეკრულებისა ევგენი წინააღმდეგი იყოვო!...

\*\*\*\*\*

ამნაირად, დაქტუზად მოხდა შემდეგი: საქართველოს და საპყრობად შემოსეული რუსები 1920 წელს სასტიკად დაძვინჯეს და ლენინმა იანგარიშა, რომ საკითხი დროებით გადაეღო და ქართველების თვალის ასახვევად ხელშეკრულება დაუდო იქნო საქართველოს დამოუცილებლობა... .

მაგრამ ჩვენი გრძნობა ურატაძე საბა ორბელიანი არ იყო და ლენინი კიდეც – ლუღვიკო მეთოხმეტე. საბამ მოგზაურობის დროს საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა. გრძნობასაც მოუვიდა ამის მადა, მაგრამ ჯერ ის მოხსენების სახით წაიკითხა პარიზის საზოგადოებაში. მაგრამ მას აქ მოლოდინი არ გაუძარღვდა. მას ისე დიდ კრიტიკა გაუყეთეს, რომ ვეღარ გამოსცა.

ასევე კურორტულია ურატაძის ელჩად არჩევა. ეორდანიამ ეს საქმე ჯერ საიდუმლოდ გააკეთა, არც მთავრობას და არც დამფუძნებელ კრებას არ გაუზიარა და ყოველვე ეს საიდუმლოების მიზნით. ე.ი. „დემოკრატია და ჟეორჯიენ“... .

ეორდანიამ სწერს, რომ ელჩად ისეთი პირი უნდა ამერჩია, რომელიც პირადად იცნობდაო ლენინს და ასეთ ყოფილა ურატაძე. პირველი ომის წინ, ლენინს პარიზის გარეუბანში, – ვიროფლეში ჰქონდა სკოლა, სადაც წვრთნიდა რევოლუციონერებს და საქართველოდან გრძნობა ურატაძე გაუზგავნიათ ამ სკოლაში. ე.ი. გრძნობა იყო ლენინის მოწაფე. ესეც უწყაურობა, რადგან ამ დროს მენშევიკ - ბოლშევიკები უკვე გაყრილ იყვნენ და ურატაძე კი მენშევიკი იყო! მაშასადამე, ელჩისათვის მოსკოვში საკმარისი ყოფილა ლენინის ნაცნობობა. ამის მეტე, ელჩისათვის სხვა არაფერი ყოფილა საჭირო. რაკი ეორდანიამ ერთი კაცე გააგზავნა, ტადა, ერთსა და იმავე დროს ის უნდა ყოფილიყო ექსპერტე: იურიდიული, სამხედრო, ისტორიული და ეკონომიკური საკითხებისა. ტადა, გეორგრაფიაც უნდა სცოდნოდა, რომ საზღვრების საკითხში არ მოტყუებულიყო, როგორც ეს მას დაემართა. ეორდანიას ამაზე აღარ უფიქრობა, თუ გრძნობა ურატაძე ზიდავდა ასეთ ტვირთს და მოსკოვში ეს დროს ეულად შეაფასეს. მოზადებული ხელშეკრულება დაუდეს წინ, თანახმად მათე ჩვეულებისა, და ცოტა ყოყმანის შემდეგ გრძნობას ხელი მოაწერინეს. მათე მხრივ კი, ხელი მოაწერინეს საგარეო საქმეთა კომისიის მოადგილეს სომეხ კარახანს, – ქართველებს ესეც გეყოფათ!

\*\*\*\*\*

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ამ ხელშეკრულებას აქ არ შეეხები: ის იყო ნების მსგავსი. ერთადერთი, რაც მოსკოვმა ქართველებს შესთავაზა, ეს იყო მისი დამოუცილებლობის ცნობა. დანარჩენი ყველაფერი იყო ნაკარნახები მათი ინტერესების მიხედვით.

ისე, როგორც ერთ დროს ეკატერინე დაჰპირდა მეფე ერეკლეს დაცვას გაპირების დროს და მერე გასწირა, ასეთივე ნომერი გაუყვითა ლენინმა საქართველოს. სხვანაირად არც შეეძლო, - ისიც ხომ რუსი იყო!

ბევრმა ისიც ვერ შეამჩნია, რომ ლენინი იმასაც უთმობდა საქართველოს, რაც მას არ ეკუთვნოდა. რომ ის თურმე ხელს იღებდა საქართველოზე რუსეთის სუვერენულ უფლებაზე. ვინ მისცა რუსეთს ეს უფლება?! მთელ ქვეყანაზე ცნობილი იყო, რომ რუსეთმა საქართველოს ანექსია მოუჭონდა. საერთაშორისო უფლების წესით, როგორც კი ეს ანექსია მოიხსნება ქვეყნის დამოუცილებლობა უნდა აღსდგეს ავტომატურად სამი ევროპელი მეციერი (ფრანგი, გერმანელი და შვეიცარიელი) შეეხო ამ საკითხს და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ანექსიას საქართველოს სუვერენობა არ მოუსპობია და, მაშასადამე, რუსეთის საქართველოს რომელ სუვერენობაზე შეიძლება ლაპარაკი?! ამნაირად, ლენინის აქტი ბოლომდე ყალბია და ეს გააყვითა უბრალოდ ქართველების მოსატყუებლად. მართლაც, ქართველი ექსპერტების აზრით, ამ ხელშეკრულებამდე საქართველოს მთავრობა გაცლებით უკეთ იცავდა თავს, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ, თავდაცვა შენედა; ე.ი. ლენინმა თავის მიზანს მიაღწია. 1920 წელს, ქართველ მთავარსარდალს ორმოცათასიანი ლაშქარი ჰყავდა, ხოლო სულ რაღაც შვიდი - რვა თვის შემდეგ, როდესაც ქართველი ლაშქარი თბილისიდან უკან იხევდა, მისი რიგები უღრიდა მხოლოდ 9600 ადამიანს!

და როდესაც ჯაფარიძე ლენინსა და ბოლშევიკებს რბილად იხსენიებს, კარგი იქნებოდა ამ ამბის გაგრძელებაც გაეზება, ამით ბევრ რამეს მოიგებდა რომ სიმართლე გაეგო..

ახლა უნდა გადავიდეთ ყველაზე საჭირო ოროტო საკითხზე: რადგან ამან ზოგი პატრიოტიც მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ და ბევრი არც იმას დარღობდა, რომ ილია ჭავჭავაძე დემოწმებული იმის - შესახებ, თთქოს რუსეთის ბატონობა სასარგებ-

ლოც ყოფილიყოს. ახლაც ბ. რ. ჯაფარიძე რუსული ვერსიის მოწმებლად დიდ ივანე ჯავახიშვილს იმოწმებს. ოცდაათი წლებში, მიხეილ წერეთლის წინადადებით, მე თვითონ მომიხდა ამ საკითხის შესწავლა და როდესაც გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი „რუსეთი და საქართველო“ ის აღიარებული იყო მთელი კულტურული ემიგრაციის მიერ და დაგმობილი რუსული ვერსია. ეს ვერსია გახლავთ შემდეგი: ბტრისგან შევიწროებული საქართველო სათანადო ხელშეკრულებით შედის რუსეთის მფარველობაში, ხოლო ცოტა გვიან თავისი სახელმწიფო გააუქმა და საქართველო რუსეთს უძღვნა. გარდა ხელშეკრულებისა ყველაფერი სიყალბეა.

თვით მეფე ერეკლეს მიერ დადებული ხელშეკრულება რუსეთთან დიდ შეცდომად მიგვაჩნია (ამის დასაბუთება სხვაგან გვაქვს). მეფე ერეკლეს სამხედრო გენიოსობა ცნობილი იყო მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთშიც. მაშინდელი ევროპის პრესა მას ხშირად იხსენიებს, როგორც დიდ მეფეს და ერთ-ხანს ევროპაში იმასაც მოელოდნენ რომ მეფე ერეკლე ირანის ტახტს დაიკავებდა. ხოლო პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდს მიაწერენ სიტყვებს: „დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში ირაკლი!“ ეკატერინე მეორე ვოლტერთან მიმოწერაში ირაკლის დიდ გმირად იხსენიებს, ხოლო თურქეთის სულთანი სპარსეთის შახს სწერდა: „დათვს რომ სძინავს არ უნდა გააღვიძო, თორემ ყველას აგვიკლებსო“ და სხ.

ასეთი იყო ირაკლი, მაგრამ ის შეცდა. ასეთი შეცდომა დასაშვებია იქნებოდა, რომ მას რუსებზე პრეცედენტი არ ჰქონოდა. ადრინდელ ურთიერთობასაც რომ თავი დავანებოთ, რუსებმა პირველად ირაკლის პაპა, ქართლის მეფე ვახტანგ VI დააღალატებინეს. რუსეთმა იგივე გაიმეორა 1770 წელს თურქებთან ომის დროს, როდესაც ირაკლი და სოლომონი ომში დაიკავშირა და მერე ზავის დროს გასწორა და ყველა ამ გამოცდილების შემდეგ როგორ შეიძლებოდა რუსებისადმი ნდობა?!

ისიც ცნობილია, რომ დასაწყისში ირაკლიმ სცადა დასავლეთის ქვეყნებიდან მიეღო დახმარება, რაც არ გამართლდა. ეტყობა, ირაკლი კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ ეს დაძლია რუსეთის დაწოლამ, პროპაგანდამ. რუსეთს აგენტები ჰყავდა მიჩენილი ირაკლისადმი, აიძულებდნენ, მიეღო რუსეთის მფარველობა. ეს დაწოლა ისეთი ძლიერი იყო, რომ მეფეს თვითონ ათხოვნიენს ამ აქტის შესრულება. რუსულ ლიტერატურაში საკმარისი ცნობები მოიპოვება იმის შესახებ, თუ რუ-

სეთი როგორც კმაყოფილი იყო ამ აქტით და ხელშეკრულებების დადებითი პატივმოქმედებით ამ ფრიად დიდ მიღწევების დიდ დასრულებას ჯილდოვებული!

ხელშეკრულება დადებული იყო ორ სრულფასოვანი სახელმწიფოს შორის და როგორც დადება ისე მისი გაუქმება შეუძლებელია ორივე მხარის თანხმობით. ხელშეკრულების ძირითადი იდეა ასეთია: საქართველო შედის რუსეთის იმპერიის მფარველობაში, ინარჩუნებს თავის სუვერენულ უფლებებს საშინაო საქმეებში, ხოლო საგარეო პოლიტიკაში უნდა უთანხმდებოდეს რუსეთის მთავრობას. სულ ეს იყო მისი დათმობა...

ირაკლის ამ აქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მეზობლებში. ცხადია, უფრო მეტად – სპარსეთსა და თურქეთში, რადგან კავკასიაში რუსებს გზა ეხსენებოდათ. ისე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ საქართველოში შემოყვანილი ორი ბატალიონი ჯარი რუსებმა უკანვე გაიწვიეს. ამ პერიოდში საქართველოს არაფერი ემუქრებოდა, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოს, პირველი, მოხარკე ქვეყნებმა შეუწყვიტეს ხარკი. „გაპირებულ ქვეყანას“ მოხარკეებიც ჰყოლია!

სწორედ იმ პერიოდში სპარსეთში დიდი არეულობა იყო და როგორც ყოველთვის საბოლოოდ ყაჯარმა ალა მაჰმად ხანმა ხელთ იგდო მეფობა და ქართველ მეფესაც მოაკითხა, თუმცა ერეკლეს სამეფო დიდი ხანია სრულიად თავისუფალი იყო. სპარსეთის ახალი მბრძანებელი ისევე ძველი მდგომარეობის აღდგენას მოითხოვდა. რაკი ირაკლიმ მისგან თავი შორს დაიპირა, მოსალოდნელი იყო სპარსეთის შემოსევა. ირაკლი, ალბათ, დაიმედებული იყო, რუსეთიც რომ არ დახმარებოდა, იქნებ ყაჯარს შემოსევა ვერ გაებედნა, რაკი ირაკლი რუსეთის მფარველობაში იყო. ეს არ მოხდა.

როცა ირაკლიმ ნახა, რომ ალა მაჰმად ხანი წინ მოიწევდა, რუსები გააფრთხილა და დახმარებას სთხოვდა სპარსეთის მოსალოდნელი შემოსევისათვის. სპარსეთის შაჰს კარგი დაზვერვა ჰქონდა და როგორც გამოირკვა, მას კარგად სცოდნია, რომ რუსეთი საქართველოს არ დაეხმარებოდა. რუსეთის პოლიტიკაშიც ოდნავ ჩახედული ადამიანიც მიხვდებოდა ამას და შეიძლება, ირაკლიც ეჭვობდა ამას, რომ ასე დაუინებით მოითხოვდა დახმარებას რუსეთისგან.

**1783** წლის ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ საკმარისი იყო ირაკლის მიემართა რუსეთის კავკასიის ხაზზე მდგომარეობის

მი ჯარის უფროსისათვის, რომ მთავრობის დაუკითხავად მარებოდა ქართველებს. და როდესაც ალა მაჰმად ხანი ქართველსაკენ, კავკასიის ხაზის უფროსმა გუდოვიჩმა უარი უთხრა ქართველ მეფეს. შემდეგში გამოირკვა, სპარსეთი რომ საქართველოს შემოესია სექტემბერში, გუდოვიჩს მაისიდან ჰქონდა ბრძანება პეტერბურგიდან, რომ ირაკლისადმი დახმარებაზე თავი შეეკავებინა მთავრობის ნებართვის გარეშე.

ხოლო ცოტა მოგვიანებით, როცა მავრმა მისი საქმე გააკეთა და წავიდა, მხოლოდ მაშინ მიიღო გუდოვიჩმა ბრძანება დახმარების შესახებ. ალა მაჰმად ხანმა 12 სექტემბერს ააოხრა თბილისი და დიდი ძალი ტყვე წაიყვანა. მართალია ბრძანება გაცემული იყო 4 სექტემბერს, მაგრამ მაშინ ცნობის მიღება დროზე არ შეიძლებოდა, რუსებს არითმეტიკა არ შეშლიათ!

მაშასადამე ყველაფერი ცხადი იყო: რუსეთის მიზანი იყო საქართველოს დაცვა სიტყვით, ხოლო საქმით რაც შეიძლება მეტად დასუსტება, რომ მომავალი ანექსია გაემართლებინათ და ასეც მოხდა.

ამგვარად, რუსეთმა პირველსავე შემთხვევაში დაარღვია ხელშეკრულება და ამ ფაქტით ის უქმდებოდა. გონიერება მოითხოვდა, რომ ირაკლის ამ მიმართულებით ემოქმედა და სხვაგან ეძია ხსნა. ასე ხდება პოლიტიკაში: გუშინდელი მტერი შეიძლება ხვალ მეგობარი გაგიხდეს, ან უკუღმა. ირაკლი კი გაჯიუტდა და რუსეთთან კავშირი ახლილათ მაინც არ დაარღვია.

მალე ირაკლი გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა დაავადებულმა და სუსტმა გიორგიმ მეთორმეტემ და მას მიაწერენ, რომ თითქოს თავისი სახელმწიფო რუსებს მიართვა საჩუქრად, რადგან აღარ შეეძლო მისი მოვლა და, რომ თითქოს ეს ყოფილიყოს „უმცირესი ბოროტება!“ რუსების მიერ შექმნილი ეს ლეგენდა ნაყოფიერი გამოდგა და მან ზოგიერთი ქართველიც აიყოლია. აი რას სწერს ამაზე რ. ჯაფარიძე: „ყველა საბუთი, რაც კი ისტორიამ შემოგვინახა, გვარწმუნებს, რომ უკანასკნელი სენით შეპყრობილ ლოგინად ჩავარდნილ გიორგი XII-ს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს, შექმნილ ისტორიულ პირობებში არავითარი არჩევანი არ გააჩნდა და ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენის მოიმედემ ხვეწნა-მუდარის საბედისწერო აქტზე თავისი ხელთვა დასვა“. ეს რომ მართალი იყოს, მეფე გამოსულელებული ყოფილა!

როდესაც რ. ჯაფარიძის ეს სტრიქონები წავიკითხე, ბავშვივით



გამეცინა. ნიჭიერ მწერალს რათ დასჭირდა ისეთი ქართული, რომელიც განმარტებას მოითხოვს? და მერე ვისგან? სამოქალაქო ომის წინ საქართველოდან მოწყვეტილი ქართველიდან. შეგნებული მკითხველისთვის ეს ყველაფრის მთქმელია! ისტორიამ სწორედ ისეთი საბუთები შემოგვინახა, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ჯაფარიძის დებულებას, ანდა რას ეძახის „საბედისწერო აქტს?“, რაზედაც მეფეს ხელი მოუწერია? სად გაგონილა, სიკვდილის პირად მყოფ მეფეს რა უფლებით შეეძლო საკუთარი სახელმწიფოს მკვლელობაზე ხელი რომ მოეწერა?

რ. ჯაფარიძე, აგრეთვე, განაგრძნობს კვლავ ისეთი ქართულით, რომელიც განუმარტავად ვერ წაიკითხება: „დიახ, ეს გახლდათ ბოროტება, მხოლოდ უმცირესი, ისტორიული კანონზომიერებით ნაკარნახები, იძულებით ჩადენილი და როდესაც საქართველოს ისტორიის მამა, დიდი ივანე ჯავახიშვილი თავისი თხზულების მეხუთე ტომში ამ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევს, ხომ უნდა ვიქონიოთ გონიერება და მივხვდეთ, რომ ის ამით არავის შეურაცხყოფს და არც ვისმეს აძლევს საბაბს, პოლიტიკური არაშორსმჭვრეტელობა უყიყინოს!“

დიდი ჯავახიშვილის დამოწმება საქმეს ვერ შევლის. რამდენი მაგალითი ვიცი, რომ ილია ჭავჭავაძეს იმოწმებენ რუსეთთან ერთგულების დასამტკიცებლად და ვინ დააჯერეს! სამწუხაროდ ჯავახიშვილის აღნიშნულმა შრომამ ჩვენამდე ვერ მოაღწია და ვერავინ დამაჯერებს, რომ ჩემი და ყველას მასწავლებელი, დიდი ივანე ჯავახიშვილი პატარა მანველიშვილზე ნაკლებად იცნობდა ისტორიულ საბუთებს!..

მე უკვე მქონდა შემთხვევა რუსული ვერსიის სიყალბის სათანადოდ დასასაბუთებლად (იხ. ჩემი „რუსეთი და საქართველო“, პარიზი 1951). მაგრამ, როგორ გნებაეთ, ეტყობა, საქართველოში მარტო იმას კითხულობენ, რასათ თვითონ სწერენ!..

ისტორიული სიმართლე შემდეგშია: საქართველოს არავითარი თვითმკვლელობა არ ჩაუდენია, და რომ ეს მართალი იყოს, ის უმცირესი კი არა, უდიდესი ბოროტება იქნებოდა დაავადებული მეფისგან, პათოლოგიური მოვლენა; გიორგიმ (მემკვიდრისა და სხვების საიდუმლოდ) შეადგინა ე. წ. „პუნქტები“, რის ძალითაც ის მოითხოვდა უკვე გაუქმებული, ფაქტიურად, ხელშეკრულების განახლებას ახალი ფორმით, სადაც ის რუსეთს მეტ დათმობებს უკეთებდა და



არავითარ შემთხვევაში – სამეფოს გაუქმებას. ეს „პუნქტუალური“ შეტყობინება გულუბრყვილოდ იყვნენ შედგენილი. ალბათ მაშინდელი ადამიანებისთვის გასაგები. ამ თხოვნით საქართველო ინარჩუნებდა თავის მეფეს, რაც იმ დროს ნიშნავდა სუვერენობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა ამ მოვლენას მსვლელობა არ მისცემია და სინამდვილეში რუსებს უკვე წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი საქართველოს სახელმწიფოს ზევიდან გაუქმება. იმპერატორ პავლეს საიდუმლოდ უკვე შედგენილი ჰქონდა საქართველოს ანექსიის მანიფესტი და საიდუმლო ბრძანებაც ჰქონდა მიცემული გენ. კრონიგს, საქართველოში მყოფი რუსის ჯარის უფროსს გენ. ლაზარევს, რომ მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე არ დაემვათ მისი მემკვიდრე დავითი, რომელიც რუსეთის მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებული იყო ტახტის მემკვიდრედ. რუსეთის მთავრობის ეს ვერაგული აქტი თვით რუსის იმპერატორმა დაადასტურა და ამის შემდეგ ყოველგვარი საბუთის ძებნა ზედმეტია.

როდესაც იმპერატორი პავლე მოაშთვეს, ტახტზე ავიდა ალექსანდრე. პავლეს მანიფესტი უკვე გამოცხადებული იყო და სპეციალურად რუსეთში ჩასულმა ქართველმა ბატონიშვილებმა ახალი იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს მანიფესტის გაუქმებაზე და საქართველოს სამეფოდ დატოვებაზე. ეტყობა, რომ იმპერატორი ალექსანდრე ამას თანაგრძნობით შეხვდა. მან მოიწვია სახელმწიფო საბჭო და საკითხი დასვა ხელმეორედ განსახილველად. აქ დიდი უმრავლესობა მომხრე იყო საქართველოს ანექსიისა, წინააღმდეგნი იყვნენ: ვორონცოვი, კოჩუბეი და ჩარტორისკი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთს შეუძლია ყველა თავისი ინტერესების დაკმაყოფილება საქართველოს რუსეთის მფარველობაში ყოფნით და საჭირო არ არის სამეფოს გაუქმებაო. ამ სხდომაზე იმპერატორს წარმოადგენდა სახელმწიფო პროკურორი, ბეკლეშევი, რომელმაც განაცხადა, რომ სხვისი მიწის მითვისება უკანონო იქნებაო, ასევე უკანონოდ მიაჩნდა ასთაწლოვანი ბაგრატიონების დინასტიის გაუქმება. მაგრამ უმრავლესობამ საბოლოოდ იმპერატორს მიადებინა მისი აზრი და ასე დაიბადა იმპერატორ ალექსანდრეს მანიფესტი, ე. ი. საქართველოს მეორედ მოუხდინეს ანექსია.

ეს ცნობები აღნიშნულია სახელმწიფო საბჭოს ანგარიშებში და ის რუსეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული და ბ. ჯაფარიძემ რატომ ეს დოკუმენტიც არ ნახა? ეს მოვლენა მოვიხსენიე ზემოდ



\*\*\*\*\*

აღნიშნულ თხზულებაში ქართულად, ხოლო ინგლისურად ლანგმა თავის შესანიშნავ თხზულებაში: „საქართველოს მონარქიის უკანასკნელი დღეები“, 1957.

მე მგონია, რომ რაც რუსეთის იმპერატორმა ალიარა უკანონობად საქართველოს ანექსია, ამაზე კამათი იქნება უაზრობა!

არაერთხელ შევხებხარ საქართველოს მდგომარეობის საკითხს მე-18-ე საუკუნეში და საბედნიეროდ თვით საბჭოთა ისტორიოგრაფიაც ადასტურებს, რომ სწორედ ეს საუკუნე იყო, როდესაც საქართველოს მტრები საბოლოოდ ეცემოდნენ და თუ არა რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა, სწორედ ამ დროს იწყებოდა საქართველოს გამოღვიძება. თუ არა რუსეთის ანექსია, საქართველოს მე-19-ე საუკუნეში მოელოდა გაერთიანება და აღორძინება.

აღნიშნული ამბების გაუგებრობას მოსდევს ლოდიკურად მეორე გაუგებრობა. ვისაც საქართველოს დაპყრობა უმცირეს უბედურებად მიაჩნია, ცხადია, იმის ჩვენებაც სჭირდება, რომ ამით საქართველომ ბევრი მოიგო.

რ. ჯაფარიძე გვამცნობს, რომ ეს მარტო მას არ ეხება, ამას სხვებიც იზიარებენ. ამ სენისაგან თავისუფალია უცხოეთში მცხოვრები ქართველი. ეს არის მაჩვენებელი ჭეშმარიტებისა, აქ დღეს ქართველი აღარ მოიპოვება, ვისაც აღნიშნული ცრუ რწმენა სჯეროდეს.

ბ. რ. ჯაფარიძე სწერს: „ფაქტია, რომ მონარქიული რუსეთის წიაღში საქართველო გადარჩა, მოსულიერდა, ევროპულ კულტურას ეზიარა, ახალი ძალებით აღივსო და არამც თუ არსებობა შეინარჩუნა, მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა თვით რუსეთის ისტორიაში“. ცნობილია, რომ რუსეთი მისდევდა ასიმილიაციის პოლიტიკას, მისი მიზანი იყო ქართველების გარუსება, ამიტომ ის ებრძოდა ყოველ მხრივ ყველაფერ იმას, რაც ქართველი ერის ეროვნულ მეობას შეეხებოდა. ყოველივე ეს იქამდე ცნობილია, რომ ამაზე შეჩერება აღარ ღირს. მაშასადამე, თუ ქართველი, როგორც ქართველი აღარ იქნებოდა, რომელ გადარჩენაზე შეიძლება ლაპარაკი! თითქოს რუსეთი იცავდა საქართველოს ტერიტორიას. რომელი საქართველოსი, რომელიც აღარ არსებობდა?! რუსეთი იცავდა თავის ტერიტორიას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით!

ისიც ცხადია, რომ დღეს საქართველოში მოიპოვება მრავალი ახალგაზრდა ისტორიკოსი და მიუხედავად საბჭოთა პირობებისა



ზოგი მოხერხებულად და ზოგიც ახდილად აღნიშნავს რუსეთის გარაგულ საქციელს საქართველოში და იმასაც ნათლად ამოიკითხავთ მათ ნაწერებში, რომ საქართველო ნამდვილად განწირული არ იყო XVIII საუკუნეში, პირიქით, უკიდურესად იყვნენ დაცემულნი მისი გუშინდელი მტრები და რუსებმა ისე გამოაბრუნეს ზოგიერთი ქართველიც, რომ თითქოს საქართველოს ხსნა ყოფილიყოს მის დაბყრობაში რუსეთის მიერ!

ბ. რ. ჯაფარიძემ ძალიან იოლად გადაწყვიტა საქართველოს სამეფო დინასტიის ბედიც. ცხადია, თუ საქართველოს მეფემ თავისით უფემქაშა თავისი ქვეყანა რუსეთს, უკანასკნელის იმპერატორი ჩვენი დინასტიის წევრებსაც სათანადოდ დააჯილდოვებდა, ანდა რა დიდი ამბავი იქნებოდა ასი გინა ათასი რუსის მუყიკი რომ ეყმო ქართველი ბატონიშვილებისათვის? და ამით ისინი გაეერთულებინა. ჯაფარიძე ძალიან რბილად გადმოგვცემს: „გაუქმდა ათასწლოვანი ბაგრატიონთა სამეფო ტახტი. მეფის ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი პეტერბურგს გაიწვიეს“. როგორ გავიგოთ ეს „გაწვივა“? იქნებ ქორწილში ეპატიყებოდნენ! სჯობს ეს „გაწვივა“ ქართულად გადავთარგმნოთ. არცერთი ბატონიშვილი თავისი სურვილით რუსეთში არ წასულა, არ მიუღია რუსების „გაწვივა“, ყველა იყო გადასახლებული! რამდენიმე ბატონიშვილი წავიდა რუსეთში, რომ იმპერატორ ალექსანდრესაგან გამოეთხოვათ პავლეს მიერ მომხდარი ანექსიის გაუქმება და მერე ისინიც უკან აღარ გამოუშვეს...

ხოლო „გაწვივის“ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მარიამ დედოფლის „გაწვივა“. როდესაც მან ამაზე უარი უთხრა, გენ. ლაზარევი პირადად ეახლა მას და ხელითაც კი შეეხო ეს ხებრე გენერალი. ამის საპასუხოდ კი დედოფლის ხანჯალმა იელვა და რუსის გენერალი იქვე მკვდარი დაეცა. ეს აქტი დარჩა ისტორიას, როგორც სიმბოლო ქართველი ერის შეურიგებლობისა! ანდა რომელმა ბატონიშვილმა მიიღო რუსების „გაწვივა“? ალექსანდრე თავიდანვე სპარსეთში გაიქცა და იქიდან აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას რუსების წინააღმდეგ სიკვდილამდე. მას გაჰყვა თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც შემდეგ შემოირიგეს რუსებმა. ალექსანდრეს გაჰყვნენ რიგი მხედრებისა, რომლებიც იბრძოდნენ აბას მირზას ჯარში. ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი ფიქრობდა გაპარულიყო ნაპოლეონთან. ამაში მას ენის ცოდნაც ხელს უწყობდა და გა-



\*\*\*\*\*

ნა ნაპოლეონის მარშობას ვერ დაიმშვენებდა! მაგრამ გაუგეს, შეიპყრეს და გადაასახლეს. ბატონიშვილები იულონი და ფარნავაზიც შეიპყრეს და გადაასახლეს. იულონის ძე ლევანი დიდი გმირული ბრძოლების შემდეგ დამარცხებული, საქართველოშივე გარდაიცვალა. გრიგოლ იოანეს ძე სასწაულოთ კახეთში გახიზნული, აჯანყების დროს კახეთში მეფედაც კი აირჩიეს. ისიც მალე შეიპყრეს და გადაასახლეს და სხვა და სხვა...

რით გათავდა ბოლოს მათი ბედი? სრული გადაგვარებითა და გაქრობით. გიორგი მეფის ერთი შთამომავალი მანდილოსანი 1960 წელს ნიუიორკში გარდაიცვალა, როგორც რუსის „კნიაჟნა“, რომელსაც მხოლოდ მისი შთამომავლობა ახსოვდა, რომ ეს რუსებისთვის გაეხსენებინა!

სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილი ერთ სომხის ქალზე დაქორწინდა. მისგან შეეძინა ვაჟი ი რ ა კ ლ ი. დაგვიანებით ისიც შეირიგეს რუსებმა და რუსეთში წაიყვანეს.

განსვენებულმა გიორგი ჟურღმა მიამბო, რომ ალექსანდრეს ძემ ირაკლიმ რამდენიმეჯერ იმოგზაურა საქართველოში. მაგრამ, სადღაა მისი შთამომავლის კვალი? იქნებ ბ. ჯაფარიძემ გვიამბოს დანარჩენი!..

ალექსანდრე მანველიშვილი  
სან ფრანცისკო, სექტემბერი 1988 წელი.

\*\*\* \*\*

პ ა რ ი ზ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა კ ა ვ კ ა ს ი ა ზ ე

ა. წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში ევროპის ქრისტიანულმა მოძრაობის წარმომადგენლებმა დოკუმენტაციის მიზნით იმოგზაურეს კავკასიაში, დაათვალიერეს და მოისმინეს „ცხელი“ რეგიონები. ჭდაბრუნებულებმა, 17 ნოემბერს კონფერენცია გამართეს პარიზში, ეროვნული საკრებულოს შენობაში და მასში მონაწილეობსათვის მოიწვიეს ოფიციალური წარმომადგენლები კონფლიქტში მონაწილე ერების. კონფერენციაზე გამოსვლის საშუალება მიეცა აგრეთვე ჩვენი ჟურნალის მკითხველთათვის ცნობილ ქალბატონ მედეა თუმშალიშვილს, რომლის სიტყვის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ბატონებო და ქალბატონებო, ბატონო პრეზიდენტო!

Djobadze's  
Library

უპირველეს ყოვლისა მადლობას მოვახსენებ ბ. პატრიკაძეს, რომელმაც პატივი დამლო და მომცა საშუალება, ამ მგალობელის ვნელოვანი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიმეღო.

ვინაიდან კონფერენციის რეგლამენტი მკაცრია, მე შევეცხები მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა შესახებ საუბარი აუცილებლად მიმპჩნია ამ მაღალი ტრიბუნიდან.

ბატონებო! ჩვენ აქ მოვისმინეთ ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლის გამოსვლა და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის, „გამოყოფის“ საკითხი არ შეიძლება, რომ სერიოზულ მსჯელობის საგნად ვაქციოთ, რამეთუ, ეს ავტ. რესპუბლიკები ხელოვნურად იყო შექმნილი საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ძველთაძველ მიწა-წყალზე და ამდენად მათ ცალკე სახელმწიფოებად გამოყოფას არანაირი საფუძველი არ გააჩნია, არც ისტორიული და არც იურიდიული.

საგულისხმოა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, თითქმის ყველგან, 30-ან წლებში შექმნილი იყო ამდაგვარი ავტონომიები, რაც კრემლს საშუალებას აძლევდა, დრო და დრო ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების მეშვეობით |დაყავი და იბატონეს კლასიკური მეთოდით| ჩარეულიყო ამ რესპუბლიკების ცხოვრებაში და ებატონა მათზე. მოსკოვის პუტჩის საქმის ახალი გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ ამ ძველი იმპერიული პრინციპის კვლავ გატარება პირადად ანატოლი ლუკიანოვს – სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ევალებოდა, რაც ახალ-ახალი „ეთნოკონფლიქტებისა“ და კიდევ ახალი „რესპუბლიკების“ შექმნის ტენდენციაში გამოიხატა: საქართველო, ლიტვა, მოლდავეთი და სხვა.

სავსებით კანონზომიერია, რომ ეს ნაცადი იარაღი დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და მისი ლიდერის, ბ. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ანუ იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელმაც პირველმა დაიწყო სოციალისტურ-კომუნისტური სტრუქტურების დემონტაჟი, პირველმა შესძლო უსისხლოდ, პარლამენტური არჩევნების გზით დაემარცხებინა კომუნისტები იმპერიის ერთ-ერთ უმთავრეს რეგიონში.

ცხადია, კრემლის ნაცადი იარაღი უნდა გამოყენებულიყო ნომერ 1 მტრის წინააღმდეგ. და არ დააყოვნა ეთნოკონფლიქტებმა ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ – სამაჩაბლოში, რომელმაც ისეთი მასშტაბები

\*\*\*\*\*



მიიღო, რომ საქართველოს პრეზიდენტი იძულებული შევიქნა, სამხედრო დრო ძალის მეშვეობით დაეცვა აწიოკებული ქართული მოსახლეობა, რომელიც, ბოლშევიკური დემოგრაფიული პოლიტიკის წყალობით უმცირესობაში აღმოჩნდა საკუთარ მიწაზე.

ანალოგიურმა კონფლიქტმა აფხაზეთშიც იფეთქა, მაგრამ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტ გამსახურდიას ძალისხმევით, ამ რეგიონში მიღწეული იქნა სტაბილურობა. სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში (ისე, როგორც მთელს დამოუკიდებელ საქართველოში) მშვიდობიანი ვითარება არამც და არამც არ შედიოდა კრემლის გეგმებში; კიდევ ერთი ნაცადი ხერხი, —საბჭოთა და დასავლეთის პრესაში გაჩაღდა ისტერიული კამპანია პრეზ. ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ, რაც, როგორც ცნობილია, შეიარაღებული გადატრიალებით დაგვირგვინდა. ამ პუტჩს, რომელიც მოსკოვის ნომენკლატურის მაღალ წრეებში დაიგეგმა, ხელმძღვანელობდა სსრკ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ელუარდ შევარდნაძე, რომლის მაღალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა თავდაპირველად დასავლეთის დამოკიდებულებაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი. აშკარა კომუნისტურ პუტჩს დასავლეთის მას-მედია უწოდებდა „დემოკრატიისათვის ბრძოლას დიქტატურის წინააღმდეგ“.

მაგრამ, სულ მალე „დემოკრატიისთვის“ მებრძოლთა ნამდვილი სახე გამოაშკარავდა, როდესაც რუსული ტანკებისა და „კალაშნიკოვების“ მეშვეობით, მათ დაიწყეს სასტიკი ტერორის დამკვიდრება თბილისსა და მთელს საქართველოში; რეპრესიები რეპრესიებს მოჰყვა ისე, როგორც შორეულ 30-ან წლებში; საპატიმროებში აწამებენ ასობით პოლიტპატიმარს, რომელთა შორის არიან ქალები, მოხუცები, პარლამენტისა და მთავრობის წევრები. უგულვებელყოფილია ელემენტარული კანონიერება და რაიმე იურიდიული ნორმები.

ხუნტისათვის კანონიერების ელფერის მიცემის მიზნით „სახელმწიფო საბჭოს“ თავმ —რე იძულებულია ჩაატაროს არჩევნები საქართველოში. სწორედ არჩევნების ჩატარების აუცილებლობამ გამოაყენებია შევარდნაძეს სამხედრო ძალა აფხაზეთში, რაც, ერთის მხრით „საქართველოს მთლიანობას, მისი მიწა-წყლისთვის მებრძოლის“ ორეოლს უქმნიდა ერთადერთ კანდიდატს, მეორეს მხრივ კი, საუკეთესო საშუალება იყო ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდა პრეზიდენტის მომხრეებს დასავლეთ საქართველოში. და, რაც მთავარია, არის მესამე და მთავარი მოტივიც,—უფრო ფუნქცია, ვიდრე



მოტივი, — რუსეთის იმპერიალისტური ძალების დამკვიდრება აფხაზეთში, კავკასიაში!

სხვაგვარად რით შეიძლება იმის გამართლება, ანდა ახსნა, რომ სახელმწიფო საბჭომ, მსოფლიოში სახელგანთქმული დიპლომატის თავკაცობით, არც კი სცადა კონფლიქტის მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარება? ანდა სხვა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ, თუ კი საქმე მართლაც საქართველოს მთლიანობას შეეხება, იგივე სამხედრო ძალა არ იქნა გამოყენებული სამაჩაბლოში, სადაც დაგომისის სრულიად გაუგებარი ხელშეკრულების შედეგად (შევარდნაძე-ელცინი), რუსის გაძლიერებული კონტიგენტი ჩადგა? ნაცვლად კატეგორიული და უშედავათო მოთხოვნისა, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარს უმაღლეს დანებებასა სამაჩაბლო და აფხაზეთი?!

**რა დასკვნის გაკეთება შეიძლება დღეს?**

პუტჩი, რომელიც საქართველოში მოხდა 1992 წლის იანვარში იყო კომუნისტური პუტჩი. მან არნახული ქაოსი და პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვია საქართველოში, უკიდურესად დაძაბა მდგომარეობა მთელს კავკასიაში, რაც შესაძლოა, კიდევ უფრო დიდ, უმართავ კონფლიქტში გადაიზარდოს. საქართველოს ადმინისტრაციის უხვირო პოლიტიკამ საქართველო დაშლის რეალური საშიშროების წინაშე დააყენა, რაც მუდამ იყო და არის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიზანი.

ბატონებო და ქალბატონებო! რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში დასავლათი ხშირად გამხდარა საბჭოთა პროპაგანდის მსხვერპლი. ამ მაგალითთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა; შევნიშნავ მხოლოდ, რომ ათეული წლები დასჭირდა დასავლეთს, რომ ელიარებინა რუსეთში გულაგების არსებობა. ნუღა გავიმეორებთ ამ საბედისწერო შეცდომებს, ნუ ავყვებით ცრუ პროპაგანდას. ის, რაც დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის, და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ხდება, არის კომუნისტური რევანში, კომუნისტებისა, რომლებიც მუდამ იყვნენ და დღესაც არიან მკიდროდ დაკავშირებულნი მაფიასთან, კრიმინალურ სამყაროსთან. ნუ დავარქმევთ მათ ბრძოლას ძალაუფლებისათვის — ბრძოლას დემოკრატიისათვის! აფხაზეთის სამხედრო კონფლიქტი არ არის არც ეთნიკური და არც რელიგიური, ეს არის პოლიტიკური კონფლიქტი, რომლის საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს

ან კავკასიელი ხალხების სრული სუვერენიტეტი, ან კავკასიის  
 ვაც რუსეთის გუბერნიად დარჩება კიდევ ხანგრძლივი  
 ძილზე.

მ ე დ ე ა თ უ შ მ ა ლ ი შ ვ ი ლ ი  
 პარიზი 17 ნოემბერი 92.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს ი რ გ ვ ლ ი ზ

ფრანგული პრესიდან. საფრანგეთის პრესა დაუყოვნებლივ გამო-  
 ეხმაურა საქართველოს არჩევნებს, რაც მოწმობს საფრანგეთის სა-  
 ზოგადოების ინტერესს და ასევე პოლიტიკური წრეებისას, რომლის  
 დასტურს წარმოადგენს ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ევროპის კომუ-  
 ნოტეს ერთობლივი განცხადება.

მაგალითად, 12 ოქტომბრის გაზეთი „ფიგარო“, სათაურით: **შევარ-  
 დნაძე ლეგიტიმურობის ძებნაში**, სხვათა შორის წერს: „პირველი  
 მონაცემებით, მან მიიღო ხმების 90% ხოლო შემდეგ გამოცხადდა  
 95%“-ო. შევარდნაძეს თავისებური სიცილით განუმარტავს: „მე  
 100%-ან არჩევნებს ვარ ჩვეულო. გაზეთის მიხედვით, არჩევნებში  
 მონაწილეთა მაჩვენებელი მაღალი იყო.“

პარიზში გამომავალი „რუსკაია მისლი“ (23. X. 92.) იტყობინება,  
 რომ არჩევნებიდან სამი დღის შემდეგ შეუქმნიათ ე. წ. „სახელმწი-  
 ფო თავდაცვის საბჭო“, რომელში შედიან თვით თავმჯდომარე (რისი?)  
 პრემიერ მინისტრი თ. სიგუა, თავდაცვის მინისტრი თ. კიტოვანი,  
 შინაგან საქმეთა მინისტრი და საინფორმაციო-სადაზვერვო უწყების  
 უფროსი. „სახ. თავდაცვის საბჭომ კოორდინაცია უნდა გაუწიოს  
 საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს“, განუცხადებია შე-  
 ვარდნაძეს. მაშ, ეს გახლავთ „ხუნტა ბისი“ და არ ცდება რუსული  
 გაზეთი, როცა მის სტატიას ასათაურებს: **„არჩევნები ჩატარდა, რა  
 შეიცვალა?“**

ქართული პრესიდან. „ივერია ექსპრესი“ № 7 14. X. 92,  
 რეპორტაჟი: 95,96%, არჩევნების წინასწარმა შედეგებმა ძველი კე-  
 თილი დრო მოგვაგონეს ბ. ელუარდ შევარდნაძეს 5% არც კი და-  
 აკლდა, რომ აბსოლუტური მონარქი გამხდარიყო.

საქართველოს 84 რაიონიდან არჩევნები 75 რაიონში ჩატარდა.  
 ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მთელ საქართველოში 3.497.979.  
 არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.604.165 ადამიანმა. ეს საერთო



რიცხვის 74,45% შეადგენს: მონაწილეთაგან პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურის სასარგებლოდ 2.498.856-მა მისცა ხმა. ეს კი ნიშნავს, რომ ელუარდ შეეპარდნაძე პარლამენტის თავ-რედ ხმათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით - 95,96%-თ გავიდა.

\*\*\*

**მეთვალყურეთა შეფასება**

13 ოქტომბერს, სასტუმრო მეტეხში, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მეთვალყურე საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 24 ქვეყნის წარმომადგენელი, გამართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

პრესკონფერენციას უძღვებოდნენ დელეგაციის ხელმძღვანელები: ოსლოს სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ქ-ნი ასტრიდ ჰეიბერგი და ამერიკის შ.შ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტი, ბ-ნი ბრაიან ეთვუდი.

ქ-ნმა ასტრიდ ჰეიბერგმა წაიკითხა საერთაშორისო დელეგაციის დასკვნა, სადაც დადებითად არის შეფასებული საქართველოში 11 ოქტომბრის არჩევნები. მან მიულოცა ქართველ ხალხს ლეგიტიმურ-დემოკრატიული არჩევნების ასე მშვიდობიანად ჩატარება, მიუხედავად მიმდინარე ომისა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ქართველი ხალხის დამოკიდებულებამ დელეგაციის მუშაობის მიმართ ცხადყო ქართველი საზოგადოების ცივილიზებულიება, თუმცა მას 70 წლის განმავლობაში მოუხდა და ცხოვრება ტოტალიტარულ რეჟიმში.

\*\*\*

**ირაკლი წერეთლის ინტერვიუ (ოდნავი შემოკლებით)**

„აპოლოგეტად არავის გამოვადგებით“. — არავითარი პრეტენზია საარჩევნო კომისიის მიმართ არ მაქვს, რადგან იგი იყო და არის აღმასრულებელი იმ კანონისა, რაც სახელმწიფო საბჭომ მიიღო. არა მგონია, კომისიას რაიმე გაეყალბებინოს. პრეტენზია მაქვს სახელმწიფო საბჭოს მიმართ, რომელმაც აწარმოა ცუდი, უტვინო და უნაბიჯო, ქრის გამყიდველთა პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ.

\*\*\*\*\*

\* ) საჭ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავ-რე.

\*\*\*\*\*



მე ველაპარაკე „თეთრი არწივის“ ბიჭებს და ვფიქრობ, ეროვნულ-პარტიის ან შეგნებული დანაშაული, ან ელემენტარულად, ლოგიკურ-საზოგადოებრივი ლეგალიზაციები.

მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამოც კაცი-ანმა სპეცდანიშნულების რაზმმა ფსკოვიდან 600 კაციანი რაზმი თითქმის გაანადგურა. ეს არის რუსეთის აშკარა ჩარევა ჩვენს საქმეებში. ეს არის აგრესია და სახელმწიფო საბჭოსა და მის თავმჯდომარეს უნდა სცოდნოდეთ ის, რომ ვიდრე ოფიციალურად არ გაირკვევა, ვინ არის და ვინ არ არის რუსეთი ჩვენთვის, იქამდე იგი ყოველნაირ ბინძურ პროვოკაციას ჩაიდენს ჩვენს მიმართ. ასე, რომ ეს არის ან ფარული მოლაპარაკების შედეგი, ან გაუმართლებელი პოლიტიკა.

შეცდომაში შემიყვანესო, ბრძანა ელუარდ შევარდნაძემ. როცა პოლიტიკოსები ასეთ შეცდომას უშვებენ, ისინი მიდიან პოლიტიკიდან“.

**როგორც ამომრჩეველმა, ვის მიეცით ხმა? —** ყოველ შემთხვევაში, ელუარდ შევარდნაძე გადავხაზე.

მოხდა უზარმაზარი უზნეობა, ისეთი რამ, რომელიც კონსტიტუციური, ზოგადსამართლებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით ამოვარდნილია ლოგიკიდან. ხალხმა აირჩია პარლამენტი და პარალელურად, ამ პარლამენტს არ მისცა თავმჯდომარის არჩევის საშუალება. საყოველთაო არჩევნების წესით არჩეულ პარლამენტს წინასწარ დაუნიშნა თავმჯდომარე. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ეს ხალხის მიერ გაკეთებული გადაწყვეტილება ხალხს კარგ შედეგს არ მოუტანს! შევარდნაძე შეიძლება ყოფილიყო პარლამენტის თავ-რე, მაგრამ ეს უნდა გადაეწყვიტა პარლამენტს და არა ამომრჩეველს.

„მშვიდობა“, „ერთობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ და ალბათ დემოკრატიული პარტია იქნებიან ელუარდ შევარდნაძის აპოლოგეტები და პარლამენტში წარმოჩინდებიან შევარდნაძის „ბტრ“-ები, ისევე, როგორც გამსახურდიას ყავდა თავისი „ბტრ“-ები.

„ქართია 91“, ტრადიციონალისტთა კავშირი და „11 ოქტომბერი“ ამ მხრივ უფრო ზნეობრივ პოზიციას დაიკავებს. ასე იქნება მერაბ კოსტავას საზოგადოებაც, თუ მათი წარმომადგენლობა პარლამენტში მოხვდა.

ჩვენ არცერთ თავმჯდომარეს აპოლოგეტებად არ გამოვადგებით, რადგან ჩვენ ვიქნებით აპოლოგეტები საქართველოდან საოკუპაციო



ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისა, რასაც ჩვენი ღრმა რწმუნებული ხალხის მიერ არჩეული თავმჯდომარე მხარს არ დაუჭერს.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული? — მე გამოვდივარ მისივე სიტყვებიდან, რომელიც თქვა ნატოს ექსპერტებთან გაკეთებულ განცხადებაში („საქართველოს რესპუბლიკა“) — რომ ის სხვა რესპუბლიკების მსგავსად (იგულისხმება ბალტიისპირეთი) არ ჩქარობს ჯარების გაყვანას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის საერთოდ არ ჩქარობს საქართველოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და ღმერთმა ქნას, არჩეული პარლამენტის პოზიცია ბევრად უფრო ეროვნული იყოს, ვიდრე ჩვენი პოზიციები.

\*\*\*

### დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი

არჩევნების შედეგები ჯერ არ არის დაჯამებული და ოფიციალური ცნობა პარლამენტის შემადგენლობის შესახებ ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ არაოფიციალური ინფორმაცია მაჟორიტარული სიებით გამარჯვებულ კანდიდატებისა რედაქციამ მაინც მოიპოვა.

ვითვალისწინებთ რა ამომრჩეველთა დაუოკებელ ინტერესს არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, დღეს ვაქვეყნებთ პარლამენტის დეპუტატების სიას. ამავე დროს გაუწყებთ, რომ შესაძლოა გარკვეული დეტალები დაზუსტდეს. პირველ გრაფაში მოცემულია საარჩევნო ოლქის დასახელება, მეორე გრაფაში დეპუტატების სახელი და გვარი.

1. მთაწმინდის — ვალერი კვარაცხელია
2. ვაკის — თენგიზ ბუაჩიძე,
3. საბურთალოს — იზა ორჯონიკიძე,
4. კრწანისი — ვახტანგ მუსელიანი,
5. ისნის — მიხეილ გვერდწითელი,
6. სამგორის — ტახირ არველაძე;
7. ჩუღურეთის — არ არის ცნობილი,
8. დიდუბის — ნიკო ლეკიშვილი,
9. ნაძალადევის — ჯაბა იოსელიანი,
10. გლდანის — მიხეილ მჭედლიძე,
11. საგარეჯოს — გელა გოდერძიშვილი,
12. გურჯაანის — ნიაზ ჯეირანაშვილი,

\*\*\*\*\*



13. სიღნაღის - ავთანდილ დოღმაზაშვილი,
14. დედოფლისწყარო - ალექსი კობაიძე,
15. ლაგოდეხის - ნუგზარ ფილიაშვილი,
16. ყვარელის - მიხეილ მანძულაშვილი,
17. თელავის - სოსო მეგუთნიშვილი,
18. ახმეტის - გიორგი ახმეტელი,
19. თიანეთის - თეიმურაზ მგელიაშვილი,
20. რუსთავის - ჟიული შარტავა,
21. გარდაბნის - ივერი ჰელიძე,
22. მარნეულის - თენგიზ სიგუა,
23. ბოლნისის - თენგიზ კიტოვანი,
24. დმანისის - ტარიელ ციხელაშვილი,
25. წალკის - დიმიტრი ჩიტლოვი,
26. თეთრიწყაროს - დევროზ წიკლაური,
27. მცხეთის ჯუმბერ პატიაშვილი,
28. დუშეთის - შალვა ნათელაშვილი,
29. ყაზბეგის - ვაჟა გელაძე,
30. კასპის - ვაჟა ოთარაშვილი,
31. ახალგორის - ვლადიმერ ბილიშვილი,
32. გორის - გივი აბალაკი,
33. ქარელის - ვასილ ბუზალაძე,
34. ჯავის - არ შედგა,
35. ხაშურის - გივი ხვედელიძე,
36. ბორჯომის - ჯუმბერ კურტანიძე,
37. ახალციხის - ივანე ნალიაშვილი,
38. ადიგენის - ავთო გელაძე,
39. ასპინძის - გიორგი წითლანაძე,
40. ახალქალაქის - ფერდინანდ ალექსანიანი,
41. ნინოწმინდის - ჟორა მხრჩიანი,
42. ცხინვალის - არ შედგა,
43. ონის - გივი ლობჯანიძე,
44. ამბროლაურის - სოსო მახალდიანი,
45. ცაგერის - მურთაზ ჩაკვეტაძე,
46. ლენტეხის - თენგიზ გაზდელიანი,
47. მესტიის - ლია ცინდელიანი,





48. ხარაგაულის – ნოდარ ვეფხვაძე,
49. თერჯოლის – ამირან ქაშაკაშვილი,
50. საჩხერის – ზაზა ენუქიძე,
51. ზესტაფონის – ჯემალ გორგოძე,
52. ბაღდათის – გურამ გეწაძე,
53. ვანის – გურამ ხურციძე,
54. სამტრედიის – ნოდარ კობრეძე,
55. ხონის – მიხეილ ჩხენკელი,
56. ქიათურის – გიორგი კიკნაძე,
57. ტყიბულის – ლევან ვარლოსანიძე,
58. წყალტუბოს – ინგუშა აბესაძე,
59. ქუთაისის – თემურ შაშიაშვილი,
60. ოზურგეთის – კოტე ბერიძე,
61. ლანჩხუთის – ანზორ კილაძე,
62. ჩოხატაურის – ანზორ თავართქილაძე,
63. აბაშის – თენგიზ კალანდაძე,
64. სენაკის – ოთარ კოხია,
65. მარტვილის – შალვა კეკელია,
66. ხობის – ნუგზარ ნადარია,
67. ზუგდიდის – არ შედგა,
68. წალენჯიხის – არ შედგა
69. ჩხოროწყუს – არ შედგა,
70. ფოთის – რომან მელია,
71. სოხუმის – თამაზ ნადარეიშვილი,
72. გაგრის – არ შედგა,
73. გალის – არ შედგა,
74. გუდაუთის – არ შედგა,
75. გულრიფშის – ანზორ წოწონავა,
76. ოჩამჩირის – არნოლდ ფენდენავა,
77. სოხუმის რაიონის – ჯემალ საჯაია,
78. ტყვარჩელის – არ შედგა,
79. ბათუმის – ბადრი ნაკაშიძე,
80. ქედის – მერაბ ქაჯაია,
81. ქობულეთის – დავით სივაძე,
82. შუახევის – ნოდარ ქარცივაძე,
83. ხელვაჩაურის – თამაზ ცინცაძე,
84. ხულოს – ვაჟა იაკობაძე.



## რას ამბობენ არჩევნებზე ქართ. პოლიტიკოსები

ირაკლი წერეთლის აზრი გაგაცანით, აქ კი ზოგიერთ სხვათა აზრს მოვიხმობთ იგივე გაზეთიდან.

**ბ. ზვიად გამსახურდია** „ინტერფაქსი“: „საქართველოში ჩატარებული არჩევნები არაკანონიერი და არაკონსტიტუციური და მისი შედეგებიც ფალსიფიცირებული იყო, ხოლო ჩამოსული მეთვალყურეები – შევარდნაძის მეგობრები იყვნენ“.

„საქ. სამართლიანობის აღდგენის კავშირის“ განაცხადი:

„...არჩევნების საბოლოო ოქმების შემოწმებისას აღმოჩენილი იქნა არაერთი დარღვევა, რაც ძირითადად გამოიხატა საარჩევნო უბანში პარტიული არჩევნების შედეგების ოქმში ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობისა და ხმების დათვლის მონაცემების მკვეთრ არათანხვედრაში“. ზემოთ აღნიშნული თუ სხვა დარღვევების გამო „ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პროტესტებით მიმართეს: ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და „ქართვა-91“-მა. გაზეთი „ივერია ექსპრესის“ (22 ოქტომბერი) კორუსონდენტის კითხვაზე, თქვენი აზრით, არჩევნები გაყალბებული იყო თუ არაო, ბ-ნი თედო პაატაშვილი პასუხობს – „იყო ასეთი რამ, ვიცი რომ იყო, მაგრამ მთავარი მოხდა – არჩევნები ჩატარდა, ახლა აჭრა არ ღირს...“-ო „კი მაგრამ, ნუთუ მთავარი მარტო ის ფაქტია, რომ არჩევნები ჩატარდა და არა ის თუ, როგორ ჩატარდა?“ – „... პასუხობს 11 - 16 ნოემბრის გაზ. „იბერია - სექტორი“.

იგივე კითხვას ბ-ნი გიორგი ჭანტურია ასე პასუხობს: „იცით, შეცდომები და ფალსიფიკაციის ფაქტები იყო, რამდენიმე ჩვენც გვაქვს დაფიქსირებული, მაგრამ ის იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამაზე არ ღირს ლაპარაკი. მაგრამ ეს შეცდომები ხდებოდა არა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან და მით უმეტეს ხელისუფლების მხრიდან, არამედ ცალკეული პარტიებისა და ბლოკების მხრიდან. ასე, რომ ამაზე დადანაშაულება ვინმესი არ იქნება სწორი...“

### ინტელიგენციის ერთი ჯგუფის განცხადება

„იმედის არჩევნები“

„1992 წლის 11 ნოემბრის არჩევნები, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდა სახელმწიფო საბჭო და დროებითი ხელისუფლება, ჩატარდა და უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. რა ფსიქოზურ ატმოსფეროში, რაგორი „დემოკრატიული“ ძალისხმევით თუ ძალისხალადობით, რიგი „ობიექტიურობით“ თუ სიყალბის თავაწყვეტილი ზე-



იმით ჩატარდა ე.წ. „არჩევნები“, ცალკე მსჯელობის თემა და ამ აზრს სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვინც იღვწოდნენ მის ჩასატარებლად, და ისინიც, ვინც მასში მონაწილეობას იღებდნენ, შედეგით კმაყოფილნი დარჩნენ. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ყველა პარტიას, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, „საკომპენსაციო ფონდიდან“ (!!!) თითო ოროლა ადგილი უწყალობეს, რითაც მათ უკმაყოფილებასა თუ პრეტენზიებს ბოლო მოუღეს და „საყოველთაო მშვიდობა“ დაამყარეს.

მაგრამ, რამდენად გაუმართლებს იმედს ქართველ ხალხს ეს „იმედის არჩევნები“ და რა სიკეთეს მოუტანს ის ჩვენს რესპუბლიკას, ამაზე ამჟამად დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. თუმცა დღეს ცხადზე ცხადია, რომ არ მომხდარა არავითარი თვისებრივი გარდაქმნა, შეიცვალა მხოლოდ გარეგნული ფორმა (სახელმწიფო საბჭო პარლამენტად მოინათლა...) და კოსმეტიკურად შეღამაზდა ის „დემოკრატიული ნიღაბი“, რომელიც დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეობის ავანსცენაზე ესოდენ დაფასებულია. მოკლედ რომ მოვქრათ, ჯერჯერობით სიტყვით ვაშენებთ დემოკრატიულ-სამართლებრივ სახელმწიფოს, საქმით კი უკანონობის ცეცხლს ვაჩაღებთ ირგვლივ. ჩვენი სიტყვების სარწმუნოდ საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ხდებოდა ახლახანს და რა ხდება დღეს „დემოკრატიულ“ საქართველოში.

ვინდა ირწმუნეთ, ვინდა არა! მაგრამ აკრძალულია ნებისმიერი ალტერნატიული აზრი, განსხვავებული მრწამსისა და შეხედულებებისათვის ადამიანები იღვენებიან. ამასთანავე განსაცვიფრებელია პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების უკვე ტრადიციად ქცეული ცალმხრივობა, არაობიექტურობა და თუ გნებავთ, ცილისმწამებლური პოზიცია. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: საქართველოში დღეისათვის არ გამოდის თითქმის არცერთი ოპოზიციური გაზეთი, რამდენჯერმე დაარბიეს გაზეთ „იბერია - საქეტრის“ რედაქცია, არასამართლებრივი გადაწყვეტილებით დაიხურა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, იღვენება გაზეთი „აღსვომა“. მეტიც, თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამო ავიწროვებენ და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დაუტყველად სამსახურიდან ათავისუფლებენ ქურნალისტებსა და სხვა დარგის მუშაკებს, იქმნება, ეგრეთწოდებული შავი სიები, რომლებშიც ხვდებიან კანონიერი ხელისუფლების მომხრეები. და ბოლოს, რაც ყველაზე საგანგაშოა, ამჟამად გაჩაღდა პოლი-

\*\*\*\*\*



ტიკურ მოწინააღმდეგეთა და მათი ოჯახის წევრთა დევნა-გარიყვინება, ტერორი, დაპატიმრება. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ წამოწყებულია ცილისწამებისა და დევნის კამპანია ინტელიგენციის იმ ცნობილ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომლებიც დეფაქტოდ არსებული ხელისუფლების პოზიციაზე არ დგანან.

ყველაზე შემზარავი მაინც ის გახლავთ, რომ აკოწიწებენ სისხლის სამართლის საქმეებს, არნახული მუქი ფერებით ხატავენ მტრის სახეს, რომლის ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ იგი განსხვავებულად აზროვნებს და მომხრეა კანონიერების აღდგენისა. ამეამად დაპატიმრებულნი არიან: კოკა გაწერელია, ზაზა წიკლაური, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გედი გელბახიანი, მთაწმინდის რაიონის საკრებულოს დეპუტატი შალვა ჩილინდრიშვილი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ მაყაშვილი, ზურაბ ვარდოსანიძე, ზაზა ნაჭყებია და სხვები.

ერთი სიტყვით, ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არცერთი მორალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმების ფარგლებში არ თავსდება. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი ქმედება არათუ სიკეთეს მოუტანს საქართველოს, არამედ გააღრმავებს და გააძლიერებს უკვე არსებულ კონფრონტაციას, სახელს გაუტებს ცივილიზებული მსოფლიოს თვალში და საბოლოოდ დაღუპავს მას. ამიტომაც უპირველეს ყოვლისა, მივმართავთ ახლად არჩეულ პარლამენტს და მოვითხოვთ შეწყდეს ყოველგვარი დევნა-გამოხდომები, აღვირახსნილი პროპაგანდა და დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს საპატიმროდან ყველა პოლიტპატიმარი, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ საკუთარი აზრისა თუ პოზიციის და არა სისხლის სამართლის დანაშაულის გამო.

- სოსო სიგუა - პროფესორი; მუხრან მაკავარიანი - პოეტი; ედიშერ გიორგაძე - მწერალი; ელიზბარ ჯაველიძე - პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ლატავრა ფოჩიანი - რესპ. სახალხო არტისტი; თენგიზ კიკაჩიშვილი - პროფესორი; მირის მუსერიძე-ლოცენტი; გიორგი ოჩიაური - მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი; მერაბ თავაძე - კინორეჟისორი; აკაკი გაწერელია - პროფესორი; ლეო კვაჭაძე - პროფესორი; ვია მრევლიშვილი -

\*\*\*\*\*



პროფესორი, ზურაბ ტაბიძე - მედ. მეც. დოქტორი  
ბეჟან ჯავახია - ისტ. მეც. კანდიდატი.  
(ხელმოწერები გრძელდება)

\*\*\*

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა  
მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პარტიების მიხედვით არჩეულ იქნენ :

დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ :

1. აღამია ჯემალ მამიას ძე
2. ბარამიძე მალხაზ ბენედიქტეს ძე
3. კალაძე რობიზონ არჯევანის ძე
4. კოვზირიძე დავით დავითის ძე
5. ლომსაძე ბორის არჩილის ძე
6. მეტრეველი მერაბ მაკარის ძე
7. უსტიამვილი გურამ ხარიტონის ძე
8. ქვლივიძე გელა პეტრეს ძე
9. ღარიბაშვილი ქართლოს დავითის ძე
10. ხაჭაპურიძე ვაჟა სოლომონის ძე

პ ა რ ტ ი ა „ქ ა რ ტ ი ა - 91“ ს ა გ ა ნ

1. დვალისვილი მალხაზ იოსების ძე
2. დინამინჯია თენგიზ დავითის ძე
3. კვანჭილაშვილი მალხაზ ტარიელის ძე
4. კობერიძე გელა ელიზბარის ძე
5. ლომინაძე გივი ნიკოლოზის ძე
6. მელაშვილი ირაკლი თენგიზის ძე
7. პაატაშვილი თედო შალვას ძე
8. საყვარელიძე რამაზ ტარიელის ძე
9. ურიდია მერაბ ბორისის ძე

ე რ ო ვ ნ უ ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ :

1. გორგაძე ივანე ბესარიონის ძე
2. ზუმბაძე გიორგი გიორგის ძე
3. კირთაძე ნესტან ლევანის ასული
4. კობახიძე გიორგი ტიტეს ძე
5. მელქაძე ოთარ ვალერიანის ძე



\*\*\*\*\*

6. სარიშვილი ირინა თამაზის ასული
7. ტალახაძე ვახტანგ ავთანდილის ძე
8. ქადაგიშვილი ირაკლი გიორგის ძე
8. ჩახვაძე გურამ დავითის ძე
10. ხუხუნაიშვილი ვანო რევაზის ძე
11. ჯიბუტი მიხეილ ჭიჭიკოს ძე
12. ჯიქია ალექსანდრე იესეს ძე

**ქართველ ტრადიციონალისტა კავშირისაგან**

1. ასათიანი აკაკი თორნიკეს ძე
2. ბაქლია თეიმურაზ ტარიელის ძე
3. კორძაძე გაიოზ ბენოს ძე
5. ფაღავა ასლან სულიბეგის ძე
6. შელია გურამ ბოჩიას ძე
7. ჩხეიძე პაატა ავთანდილის ძე

**საქართველოს მთიელთა კავშირისაგან**

1. ქადაგიძე დავით ნიკოლოზის ძე

**ბლოკი „ერთობა“- საგან**

1. ანდრიაძე ზურაბ დავითის ძე
2. აჯიაშვილი სიმონ დავითის ძე
3. გაბაშვილი კონსტანტინე ვლადიმერის ძე
4. გიორგაძე ნოდარ ქუჩუკის ძე
5. გოცირიძე ვასილ კოკის ძე
6. დევდარიანი ნანა გიორგის ასული
7. კავსაძე ალექსანდრე ირაკლის ძე
8. მიხანაშვილი ნუგზარ დარჩოს ძე
9. ნანეიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე
10. სალია კონსტანტინე თეიმურაზის ძე
11. ლოღობერიძე ლანა ლევანის ას
12. შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
13. ციხისტავე გია სოლომონის ძე
14. ჭეიშვილი რევაზ ბენედიქტეს ძე

**მამულის აღორძინების საზოგადოებისაგან**

1. შინარაძე თემურ დავითის ძე



\*\*\*\*\*



**ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტიის საგანგებო კავშირები**

1. თირქია ლედი თარაშის ასული
2. ციციშვილი ჯიმშერ ვახტანგის ძე

**საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირ-ნი**

1. ადვადე ვალერიან სერგოს ძე
2. ამირჯიბი მზექაბუც ირაკლის ძე
3. მიმინოშვილი რომან სევერიანის ძე
4. ჩარკვიანი ჯანსუღ ავდიდის ძე

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისაგან:**

1. ვაშაკიძე ვალერიან ვაჟას ძე
2. კაკუბავა ბორის ჯოტოს ძე
3. კახაძე კახაბერ მიხეილის ძე
4. კუპრავა რაულ ალექსანდრეს ძე
5. ნიკოლაიშვილი გელა ანტონის ძე
6. ჩხეიძე თამარ რევაზის ასული
7. ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე

**საქართველოს დვთისშვილთა კავშირისაგან.**

1. კენჭუაშვილი ნონა არსენის ასული
2. სიხარულიძე ზაზა იურის ძე


ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირისაგან: 1. ჭინჭარაული გიორგი ბაბის ძე (საკომპენსაციო სიით).

საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირისაგან: 1. იორა-მიშვილი გივი მიხეილის ძე და 2. იოსელიანი არჩილ ავთანდილის ძე (ორივე საკომპენსაციო სიით)

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტიის-აგან: 1. ნადარაია ამირან ივლიანეს ძე (საკომპენსაციო სიით)

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიისაგან: 1. ბერიანი-ძე შალვა ზაქარაის ძე 2. ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე 3. ბრეგაძე აკაკი ალექსანდრეს ძე 4. გიორგაძე პანტელეიმონ ივ-ანეს ძე (ყველა საკომპენსაციო სიით)

საქ. რადიკალურ-მონარქისტული კავშირისაგან: 1. გელოვანი თე-



ნგიზ სოლომონის ძე (საკომპენსაციო სიით);

საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია: 1. სუმბათაშვილი თეიმურაზ იოსების ძე 2. ფიფია თორნიკე შალვას ძე 3. წერეთელი ირაკლი სიღამონის ძე 4. ხომერიკი ვასილ გულვანის ძე (ყველა საკომპენსაციო სიით);

სრულიად საქ. მიწათმოქმედთა კავშირისაგან: 1. კოზმანიშვილი აპოლონ გრიგოლი ძე 2. ლიპარტელიანი როინ ვასილის ძე (ორივე საკომპენსაციო სიით);

საქ. კონსტიტუციურ-დემოკრატიული კავშირისგან: 1. მურვანიძე ზურაბ შალვას ძე (საკომპენსაციო სიით)

ბლოკი „მშვიდობა“-საგან: 1. აბაშიძე ასლან იბრაიმის ძე 2. აბულაძე თენგიზ ევგენის ძე 3. ანდრიაძე ირაკლი ონისიმეს ძე 4. ბერიძე რუსუდან ივანეს ასული (საკომპენსაციო სიით) 5. ბერიძე ჯემალ ლევანის ძე 6. გივინეიშვილი მანანა ივანეს ასული 7. გოგუაძე ვახტანგ ვლასის ძე 8. გუგუნავა ალექსანდრე დავითის ძე 9. დოლიძე როსტომ ხასანის ძე (საკომპენსაციო სიით) 10. ელოშვილი ომარ ილიას ძე 11. ველიჯანაშვილი გოდერძი რადაელის ძე 12. ზანკალიანი მურთაზ გრიგოლის ძე 13. ზურბახია ოთარ გიორგის ძე 14. კობერიძე ნუგზარ ნიკოლოზის ძე 15. ლითანიშვილი ოთარ ანტონის ძე (საკომპენსაციო სიით) 16. ლორთქიფანიძე გრიგოლ დავითის ძე 17. ლორთქიფანიძე ვიქტორ მიხეილის ძე 18. მამულია გურამ სამსონის ძე 19. მარგიანი ავთანდილ ანტონის ძე (საკომპენსაციო სიით) 20. ყორყოლიანი თეიმურაზ მიხეილის ძე 21. ქლენტი მამული ილიას ძე (საკომპენსაციო სიით) 22. რუხაძე სერგო სამსონის ძე (საკომპენსაციო სიით) 23. ყოლბაია ვახტანგ გაბრიელის ძე 24. შაკიაშვილი ლუიზა ივანეს ასული 25. წერეთელი ზურაბ კონსტანტინეს ძე 26. ხარატიშვილი იოსებ ალექსის ძე 27. ხიზანიშვილი რამაზ რობიზონის ძე 28. ჯაფარიძე რევაზ ანდრიას ძე;

სრულიად საქ. მ. კოსტავას საზოგადოებისაგან:

1. ადამია ვაჟა გიორგის ძე 2. კვაჭაძე ნუგზარ აქვსენტის ძე 3. კუბრეიშვილი დავით ბიჭიკოს ძე 4. ძაგნიძე შოთა სამშეს ძე 5. ხავთასი ვია გრიგოლის ძე (ყველა საკომპენსაციო სიით)

ბლოკი „11 ოქტომბერი“-საგან: 1. ბერძენიშვილი დავით ვალერიანის ძე 2. ბობოხიძე აკაკი ივანეს ძე 3. გამყრელიძე თა-



მაზ ვალერიანის ძე, 4. გოგია ზურაბ სერგოს ძე, 5. რომან რაფდენის ძე, 6. დიასამიძე თამაზ ახმედის ძე, 7. კიკაბიძე კობა გიორგის ძე, 8. კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე, 9. მარშანია ადა ლორიკის ასული, 10. მესხი ლევან ვარლამის ძე, 11. ნათაძე ნოდარ რევაზის ძე, 12. როგავა გაიოზ ალექსანდრეს ძე, 13. საყვარელიძე ფრიდონ იოსების ძე, 14. შავიშვილი რევაზ ლეონიდეს ძე, 15. შენგელაია ირაკლი გიორგის ძე, 16. ძაბირიძე ვახტანგ ალექსანდრეს ძე, 17. ხაინდრავა ივლიანე ლევანის ძე, 18. ხმალაძე ვახტანგ იულონის ძე.

**საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტიისაგან**

- 1. ბახტაძე დემურ მიხეილის ძე
- 2. მუჩაიძე გურამ ოთარის ძე - ორივე საკომპენსაციო სიით.

**საქართველოს მწვანეთა პარტიისაგან:**

- 1. ადამია რევაზ შოთას ძე, 2. ბარამიძე გიორგი აივენგოს ძე,
- 3. ბაშალეიშვილი დავით როინის ძე, 4. გაჩეჩილაძე გიორგი ამბერკის ძე, 5. გვაზავა ელგუჯა ანატოლის ძე, 6. თუმანიშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე, 7. ლორთქიფანიძე როზა ოთარის ასული, 8. მამალაძე ლევან ლევარის ძე, 9. მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე, 10. ნოლაიდელი ზურაბ თემურის ძე, 11. უვანია ზურაბ ბესარიონის ძე.

კომისიის თავმჯდომარე მერაბ ალექსიძე

კომისიის მდივანი ნუგზარ სხირტლაძე

(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ოქტომბერი)

\*\*\*

**„დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა და ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი“**

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 13 ოქტომბერს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ გამართა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „დემოკრატია და არჩევნები“. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სწავლულებმა, საერთაშორისო ექსპერტებმა და მეთვალყურეებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით.

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრია აფაქიძემ. ა. აფაქიძის წინადადებით, სიმპოზიუმის მონაწილეებმა წუთიერი ღუმილით პატი-

\*\*\*\*\*

გი მიაგეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა წლის 9 აპრილიდან მოკიდებული დღეგანდღამდე – ხსოვნას.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში დიდი ერთსულოვნება სუფევდა. რესპუბლიკის ზოგიერთმა კუთხემ ყოველგვარ მოლოდინს გადააპარბა, როცა ამომრჩეველთა 90, 92, 98 პროცენტმა ხმა მისცა რესპუბლიკის ახალ ხელისუფლებას, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატს ელუარდ შვეარდნაძეს. დღეს ამ წინასწარი მონაცემების მიხედვით მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მეთაური სავსებით სამართლიანად ულოცავს ამ გამარჯვებას საქართველოს, ბატონ ელუარდ შვეარდნაძის ასეთ ერთსულოვან მხარდაჭერას.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს ქართველი და უცხოელი სწავლულების – თამაზ შავგულიძის, ვაჟა კეშელავას, იაკობ ფუტყაძის, მერაბ ალექსიძის, დიმიტრი კიკნაძის, სლაიდერ დარელის, ტომას ბერტრანდის, მაიკლ მედოუკროფტის, ტომას ფიშერისა და სხვათა მოხსენებები, რომლებშიც განხილულია დემოკრატიული საარჩევნო სისტემების აქტუალური საკითხები, მათი არსი და კრიტიკიუმი, პოლიტიკური შედეგები.

**საქინფორმი**

\*\*\*

**ჩვენი კომენტარი**

თვალის ერთი გადავლება დეპუტატთა სიისადმი საკმარისია დარწმუნდეს, რომ ა.წ. 11 ოქტომბერს „არჩეული“ პარლამენტი წარმოადგენს კომუნისტების რევანუს (შვეარდნაძის მდივნობის დროინდელ საქართველოს ნომენკლატურისას). რასაკვირველია, როგორც ბ-ნი ირაკლი გოცირიძე შენიშნავს, „ახლები“ უფრო გამოცდილები არიან სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, ვიდრე წინანდელი პარლამენტარები, მაგრამ მარტო გამოცდილება საკმარისი არ არის ამ უმაღლესი საკრებულოსათვის, არამედ უფრო მეტად – პოლიტიკური გადაწყვეტილება, უფრო ნათლად – ერთგულება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისადმი. და აი, სწორედ აქაა, თუ მოვიშველიებთ ფრანგულ ანდაზას: „კენი რომ ჭრის“: საბჭოთა რუსულ მკვრობელობას მიჩვეული ხალხი როგორ გაუძღვება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ უშედეგათო ბრძოლას. დიერთმა ინებოს, ჩვენი ეჭვები უსაფუძვლო გამოდგეს და ახალ პირობებში ძველი ადამიანები ახლებურად გარდაიქმნენ!



ჩვენ, არა რეზერვს, არამედ ერთ პროტესტს აღვავლენთ: ეროვნული განთავისუფლებისათვის წამებულია წმინდა დღეა, ხუ ვინაობა უკიდურეს გამოთქმას, ვთქვათ, რომ მოწამეთობის მთავარი პასუხისმგებელი ჯუშმბერ პატიაშვილია, მისი დებუტატად არჩევა სახელს უტეხს ამ უმაღლეს მაგისტრატურას და წარმოადგენს ქართული ხალხის შეურაცხყოფას.

**გიორგი წერეთელი**

\*\*\*

**ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის განცხადება**

დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ჭეშმარიტება = ეს სამი ცნება, არა გვგონია, დღეს ყოველ ქართველს ძირის-ძირამდე ჰქონდეს გაცნობიერებული. რა თქმა უნდა, ადამიანი უნდა იყოს დამოუკიდებელი - აქტიური პიროვნული საწყისის შემემცნებელი თავის თავში. ამის გარეშე იგი ვერც თავისუფლებასა და ვერც ჭეშმარიტებას ვერ მიეახლება. ეს უკანასკნელი კი, როგორც იოანეს სახარება გვაუწყებს: „და სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“, -თვით არის აწმყო და მომავალი, მსოფლიო ისტორიის განვითარების პროცესში, ჭეშმარიტებისთვის თავდადებულთა შესაკრებელის წარმომჩენი იყო, არის და იქნება უთუოდ.

ყოველივე ამის გათვალისწინება, ღრმა გააზრება გვაგაღებულებს დღევანდელი საჭირბოროტო პრობლემების მთელი ქართველი ერის საკეთილდღეოდ გადაწყვეტას და არა რომელიმე „ერთი მხარის“ უბედურებაზე „მეორის“ ბედნიერების მიღწევას. ამყამად, ვითომდაც საზოგადოებრივ - პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის ადგილი აქვს განდევნილი პრეზიდენტისა და პარლამენტის მხარდამკერთა და აქტიურ მომხრეთა მასობრივ დევნას და შევიწროებას, მათი სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვასა და შელახვას. სამსახურებიდან დათხოვნები, ბინებიდან გამოსახლება, მორალური და ფიზიკური ტერორი მათ მიმართ განსაკუთრებით გახშირდა 11 ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდში და დღემდე გრძელდება. ამის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება კონკრეტული ფაქტებიც. გარდა ამისა, ქ.თბილისში და რაიონებში ასეულობით პიროვნებაა დაკავებული სხვადასხვა ბრალდებებით. მათ შორის უმრავლესობა ჰელსინკის კავშირისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრებია, არიან დებუტატებიც. ჩვენი მონაცემებით, მთელი რიგ შემთხვევებში აღინიშნებოდა (მაგ. კ.გაწერელიას მიმართ) წი-



ნასწარ განზრახული პროვოკაციების საშუალებით უკანონო ბრალდებათა წაყენება. (მათ დაცვას ქართველი ადვოკატები რატომღაც თავს არიდებენ). ჩვენი აზრით, ყოველივე ეს პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული.

ზემოაღნიშნული ფაქტების გამო და ამემად წინასწარ პატიმრობაში მყოფ პიროვნებათა ბედით, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობით ჩვენი ასოციაცია ძალზე შეშფოთებულია, რამეთუ ყოველი ქართველის სიცოცხლე, მისი კანონიერი უფლებები და მოვალეობები, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა და ბრძოლის მეთოდის მცდარობისა ან ჭეშმარიტების – სრულიად საქართველოს ერთიანობასა და ძლიერებასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის შეგნება და ბოლომდე გაცნობიერება არის და უნდა გახდეს კიდევ საფუძველი ქართველობაში მიტევებისა და ურთიერთშენდობის აღორძინების.

ჩვენი აზრით, დაკავებულ პირთა ბრალეულობის საკითხის დადგენა და გამოძიების მსვლელობის პროცესთა კანონის მიერ დაშვებულ ფარგლებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება, შესაძლებელია მხოლოდ უდანაშაულობის პრეზუმპციის დაურღვევლად, „ზვიადიზმში“ დადანაშაულებისა და ცინიზმის გარეშე. აუცილებლად უნდა იქნეს დაცული მათი, არა მხოლოდ როგორც პატიმართა, არამედ როგორც ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა უფლებები, გამომდინარე გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისი მუხლებისა და 1966 წლის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე - 10 და მე - 14 მუხლების გათვალისწინებით. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მომძლავრებული ტენდენცია მათი ჩაქოლების, საზოგადოებიდან მოკვეთისა, მხოლოდ უკურეაქციას გამოიწვევს და მოსალოდნელ სოციალურ კატაკლიზმებთან ერთად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ამეამინდელ ხელისუფლებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესობის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისა და სამოქალაქო მშვიდობის მიღწევისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ოფიცოზის მხრიდან – ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმო-



\*\*\*\*\*



მადგენელთა ერთობლივი შეკრების (სასურველია გაეწესდეს მონაწილეობით) ჩატარება, ამ მიმართულებით ყველა პრობლემატური საკითხის ირგვლივ რეალური პერსპექტივების დასახვისათვის.

ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი  
პრეს - სამსახურის მდივანი სიმონ წერეთელი

\*\*\*\*\*

**ფ რ ა ნ გ უ ლ - ქ ა რ თ უ ლ ი პ რ ე ს ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ი დ ა ნ**

უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში მეტროპოლებმა ნაბიჯი შეანდგეს აფხაზეთში: ქართველებმა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააძლიერეს ძალები, თავი შეიკავეს შეტევაზე გადასვლისაგან. „ულტიმატუმი“, გადმოსროლილი ქართველთა ჯარების მთავარსარდლის მიერ ადგილზე, არ იქნა შესრულებული.„

თბილისის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ „ულტიმატუმი“ არ ყოფილა დადასტურებული „სახელმწიფო საბჭოს“ მიერ ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

ძლიერმა დაწოლამ, რომელსაც მოსკოვი ახდენდა, უმკველად ითამაშა როლი, მიუხედავად იმისა, რომ ელ. შევარდნაძემ არ მიიღო ბ. ელცინის მოწოდება ჯარების გაყვანის შესახებ აფხაზეთიდან.

( „ ლ ე მ ი ნ დ “ 29 . 8 . )

2 სექტემბერს რუსის ჯარმა რაკეტები დაუშინა ქართულ ჯარს. შევარდნაძე მაინც ეახლა ელცინს მოსკოვში, სადაც მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ არძინბა და ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის წარმომადგენლები, თუმცა ეს ორგანიზაცია არაკონსტიტუციურადაა გამოცხადებული რუსების მიერ.

- მთელი სექტემბრის თვის განმავლობაში აფხაზეთში ადგილი აქვს რაც ნებას აძლევს არძინბას გაძლიერდეს.

- ოქტომბრის პირველ რიცხვებში კვლავ რუსის ჯარი აშკარად ერევა: მისი გამანადგურებელი ჩამოაგდებს საქართველოს ელიკოპტერს დაიღუპა ორი პილოტი.

- 6 ოქტომბერს ელცინი აცხადებს, რომ რუსეთის ჯარი არ გამოვა აფხაზეთიდან.

\*\*\*\*\*



- 7 ოქტომბერს, ა. შ. შ. საელჩომ განაცხადა თბილისში რომ ამერიკის შ. შ. მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

- საქართველოს ოფიციალური ცნობით, ორ ოქტომბერს ვაგრა-გულაუთის ფრონტზე დაიღობა ასზე მეტი ქართველი მებრძოლი, სინამდვილე კი ხუთჯერ მეტია...

- ამ ტრადიციულ დღეებში, სოხუმში ჩასულმა თავმჯდომარე ედ. შვეარდნაძემ შეთქმულებაში ბრალი დასდვა რუსეთის ფედერაციის პარლამენტს, მაგრამ არა აფხაზეთში დაბანაკებულ რუს მხედრობას, რომელმაც კიდევ ერთხელ სამაგალითოდ დასაჯა ქართველობა.

( 4 და 5 ოქტომბრის „ფიგარო“ )

- საქართველოს ხელისუფლება ბრალს სდებს რუსეთის ავიაციას, რომ მან აფხაზეთში ჩამოაგდო საქართველოს ვერტმფრენი, რომლის დროს დაიღობა ორი პილოტი. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა უარყო. შვეარდნაძემ დეკემბრით მიმართა რუსეთის პრეზიდენტს, გაეროს გენ. მდივანს, ნატოს გენ მდივანს და ევროპის უ. თ. კ. (ვაზ. „ფიგარო“ 6 X 92.)

- ბ-ნი შვეარდნაძე საჯაროდ აცხადებს, რომ რუსეთის მხედრობა აფხაზეთში აღარ ემორჩილება მის მთავრობას. იმავე დროს ის აცხადებს ორმოცათასიანი სარეზერვო ჯარის მობილიზაციას. თავმჯდომარის მოადგილე ბ. ჯაბა იოსელიანი კი თავის მხრით აცხადებს: „საქართველო ძალას გამოიყენებს, თუ რუსის ჯარი არ დაემორჩილება ჩვენს ბრძანებას!“ ( „ფიგარო“ 7 ოქტომბერი)

- ნ ა ტ ო ს გენ. მდივანმა მანფრედ ფონ ვერნერმა მტკიცედ განაცხადა, რომ მას დაუშვებლად მიაჩნია, ორგანიზაციაში აღმოსავლეთის ყოფილი ბლოკის წევრების მიღება. ამათში იგულისხმება, რა თქმა უნდა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები.

- აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში ოქტომბრის ბოლომდე დაიღუპა 389 კაცი და დაიჭრა 1356, გამოუცხადებია მოსკოვის ინფორმაციას, რაც ვაშეთს შემცირებულად მიაჩნია და თავის მხრივ დასძენს: ამ შემცირებულ მსხვერპლს ემატება დაზოცილი მშვიდობიანი მოსახლეობა, ტყვეები, ასობით გადაბუგული სახლი და ორმოცი ათასი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილი, რომლებიც ემატება ასობით სამაჩაბლოელს. („იბერია-სპექტრი“ № 54)



ქართული  
ჟურნალისტთა  
კავშირი

ძლიერი მიწისძვრა საქართველოში

24 ოქტომბერს გამთენიისას საქართველოს ჩრდილო რაიონებში მოხდა 7,5 - 8 ბალიანი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი მდებარეობდა ღუშეთის რაიონში. სამწუხაროდ არის მსხვერპლი. დაინგრა და დაზიანდა ასობით საცხოვრებელი სახლი, საზოგადოებრივი დაწესებულების ნაგებობები, ჩამოქცეულია გზები, დაიღუპა პირუტყვი. შინა თუ საგარეო ომებით განაწამებ ჩვენს ხალხს ეს აღარ ესაქიროებოდა, მთელი ჩვენი თანაგრძნობა და თანაზიარება მათ!

\*\*\*

ეგრედ წოდებულ „სამხრეთი ოსეთის“ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ოლეგ თეზიევიმა** (დაიმახსოვრეთ ეს სახელი.. გ.) განაცხადა, რომ: „სამშვიდობო ძალების ყოფნა (ე. ი. რუსეთის ჯარი, გ.) ცხინვალის რეგიონში მიზანშეწონილია „რესპუბლიკის“ სტატუსის აღიარებამდე. მანვე დააზუსტა, თუ რას ნიშნავს ეს აღიარება: სამხრეთი ოსეთი ჩრდილო ოსეთთან ერთად რუსეთის ფედერაციაში უნდა შევიდესო.

\*\*\*

– თბილისში, რუსეთის საოკუპაციო არმიის შტაბის წინ, გრძელდება საპროტესტო მიტინგები, რაზეც სარდლობამ უკმაყოფილება გამოთქვა: „ოკუპანტის სტატუსი ჩვენს არმიას თქვენს რესპუბლიკაში მოხსნილი აქვს!“. („იბერია-სპექტრი“ № 54)

\*\*\*

ედ. შევარდნაძის მონათვლა

„სომხური რადიოთი“ შევიტყვეთ, რომ დღეთ გიორგობას, ბ-ნი საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე მონათლულა და ნათლობის სახელად **გიორგი** თ წოდებულა. გულწრფელად ვულოცავთ და გვიკვირს, რომ ქართული პრესა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას არ გამოხმაურებულა.

\*\*\*

ერთი სასიხარულო ცნობა

55 ნომერ „იბერია-სპექტრი“-დან (3-9 ნოემბერი) ვგებულობთ: „მოხდა მეტად მრავალმნიშვნელოვანი ფაქტი, განდევნილი პრეზი-

\*\*\*\*\*

დენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში ჩაებნენ  
მამულისთეის ბრძოლაში“.      \*\*\*

**მ თ ა მ   შ ვ ა   თ ა გ ვ ი**  
**რუსეთის კონსტიტუციური სამსჯავრო**

რუსეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ 30 ნოემბერს გამოაცხადა მისი განაჩენი რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა სარჩელის თაობაზე. როგორც ცნობილია, 19 აგვისტოს პუტჩის შემდეგ პრეზიდენტმა ბ. ელცინმა სამი უკაზით შეწყვიტა კომპარტიის მოქმედება და კონფისკაცია მოუხდინა მთელს მის ქონებას. კომპარტიის მესვეურები ასაბუთებდნენ, რომ ეს დეკრეტები იყვნენ არაკონსტიტუციური. რის საპასუხოდაც რუსეთის მთავრობამ თავის მხრივ იჩივლა, რომ კომპარტია არასოდეს არ ყოფილა კონსტიტუციური და ვერც მასზე გავრცელდება კონსტიტუციის კანონი და დასამტკიცებლად ამისა მან სასამართლოს გადასცა უამრავი საიდუმლო დოკუმენტი.

დასავლეთში ამ ამბავმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მას ადარებდნენ ნიურენბერგის საერთაშორისო სასამართლოს და ეგონათ, რომ სასამართლო გააშიშვლებდა კომპარტიისა და მისი ფუძემდებლის ლენინის კრიმინელურ ბუნებას, ნათლად წარმოაჩენდა, რომ ლენინი იყო სტალინიზმის მამამთავარი.

სწორედ ასე ფიქრობდა ჭ-ნი ელენ კარერ დანკოსი, რომლის სტატიაც „გუშაგმა“ წინა ნომერში გამოაქვეყნა. არ გამართლდა ჭ-ნი ელენეს მოლოდინი, კონსტიტუციურმა სასამართლომ მხოლოდ კომპარტიის საჩივარს გასცა პასუხი და ისეთი პასუხი, რომ ერთ-ერთმა მოსამართლემ სამართლიანად თქვა მასზე: „განაჩენი მგლებს ისე აპურებს, რომ ცხვრები უვნებელნი რჩებიან“.

მართლაც, სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო პოლიტიუროსა და ცენტრალური კომიტეტის დაშლა, ხოლო უკანონოდ კომპარტიის ძირითადი ორგანიზაციების მოქმედების აკრძალვა. ასევე ქონება, რომელიც მათ გააჩნიათ საწევრო გადასახადების ან წარმოება - კომერციის შემოსავლიდან, უნდა დაუბრუნდეთ. კონფისკაცია კი გავრცელდება იმ თანხებზე, რასაც კომპარტია ითვისებდა სხელმწიფო ფინანსებიდან.

ამავე დროს სასამართლომ გამოაცხადა სასამართლო პროცესის საბოლოო შეწყვეტა. აქ შეგვიძლია, რომ სათაურში მოყვანილი



ფრანგული ანდაზით დავამთავროთ: „მთამ თაგვი შობაო“.

ლენინსა და მის ბოლშევიზმს საკაცობრიო ისტორიის გამოკვეთილ ანს მსჯავრს, თუმცა იგი უკვე გამოტანილია. რუსეთი კი, როგორც ჩანს, ამისათვის ჯერ მზად არ არის. პირიქით, არ არის გამორიცხული, რომ ნეო-კომუნიზმმა კვლავ იფეთქოს იქ და ისევ მოედვას ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას: „უივი ბუდემ, - უვიდემ!“ („ფიგარო“, 1.12.92)

\*\*\*

### გურამ მუჩაიძეზე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ა.წ. 15 ივლისის თარიღით, გამოქვეყნებულია ბ. გ. მუჩაიძის წერილი: „ობტიმალური გზა, როგორ ვუშველოთ საქართველოს?“. აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ ბ-ნი გ.მუჩაიძე არის ს.დ.პ. თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის სახ. საბჭოს წევრი.

„საბჭოთა კომუნისტური იმპერიის დაშლით და ბ-ნ ე.შევეარდნაძის საქართველოში დაბრუნებით ქართველ ერს რეალურად წარმოუდგა წინ თავისი ეროვნული ბრძოლის მიზანი – 1918 წ. 26 მაისს მოპოვებული დამოუკიდებლობის სრული აღდგენა. მაგრამ მიზნის ნათლად წარმოჩენა მებრძოლი ხალხისთვის საკმარისი არ არის. ასევე ნათლად უნდა გაერკვეს იგი თავისი ბრძოლის გზასა და საშუალებებში“-ო, ბრძანებს იგი შესავალშივე.

ეს აზრი მთლად ნათელი და ლოდიკური არ გახლავთ ჩემთვის, მაგრამ ამაზე დავას არ დავუწყებ განახლებულ სოც. დემ. პარტიის ლიდერს, რადგანაც ვიცი, რომ ის ჯერ კიდევ აზროვნებს მარქსისტული დიალექტიკით, რომლისთვისაც კარტეზიანული დიალექტიკა და ლოდიკა სავალდებულო არაა. დადებითად მიმაჩნია მისი სტატიიდან, რომ ის არაორაზროვნად ამბობს: „რა თქმა უნდა, ჩვენ დაპყრობილი ვართ და, აქედან გამომდინარე, გვაქვს უფლება იარაღით ხელში შევებრძოლოთ დამპყრობელს. ასეთი ომი ჩვენ კიდევაც წამოვიწყეთ 1924 წელს, მაგრამ საუბედუროდ, დავმარცხდით.

დღესაც ჩვენი და რუსეთის იმპერიული ძალები იმდენად უთანასწოროა, რომ ამ გზით თავისუფლების მოპოვება არ შეგვიძლია ბრძანებს ბ-ნი მუჩაიძე. სოციალისტი ლიდერისაგან ამ საკითხის ასე ცხადად წარმოდგენა, ჩემის მხრით, მისასალმებელია. მაგრამ გეტყვით, ბ-ნო მუჩაიძე, რომ, როცა ეროვნულ განთავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ერთი მხრიდან კი არ უნდა შევხედოთ, არამედ ყოველი

\*\*\*\*\*

მხრიდან შევამოწმოთ. მაშინ იქნება, ასეთი დისპროპორციული გამოჩენილიყო ღღევანდელ ჩვენსა და იმპერიულ ძალებს სსრკ დაიშალა. თვით რუსეთის ფედერაციაც კი ფაქტიურად დამლლია. ელცინის რუსეთი ცდილობს, რომ როგორმე კონტროლი შეინარჩუნოს ყოფილ ვრცელ იმპერიაზე და რომ ქვეყანა, როგორც **1918-1921** წლებში, სამოქალაქო ომის ქაოსში არ გაეხვიოს. ასეთ გარემოებაში, ბ-ნო მუჩაიძე, ჩვენ არ გვესაჭიროებოდა არც დიდი სამხედრო დარაზმულობა და არც ამერიკა-ევროპის სამხედრო მხარდაჭერა, საკმარისი იყო ეროვნული შემქმნელობა, ნდობით და პატივისცემით აღჭურვილი ხელმძღვანელები, მოქნილი საერთაშორისო პოლიტიკა. ჩვენ კი ღმერთმა დაგვწყევლა, ხალხის მიერ რჩეულ წინამძღოლს არ აღმოაჩნდა საკმარისი მაგნიტიზმი, ვერ აღადგრთოვანა და გაიყოლია ერის საუკეთესო სასიცოცხლო ძალები. პირიქით ერთმანეთი შევიძულეთ და ერთმანეთს დავერიეთ. შექსპირი რომ ცოცხალი იყოს, გეტყვოდათ, ბ-ნო გურამ: „აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი...“

თქვენს სტატიაში, ბ-ნო გურამ, კიდევ უფრო უმართებულო და მავნეა მტკიცება, რომ თითქოს: „საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხები ისე არიან ეკონომიურად ურთიერთგადანასკული და ინტეგრირებული, რომ მათი ერთმანეთისგან უცაბედი განცალკევება თითოეულისათვის კატასტროფას მოასწავებს. ითვალისწინებენ რა ამას, ქართველი სოციალ - დემოკრატები თვლიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ხელის ერთი მოსმით, დეკლარაციების მიღებით შეუძლებელია“. ეს მეტის - მეტია, ბ-ნო ჩემო, ეს ეროვნული დამოუკიდებლობის ოპტიმალური გზა კი არა, მისი საბოლოო ჩახერგაა. ეს გზა და მეთოდი გახლავთ ზუსტად ბ-ნ. მგორბაჩოვის პოლიტიკა აწ განსვენებული სსრ კავშირის შენარჩუნებისა. იგი თვით ცხოვრებამ დაასამარა ისე, რომ მოსკოვის პუტჩის პირველ წლისთავზე თვით გორბაჩოვიც აღარ ოცნებობს მის გაცოცხლებაზე, არამედ ლაპარაკობს დამოუკიდებელი ერების თანამშრომლობის რაიმე ახალი ფორმის გამოგონებაზე. თქვენ, ბ-ნო მუჩაიძე, ძალიან ჩამორჩენილი ჩანხართ ისტორიის მატარებლიდანაც და ნ. ყორდანიას პოლიტიკური მემკვიდრეობიდანაც. რაც შეეხება დიდი ილიას სახელის უკუღმართად გამოყენებას, ეს მართლაც რომ დიდი თავხედობაა.

ავი იყო თუ კარგი, **1991** წლის **9** აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, აღარ გავიმეორებთ იმას, რაც მოხდა მის





\*\*\*\*\*

შემდეგ დღემდე, მაგრამ, მას შემდეგ ერთ წელზე მეტად ვიცი ვიდა. მსოფლიომ იცნო ეს დამოუკიდებლობა. თვით ბორის ელცინის რუსეთის მთავრობამაც ამა წლის ივლისის დამდეგიდან იცნო ეს დამოუკიდებლობა და თქვენ – სოციალ-დემოკრატებს რა თავს-ლაფი დაგესხათ, რომ შუა ივლისში უკან მისტირით დამპყრობლის უღელს?

\*\*\*

**ზ ა ვ ი ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი ?**

მის უკანასკნელ, 18 დეკემბრის ნომერში „რუსსკაია მისლი“ განაგრძობს შენიღბულ კამპანიას საქართველოს მხედრობის დადანიშნულებისა აფხაზეთის კონფლიქტში. მას, ვითომც მიუდგომლობის მიზნით, მოაქვს ქართული წყაროებიდან მომდინარე ცნობები, მაგრამ იქვე აბათილებს მათ. მაგალითად, რუსების ვერტმფრენის ჩამოგდებაზე ნათქვამია, რომ ქართული ჯარების მთავარსარდლობა უარყოფს ამ ფაქტსო, მაგრამ იქვე გაზეთის ხელმოუწერელ (ახლა ანონიმურ მეთოდზე გადავიდა პარიზის ეს რუსული ყოველკვირეული) კორესპონდენციაში ნათქვამია: „მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა იყო, გასულ კვირაში ქართული ჯარი მუდმივად ბომბავდა რიგ სოფლებს ოჩამჩირის რაიონშიო. სოფ. ჩებერდაში ავიაციის თავდასხმის შედეგად დაინგრა საავადმყოფოო. ასევე იბომბებოდა ტყვარჩელის დასახლება, რომლის მოსახლეობა ალყაშია უკვე არაერთი თვეა. 8 დეკემბერს აქ დაიღუპა 4 მცხოვრები, სხვა 10 კაცი დაიჭრა“ და ა.შ.

ბოლოს, ამ წერილიდან ვგებულობთ, რომ 13 დეკემბერს, გუდაუთაში, საქართველოსა და აფხაზეთის მოლაპარაკებისას, ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის, ჯარების გაყვანის და როგორც აფხაზეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აფხაზეთიდან ქართული ჯარების გაყვანის შესახებ ხელშეკრულებას. მაგრამ, საქართველოს ტელეხედვამ უარყო ეს უკანასკნელი ინფორმაცია. განაცხადა, რომ საქართველოს ჯარების გამოყვანა არაა გათვალისწინებული შეთანხმებაში, არამედ მძიმე საომარი საშუალებების გამოტანაო.

ამრიგად, ალბათ ეს „შეთანხმებაც“ დარჩება „ხმად მლალად-ებლად უდაბნოსა შინა“.

\*\*\*



\*\*\*\*\*

**ზ. გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში**

25 ნოემბერს მოულოდნელად ბატონი ზვიად გამსახურდია და მასთან ერთად დევნილობაში მყოფი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი მერაბ კიკნაძე, თურქეთიდან მომავალნი, ჩაფრინდნენ ჰელსინკში, საიდანაც ისინი მალე აღმოჩნდნენ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. ყოფილ პრეზიდენტს განზრახული ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობა, მაგრამ, ჯერ გერმანიის და შემდეგ საფრანგეთის საელჩოებმა ვენაში უარი უთხრეს ვიზაზე. მალე ცნობილი გახდა, რომ ინგლისის მთავრობაც უარს ეუბნებოდა ვიზაზე და „მაშ“, ევროპის კომუნოტეტც ერთობლივად. როგორც ირატკვევა, ჩვენი სათვისტომოს გამგეობამ პარიზში, სასურველად არ მიიჩნია ამ მომენტში დევნილი პრეზიდენტის მოპატიებება.

ჩვენ მაინც ვცადეთ ბედი, 10 დეკემბერს თხოვნით მივმართეთ საფრანგეთის პრეზიდენტს, რომ მას ხელახლა გადაესინჯა ეს საქმე და მოკლე დროით, სტუმართმოყვარე საფრანგეთის კარი გაეღო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის. ჯერ-ჯერობით პასუხი არ გვაქვს. ამ ხნის განმავლობაში კი ბ. ზ. გამსახურდიამ მოულოდნელად დასტოვა ვენა და მშვიდობით დაბრუნდა მის რეზიდენციაში, გროზნოში.

**19 დეკემბერი 1992.**

**გ უ შ ა გ ი**

**ფინეთის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის  
ჯგუფის განცხადება (შემოკლებით)**

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც ამჟამად ისევ ოპოზიციის ლიდერია და განდევნილი პარლამენტის თ-რე ბ-ნი მერაბ კიკნაძე, ცოტაოდენი ხნის წინ ეწვივნენ ფინეთს, ფინეთის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის მიწვევით. ხალხის მიერ არჩეულმა ამ ორმა პოლიტიკოსმა მოახსენა ფინურ პრესასა და პოლიტიკურ წრეებს საქართველოში არსებული დღევანდელი ოპოზიციის თვალსაზრისი. ფინეთიდან ბატონები ზ. გამსახურდია და კიკნაძე აპირებდნენ გამგზავრებას გერმანიაში, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (IGFM) მიწვევით. მოულოდნელად, გერმანიის მთავრობამ უარი განაცხადა ვიზების გაცე-

\*\*\*\*\*



მაზე, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პრინციპებსა და არსებულ კანონებს. ავსტრიის მთავრობამ ნება დართო ბატონებს გამსახურდიასა და კიკნაძეს წვევოდნენ ვენას, საიდანაც ისინი აპირებდნენ გამგზავრებას ევროპის სხვა ქვეყნებში. მაგრამ, საფრანგეთის, შვეიცარიის ინგლისის, თურქეთის (ყველა ეს **CSCF** - ს წევრებია) მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება უარი თქვან ვიზების გაცემაზე ყოველგვარი ახსნე - განმარტების გარეშე. პრეზიდენტი გამსახურდია და ბ-ნი კიკნაძე უძღურნი არიან თავისუფლად გამოხატონ თავისი თვალსაზრისი და მოკლებულნი არიან საშუალებას ქვეყნიდან ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილებისა.

მშვიდობიანი ქართველი პოლიტიკოსები არ ცდილობენ მოიპოვონ პოლიტიკური რეზონანსი, ერთადერთი მათი სურვილი არის, რომ მათ მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა ხდება დღეს საქართველოში.

ფინეთის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი მიმართავს **CSCF** ყველა ქვეყნის მთავრობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომ დაეხმარონ ბატონებს გამსახურდიასა და კიკნაძეს იმოგზაურონ დაუბრკოლებლად დასავლეთის ქვეყნებში და ისარგებლონ სიტყვის თავისუფლებით. მათთვის ვიზების არგაცემა არღვევს არა მარტო ამ ორი პოლიტიკური მოღვაწის უფლებებს, არამედ საქართველოს დღევანდელი ოპოზიციის ფართო წრეების უფლებებსაც.

სისხლისმღვრელი სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერისა და არაკანონიერი ძალაუფლების ცნობის შემდეგ, ის მცირედი, რაც შეუძლიათ მოიმოქმედონ დასავლეთის მთავრობებმა, არის დენილობაში მყოფი ქართველი ლიდერების ყურის დაგდება.

ფინეთის პარლამენტის საქართველოს მეგობრობის ჯგუფი აგრეთვე მოუწოდებს ყველა მთავრობებს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ იღონონ ყველა ძალა იმისთვის, რომ ბატონები ზ. გამსახურდია და მ. კიკნაძე მშვიდობით დაბრუნდნენ ქ. გროზნოში, სადაც ისინი ამ წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ და სადაც მათ დასტოვეს მათი ოჯახები.

ჰეიკი რიიპიავი, თავმჯდომარე, აილა ნიინიმი-კეპპო, მდივანი

პოეზია  
\*\*\*\*\*



## უფლის თვალები!

მითვალთვალევენ ბავშვობიდან უფლის თვალები,  
დაცემის ნებას არ მაძლევენ, მსჯიან სასტიკად,  
ჩემს ყოველ ნაბიჯს ითვლიან, თუ რას ვეტანები,  
შემაქმნევენეს სიყვარულით ლექსთა მთაწმინდა!

გამოწოთობილებს სულიწმიდა გამოახედებს,  
აქ ჭეშმარიტი პოეზია იქმნება უფლით,  
ვერ ვიმახსოვრებ საქართველოს წმინდანთ სახელებს,  
იმდენი გვყავდა, მათი დათვლა რომ ყველას უჭირს!

რად მეშინოდა, ვერ გავიგე, უფლის თვალების,  
ისინი მუდამ მაფრთხილებდნენ, მიცავდნენ ჭირში,  
ვემალებოდი, მწვერვალზედაც მათგან ავედი,  
მიყვარდა ძლიერ, მაგრამ მაინც სულ მქონდა შიში.

ვერ ვერკვეოდი, რას ნიშნავდა ეს ორი გრძნობა,  
ასე ვფიქრობდი, ნეტავ შიში რად უნდა მქონდეს?!  
მათ დავეძებდი ყოველ კაცში, იმედი მქონდა,  
რომ ვიპოვნიდი საბოლოოდ უფალს და ცოტნეს!

ასე მეგონა მივაგენი სწორედ იმ კაცში,  
ვიხიბლებოდი ცოტა ხნით და ისევ გავრბოდი,  
ქრისტეს მძებნელი წარმართებს, რომ გიჟად მივაჩნდი,  
უკმაყოფილოც მიტომ ვიყავ მწარე აწმყოთი.

ვერ გაექცევი უფლის თვალებს, დავრწმუნდი ბოლოს,  
ვერ მოახერხებ გადამალვას, ვერც ერთ კუნჭულში,  
არ შეიბრალებს არაფრისგზით, გადაწვავს სოდომს,  
განიგმირება მისი მზერით ყველა ურჩხული!



ღვთის თვალებს გაჰყავს ჩემი ერი ბაბილონიდან,  
ჩვენ გვეღირსება სანატრელი თავისუფლება,  
მკვდრებით აღდგომის და ბრძოლის დრო უკვე მოვიდა,  
გვექნება ოქრო, სიყვარული ქართველთ უღვევად!

ვეღარ შევწყვიტე ამ თვალების ძებნა ზეცაში,  
ვხედავ ღიმილით მინათებენ ეკლიან ბილიკს,  
იქცა ქალწულად მაცხოვრის მზერით მეძავიც,  
ვინ მოსთვლის ღმერთი საიდუმლოს, ვნით ვით იტყვის?!

1013 - 85 წელი, თბილისი

ტ. ქობალია

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

პოემა უღელიდან

მარო მაყაშვილის ხსოვნას

იუნკრების საყვარელო  
მოსანგრევ და მოხალისევ,  
აი, ახლა კვდები, მაგრამ  
ქვეყნად მაინც მოხვალ ისევ.

ან მაგდენი ვაჟაკობა  
მაგ სუსტ სხეულს სიდან, როგორ,  
ასე როგორ გამოგცვალა  
ფრონტმა სიფრიფანა გოგო?

ჯერ სინორჩე თუმცა შენი  
ცოდვაა, რომ ბნელმა ცვალოს,  
მაგრამ უფრო განათდები  
მაღე, დედა გენაცვალოს!

ფრთხილად, მტერო, გვედრები  
აურია ტყვიას გეზი,  
შუბოსანი ნუ გგონია,  
არ მომიკლა ანგელოზი!..

... როგორ ცივა, როგორ ყინავს,  
თეთრობს თოვლის მთებზე რვალი,  
ბზარავს კოჯორს ოცდაერთის  
სუსხიანი თებერვალი...

ნეტავ, ღმერთო და განგებავ,  
შეაჩერა ბრძოლის ალი ...  
მაგრამ ვაი, რომ მკაცრია  
სინამდვილე საზიზღარი!..

შენ კი, ურჩო ქალბატონო,  
რომ დატოვე კერა თბილი,  
ღვთისმშობელის დაია ხარ,  
თუ ბულბული ენატკბილი?

მაშ იძინე, განგმირულო,  
გეხურება უფლის კალთა,  
საქართველოს სასახელოდ  
და იმედად მომავალთა.



...მორჩა თოვლი და სიმკაცრე  
ზამთრის შემაზრზენი ჟამის,  
ჰა, ცივ მკერდზე დაიბნო  
სტრიქონები გულმკვდარ მამის...

\*\*\*

გიგლოვს სრულად სსკპრთეული  
საუკუნეთ გაენტეზი;  
დავიწყება ლაჩრებს ფარავთ,  
არ კვდებიან რაინდები!..

\*\*\*

### ქ ა ქ უ ც ა

უგვანი განთიადი ოცდაერთის...  
თვალეზი გახსნილი გასახელად...  
თითქოს და რისხვაა მაღალ ღმერთის  
კოჯრის თავს, დარიალს, ტაბახმელას...

– მითხარით, ვინ მეტყვის, სად წავიდა  
ქაქუცას ნადირული ნაკვალევი?..  
წყალს ამღვრევს ვილაცა სათავიდან,  
წმინდანთა ილევება სამკალეზი!..

– ო, საფლავს მაინც თუ მაღირსებენ,  
შენ გვედრი უფალის სამართალო,  
სანამდე სულს ცოდვით აღვივებდე,  
თვითმყოფი მანახე საქართველო ...

\*\*\*

**ნ ი კ ო ს ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ი ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი .  
უ ქ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი ს ს ი ლ უ ე ტ ი**

დანაოკებულ ხელს უბყრია წაბლის ნერგილი,  
უძილო ღამეს დაუბუშტავს თვალის ქუთუთო,  
დაძრწის ოცნება ცის კალთაში გადანერგილი,  
მდინარის პირად დაუგდია წითელ გველს ხვითო...

ხვნეშენ ბაგებთან კურატეზი დიდი, ძლიერი,  
ღვთიური ლახტი დაფენია ზოგს ხერხემალზე,  
გონარეულმა დაუყარა ნიშა ცხენს ქერი,  
ისევე ჩაფიქრდა საბუხრესთან ღვთაების ვალზე ...





თავს საკურატეს დაჰყენია თოვლები სქელი,  
ძაღობს აპნისი, ქარია და ისევ თოვს ხშირად,  
მისნურად ხედება ხვეისბერი უკანასკნელი,  
რომ თებერვალი გადააქცევს მასაც ნახშირად.

\*\*\*

### ბ ა ლ ა დ ა მ ი ხ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ზ ე

დამშეულ ნადირივით დადიოდა,  
დამგდები დიაკვნის ანაფორის,  
თვალთაგან ცრემლები დასდიოდა,  
დასტურად ტკივილის ანაფონის...

ნაბდავდნენ ღრუბლები ახადის მთებს,  
ჩარგალსაც ნისლებში შეეცურა,  
და საქმეთ, ქაქუცას ნახაზირებს,  
არსება იმისი შეეწურა...

ვერ მიხვდა მტერს როგორ აპატიოს,  
მამულის ხიშტებით დაჩოქება,  
სასწრაფოდ თოფი და ნაბადიო,  
იქუხებს და მგლებთან დაჯოგდება!

აოცებს ალიონს შეფიცულთა  
წითლებთან ბრძოლა და გამკლავება,  
არაგვის ლოდები გარდაცვლილთა  
დათლილან საძვალე აკლამებად.

და გმირის გმირული ისტორია  
მტერთათვის საშიში, საფრთხობელა,  
დარჩებათ, ვითარცა მისტერია,  
მოხუცებს შვილებში სათხრობელად...

1990 - 1991 წლები, თბილისი

მ ი ხ ე ი ლ დ ა ნ ი შ ა შ ვ ი ლ ი



ერუსალიმის ჯვრის მონასტერში

ბერძენო ბერო,  
 გამიღე კარი!..  
 მოველ დესპანი ქართველ დაძმანის,  
 შოთას საფლავი ვიცი აქ არის,  
 გთხოვ დაუბრუნო ქართველთ ტაძარი!  
 ღმერთის მსახურო,  
 გვაკმარე შფოთვა...  
 გამომატანა ვედრება ერმა,  
 ორ ძვირფას ცხედარს— თამარს და შოთას  
 ღამე ვუთხო მე ებრაელმა!  
 გაკვირვებული შემხედა ბერმა,  
 სღუმს ტაძარივით,  
 სახე ჰკრთის წითლად...  
 მე წარმომგზავნა ქართველმა ერმა,  
 მთხოვა აეუნთო სანთლები წმინდანთ!

\*\*\*

ეს დიალოგი გრძელდება ორთა...  
 ბერო, ჩემს თხოვნას ვამბობ საჯაროდ,  
 ორ ძვირფას ცხედარს, თამარს და შოთას  
 მსურს ებრაელმა აქ ვუდარაჯო!

ერუსალიმი 1990.

\*\*\*

შ ი შ ი . . .

„მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,  
 ჩვენც ალბათ სადმე ჩავვაძაღლებენ“ -  
 ტიციან ტაბიძე

როს ვიბადებით მშობლებს აქვთ შიში,  
 ვნახავთ თუ არა მრგვალ დედამიწას...  
 ლაპარაკს ვიწყებთ ქვას გვჩრიან პირში,  
 რათ დავიბადეთ, ჩვენ ვწყველით იმ წამს!  
 – შიში თან დაგვდეგს, როგორც აჩრდილი,  
 ვიღაც სიავის, ვიღაც სიმკაცრის...



ქვეყნად არა გვაქვს მშვიდი ადგილი,  
 განწირულია დღეს ქვეყნად კაცი!  
 შიში ინსტიქტის და ემოციის,  
 შიში მომავლის, თუ რა მოგველის...  
 შიში შიმშილის, შიში გაძარცვის,  
 მარად მზაკვრული გზათ კბენა გველის.  
 შიში ვნების წინ, მარცხი ტრფობაში  
 მიწისძვრასავით შეგვაზანზარებს,  
 ჩვენ ვიღუპებით ძმათა მტრობაში,  
 შური და შუღლი ჩვენ გვირევს აზრებს.  
 ჩვენ ვიღუპებით ძმათა მტრობაში.  
 შური და შუღლი ჩვენ გვირევს აზრებს,  
 შიში გვადამბლებს,  
 შიში გვაბრმავებს.  
 შავი ფარდები თვალთ ეფინება,  
 დენის ბოდვები გველის და გადაგვრევს,  
 და იხლიჩება „მე“ - ს პიროვნება!  
 შიში ცხოვრების თანამგზავრია,  
 შიშით ისპობა კაცის ღირსება,  
 ტვინის პტოდუქტის ყალბი აზრია  
 და კაეშანით გული ივსება.  
 შიში ჩავგვრის და შიში ტკივილის  
 ლოდივით რომ დევს გაბზარულ გულში...  
 არვის აძრწუნებს სულის კივილი,  
 ამ საუკუნის შენა ხარ ბუში.  
 შიში იმიტომ, რომ ხარ მდიდარი  
 შიში ვაი, რომ ღარიბად იქცე...  
 ო, ჩვენი მხსნელი ქვეყნად არ არის  
 წიხლს ჰკრავს „მოკეთე“, ერთხელ წაიქცე!  
 ისევ შენ, ღმერთო, შიშისგან გვიხსენ,  
 ყველა ბელადი ჩაჰქოლე...დასწვი...  
 ნუ მიგვცემ ისევ ტირანის მტრულ ხელს  
 კაცის ღირსება კვლავ მაღლა ასწი!

ისაკ მეგრელიშვილი



ისევ ქაჯები

სიღბიზღეს ერთჯერ ფლიდის იერი –  
 მარადუძღები ძეც მიაძინებს;  
 როგორ აფიქრებს ქრისტესმიერი  
 ყმა გელართებს და ეჩმიაძინებს!  
 სულში გუბდება მიმართ ასპიტის  
 წყევლა: – ის ცოდვის ცეცხლზე შემოდნეს!  
 და კვამლი ენებს, – შლით რომ ცას მიდის, –  
 ფატრავენ, როგორც ტყავს საჩემოდნეს.  
 ...ო, გაზაფხულმა მაშინ აბაბთა  
 ნერგი პირველი, ხნულში ტნეული,  
 მაგრამ მომესმა: ძველთა „ღაბაბთა“  
 ისევ გასწირეს მზის გუთნეული.  
 ეს ალაზნები, მტკვრები, ივრები,  
 ცა რომ მზის საძმოს ირმებს უწველის,  
 ცრემლია სისხლში ნანებივრევი  
 ბაგეთ მშანთავის და დამმუწველის.  
 იყო... და ახლა მუხის შტოებს კი  
 აცილებს კვნესა – მთვარის ფერწილი,  
 თან ჰკივის ქარი, ვით დოსტოვესკი,  
 და სდუმს ილია ჯვარს შეძერწილი –  
 ფანტასტიური სითხე ცილდება  
 და ჯვარისწერა არის ქაჯური  
 სანამდის ხელებს არ მოსცილდება  
 მხეველის სათითე და სამაჯური.  
 და ჯერ, ვიდრემდის ნარდს და „ბაქარებს“  
 დრო აქვთ, ჰაზარტი მეტად ძველია,  
 – „მე ეს ქორწილიც ვერ გამახარებს,  
 უთხარით მაყრებს, – ნულარ მელიან“.

დავით აგმონი

1992 წ. იანვარი

I

საბჭოთა კავშირი რომ უაღრესად ათეისტური ქვეყანა იყო, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ზოგი ფაქტი მაინც გავიხსენოთ:

ჩემი სტუდენტობის დროს (1936–1941), სამედიცინო ინსტიტუტში, და კერძო პირთაგან, ტრადიციულ ოჯახებში, მოხუცთაგან, ქუთაისის ეპისკოპოს ნაზარი ლეყავას მოწამებრივი სიკვდილის შესახებ აი, რა გამიგონია: იგი, უკვე მოხუცი, და მასთან ერთად შვიდი სხვა ქართველი (მათ შორის ორი ძმა ნიკოლაძე, პროფესიით ინჟინრები), 1924 წლის აგვისტოს დიდი ეროვნული ამბოხების სისხლში ჩადშობის შემდეგ სულ მალე, სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს, თითქოს აჯანყებაში მონაწილეობის გამო. ქუთაისის ციხეში წამების შემდეგ, ისინი ვითომ გაასამართლეს და მიუსაჯეს დახვრეტა. ნაზარი წინასწარ გაპარსეს და ფეხით, ხელის ჯიკავ-ჯიკავით აიყვანეს საფიჩხიის მალღობზე და იქ თავისივე ხელით გაათხრევიანეს საერთო სამარე. მუშაობის დროს ნაზარი გალობით ლოცულობდა, მასთან ერთად სხვებიც. ჩეკისტები დასცინოდნენ: „ილოცეთ, ილოცეთ, მალე სამოთეში შეხვალთ“. ბოლოს ისინი დადლილნი და ოფლში გაწურულნი, დააყენეს სამარის პირას მწკრივად. ჯალათებმა იარაღი მოიმარჯვეს და უფროსი ოფიცრის განკარგულებას ელოდნენ. ამ დროს ნაზარი ზურგით შემობრუნდა დამსჯელთაკენ, პირით დასავლეთისკენ (შავი ზღვისკენ) და დაიწყო გალობა. მას წამსვე მიბაძეს სხვებმაც. ოფიცერმა დაიღრიალა: „შემობრუნდით პირით ჩემსკენ!“. ნაზარის პასუხი იყო: „არა! მე ვიმზირები იქეთ, საიდანაც საქართველოს ხსნას მოველი!“. კიდევ ბრძანება, — იგივე პასუხი! მგალობელ მისჯილებს სეტყვასავით დააყარეს ტყვიები ზურგში. რვა სხეული საფლავში ჩაემხო. მაგრამ, სასიკვდილოდ დაჭრილი ნაზარი და სამი სხვა ამობობდნენ ზემოთ და ძლივს ფეხზე მდგომნი, კვლავ პირით დასავლეთისკენ შემბრუნდნენ და გალობა განაგრძეს. ნაზარიმ კიდევ მოასწრო იგივე სიტყვების გამეორება: „ვიყურები იქით, საიდანაც საქართველოს ხსნას მოვე-

ლი!“. კვლავ სროლა და... საფლავი ჩაჩუმდა. ჩეკისტებმა, რომ  
 დარწმუნებულიყვნენ მისჯილების სიკვდილში, გვამებს  
 დაახალეს ტყვიები...

ეს იყო საფიჩხიას მადლობის სისხლიანი ეპიზოდი...  
 (ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ისინი, რომელთაც შეუძლიათ შე-  
 ამოწმონ ჩემი მებხიერებით ნათქვამი, შეასწორონ, დაუმატონ)

ბ.კ.

\* \* \*

II

იყო სხვა ლეეავაც! დიდი, ბობოლა კომუნისტი, პროფესიით  
 ექიმი, დამთავრებული ჭონდა ოდესის უნივერსიტეტი. 1921 წლი-  
 დან ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები დაპყრობილ საქარ-  
 თველოში. 1924 წ. ამბოხების ჩაქრობის შემდეგ მანაც „ისახელა“  
 თავი მტარვალობით. მას „ზემოდან“ უსაყვედურეს, – ნუთუ შენს  
 მშობლიურ მხარეში (რაჭა, სოფ. წკადისი: ენუქიძეებისა და ლეე-  
 ავების სოფელი, წკმ. ნიკორწმინდიდან), პროვინციაში არავინ  
 აღმოჩნდა დასახვრეტი ამბოხებაში მონაწილეობისთვის. შამშე  
 ლეეავა დაფრთხა და თავის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად  
 სახელდახელოდ მოუყარა თავი სრულიად უდანაშაულო ხალხს,  
 უბრალო გლეხებს, რომელნიც ამბოხების დროს თავიანთ სოფლე-  
 ბში მუშაობდნენ ყანაში და ამბოხების ამბავი იმ მივარდნილ  
 მთებში გაგონილიც კი არა ჰქონდათ.

რომ უფრო დასაჯერებელი ყოფილიყო მისი ერთგულება, მან  
 დააჭერინა ახალგაზრდა, წვრილშვილიანი მღვდელი თევდორე სა-  
 განელიძეც, სულ თერთმეტი კაცი და ბრძანა, როგორც „ბურჟუა  
 მენშევიკების“ მომხრეების მათი დახვრეტა. გააჭრევიან ამ თერთ-  
 მეტ კაცს საძმო სამარე. გლეხები ემუდარებოდნენ: „ბატონო, რა-  
 ტომ გვკლავ, გაგვაგებინე მაინც, – ყანაში რომ ვმუშაობდით, იმი-  
 ტომ?“. ლეეავა პასუხობდა: „ჯერ ერთი, მე ბატონი არა ვარ,  
 ბოლშევიკებმა ბატონობა მოგსპეთ!“ მერე დაუმატა: „მეორეც,  
 თქვენ დღე ყანაში მუშაობდით, ხოლო დამ-დამობით ერთად იკრი-  
 ბებოდით, ჟორდანის დაბრუნებას ნატრობდით და სულ ამაზე  
 ლაპარაკ ბდითო. ვიცით ყველაფერი, თქვენ ვერ მოგვატყუებთო“.

ლეეავას ბრალდება სულ სიცრუე იყო. გლეხები იფიცებოდ-  
 ნენ, – ღამე მკვდარივით გვეძინა შრომით დაღლილებსო, რას ბრძა-  
 ნებთო! „ჰოდა, ახლა საუკუნოდ დაიძინებთო“ – იყო ჯალათის პა-



სუხი. მღვდელი თედორე საგანელიძეც ( აკაკი წერეთლის ძეგლი, ახლდა რაქა-ლექსუმში მოგზაურობის დროს 1912 წ. გადაღებული ფილმში და ზოგ ფოტოსურათში აკაკისთან ახლოს მდგომი ), იმავე შეკითხვას აძლევდა, — რა დავაშავე, რატომ მკლავთო? — რატომ და ეკლესიაში ჟორდანიას დაბრუნებისთვის ლოცულობდი და სხვასაც რაზმავდიო. „რას ბრძანებთ, მე ქრისტეს მოციქული ვარ, ვინ არის ჟორდანიასო“... ეუბნებოდა პასუხად მღვდელი, მაგრამ, ვინ გაუგონებდა ან დაუჯერებდა!

როცა ისინი საფლავთან ჩაამწკრივეს, მღვდელმა ხმამალა ამოიგმინა: ვაიმე, წვრილო ცოლ-შვილოო, ვაი თქვე უბედურებო, რაღა გეშველებათო“. ამაზე თურმე შამშე ლეჟავას უთქვამს მისთვის: „ნუ დარღობ, შენს წვრილ-შვილს ჩვენ გავზრდით ბოლშევიკებად და ბედნიერად იცხოვრებენ. შენ კი, როგორც ქრისტეს მოციქული, პირდაპირ სამოთხეში შეხვალ, ამაზე უკეთესი რა გინდაო“. ჯარისკაცებმა უმოწყალოდ დახოცეს ის უბედური ხალხი, ლეჟავამ კი პარტიისაგან ქება დაიმსახურა. მაგრამ, 1937 წელს, „დიდი წმენდის“ დროს, თბილისში, ნაშუალამევის ორ საათზე შამშე ლეჟავას კარს მიადგნენ კ.გ.ბ.-ს აგენტები და ააბრძანეს ლოგინიდან. — ვინ ხართ, ვინ გამოგზავნათ ჩემს დასაპატიმრებლადო, — აყვირდა დამსახურებული ბოლშევიკი, რისთვის მაპატიმრებენო. — მაგას იქ გეტყვიან, ჩვენ მხოლოდ ბრძანებას ვასრულებთ: დაგაპატიმროთ! — ჩასვეს შავს ავტომობილში და გააქანეს იქით, სადაც ათასები და ათი-ათასები გაუყენეს გზას. ავტომობილში შამშე ჩეკისტებს ეკითხებოდა: ჟორდანიას ხომ არ დაბრუნდაო? — მაგასაც იქ გეტყვიანო...

შამშე ლეჟავა უგზო-უკვლოდ გაქრა. მისი ფეშენებელური სახლიდან წაიღეს არქივი, ბიბლიოთეკა და ძვირფასეულობა. ცოლ-შვილი გამოასახლეს და მათ ნაცვლად იქ ქურთის მრავალსულიანი ოჯახი შეასახლეს, ავეჯიც მათ დაუტოვეს, ხოლო შამშეს ოჯახი ჩაასახლეს იმ ქურთის ნადგომ ნახევრად ბნელ სარდაფში.

ხალხს კარგად ახსოვდა 13 წლის წინათ ლეჟავას მიერ ჩადენილი სისხლიანი დანაშაული და ნიშნის გებით ამბობდა: „ღმერთმა გადაუხადა სამაგიეროო“



\*\*\*\*\*

III

ქ ე ლ ი შ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ლ ა ვ რ ე ნ ტ ი მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი

თუ ეპისკოპოს ნაზარისა და მღვდელ საგანელიძეზე, ასევე შამშე ლევავაზე გაგონილი მაქვს, არქიმანდრიტ ლავრენტიზე ვცვები ამბავს თვითნახულს, თვით მისგან ნაამბობსა და სხვათაგან მონაყოლს. იგი დაბადებულა ცნობილ მაღალმთიან სამკურნალო კურორტ უწყერაში 1861 წელს. ქელიშის ისტორიული მონასტრის წინამძღვრად გაუმწესებიათ 1918 წელს. ქელიშის მონასტერი მდებარეობს ცნობილი ნიკორწმინდას ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, ღრმა ხეობაში, სამი კილემეტრის მოცილებით. ნიკორწმინდა აგებულია გაერთიანებული საქართველოს მეფის, ბაგრატ მესამის ბრძანებით 1009-1014 წლებში. ხალხის გადმოცემით, ქელიში უფრო ადრეა დაფუძნებული, რასაც მართლაც ძირს უმაგრებს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ფაქტიური მასალები.

ზავხულის არდადეგებს ყოველთვის მშობლიურ სოფელ ნიკორწმინდაში ვატარებდი და ზავხულს ისე არ გაუშვებდი, რომ ქელიშის თვალწარმტაცი ხეობა არ მენახა და არ დავმტკბარიყავი მისი ღირსშესანიშნაობებით, ბუნების ძეგლებითა და თვით მონასტრის შემოგარენით. ნიკორწმინდის ეკლესია და ქელიშის მონასტერი კომუნისტებმა 1928 წელს დახურეს და იქ ღვთისმსახურება აკრძალეს. არქიმანდრიტ ლავრენტის ძმები (ბერები) თანდათან ჩამოსცილდნენ და ის სრულიად მარტო დარჩა. თითონ ამუშავებდა სამონასტრო ყანებს, ეხმარებოდა გაჭირვებულებს ქერით, სიმინდით, ლობიოთი, მუხუდოთი და სხვა პროდუქტებით, საიდუმლოდ ნათლავდა ბავშვებს, სამკურნალო მცენარეებით მკურნალობდა ხალხს, განუწყვეტლივ ლოცულობდა და იყო ხშირი მასპინძელი ახლო და შორი სტუმრებისა, ტურისტებისა და არქეოლოგებისა. ის ქვეშაარტად უყვარდა ხალხს და მასაც ხალხი ჰყავდა იმედად და თანამეგობრად, მე ხშირად დამინახავს ის მდინარე შაროუკას გაღმა, პიტალო კლდის ძირას მჯდომი ვიწრო გზის პირას, თეთრი ფაფუკი წვერ-ულვაშით და ბეჭებამდე დაშვებული თმებით, როცა წისქვილში ჩამქონდა სიმინდი დასაფქვავად. თვითონ ბერის შავი ანფორით იყო მოსი-

\*\*\*\*\*

ეროვნული

გველი

ლი და თავზე ეხურა შავი ქუდი, ბერებისათვის ჩვეულებრივად გან მორცხვი ვიყავი, დიდ ხანს მასთან მისვლას ვერ ვბედავდი, მაგრამ, 1934 წლის ივლისის ერთ დღეს, როცა თხუთმეტი წლისა ვიყავი, მოკრძალებითა და მორიდებით ვეწვიე თვით მონასტერში; იგი იჯდა თავისი ორ-ოთახიანი სენაკის აივანზე და ხმამაღლა კითხულობდა სახარებას. მე ჯერ გალავნის შესასვლელთან ვიდექი და შორიდან მივესალმე: „მამაო, დილა მშვიდობისა“... მან ჩემსკენ გადმოიხედა ნათელი და კეთილი თვალებით, დახურა სახარება, გადასდო გვერდზე, წამოდგა და წამოვიდა ჩემსკენ... მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა... მობრძანდი, შვილო“... და შუა ეზოში შევხვდით ერთმანეთს. მან პირჯვარი გადამსახა, დამლოცა და შუბლზე მაკოცა. მე ხელზე ვეამბორე, რამაც ძალიან გააკვირვა: „შენ ნამდვილად არ ხარ კომსომოლაო“. იმ დღეს ბევრი ვისაუბრეთ, გამომკითხა ვინაობა. იცნობდა ჩემს ბაბუას და მის ოთხ ძმას. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ამის შემდეგ ხშირი სტუმარი ვიყავი ამ წმიდა, ფრიად განათლებული ადამიანისა და ღვთისმეტყველისა.

მან შემასწავლა ლოცვები, ხუცური ქართული, ქოროკონი (ქართული წელთაღრიცხვა), მიაშობდა მეტად საინტერესო ამბებს, რომელსაც ცალკე რვეულში ვიწერდი ხოლმე. ერთ-ერთი მისვლისას მითხრა: „შენ ღვთისაგან მოგზავნილი ანგელოზი ხარ, ჩემს გამოსაცდელად მოვლენილი, რათა უფალმა სცნოს ჩემი მისდამი ერთგული რწმენა“-ო. მან საეკლესიო წიგნებიც მათხოვა, აგრეთვე – დოკუმენტები ჩემს წინაპრებზე. ასე გავატარეთ 4 ზაფხული: 1934 - 35 - 36 - 37 წლებისა. ამ უკანასკნელი წლის შემოდგომაზე თბილისში მივიღეთ ცნობა, რომ არქიმანდრიტი ლავრენტი დააპატიმრეს როგორც „ტროცკისტი“.

თითქოს საიდუმლო პოლიციამ დაიჭირა მისი წერილი ძმის-შვილისადმი, რომელშიც ის, სხვა რამეთა შორის, სწერდა: კ ვ ლ ა ვ ა ც ა დ ვ შ ა ლ დ ე ბ ი თ ო. (ეს სიტყვები ჩემთვისაც ხშირად უთქვამს ხოლმე, გულისხმობდა რა, რომ ქრისტიანული ეკლესია კვლავ აღსდგება და აღორძინდება).

ამ შემადრწუნებელი ამბის შესახებ დადიოდა ხმები: რა მოხდა, როგორ და სხვა.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ი ხ. შ ე მ დ ე გ შ ი)  
გ ი ვ ი კ ო ბ ა ხ ი ძ ე

1921 წლის 11 - 12 თებერვალს ჩრდილოეთიდან წამოსულმა მთავრობამ ღრუბელმა წითელ ფერში გახვეულმა ჩვენი ძვირფასი სამშობლო საქართველო გადმოლახა, ვერაგულად თავს დაგვესხა, სისხლში ჩაახჩო ჩვენი ეროვნული მეობა. რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო ჩვენი სამშობლო და 25 თებერვალი არის ქართველი ერის გლოვის დღე.

მოსკოვმა შეადგინა მოღალატე ქართველებისგან საქ. მთავრობა. ჩვეის თავმჯდომარედ დანიშნა კოტე ცინცაძე და მას გვერდში ამოუყენა რუსი და სომეხი ჯალათები.

საქ. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა ამნისტია, რომ წარსულზე შურს არ იძიებდნენ. ჩვენ კარგად ვიცოდით ამ ამნისტიის ფასი და ღირებულება — დღით გამოვდიოდით ხალხში და საღამომობით თავს ვაფარებდით შეუმჩნეველ ამხანაგებში.

საქ. დაპყრობის ერთი კვირის შემდეგ მოიწვიეს ლანჩხუთში დიდი მიტინგი. ამ მიტინგზე გამოვიდა მოღალატე ფილიპე მახარაძე (მიტინგი მოეწყო ნოე ყორღანიას მოედანზე), ჩვენ კი ალყა გვჭონდა შემორტყმული შეიარაღებული კომუნისტებისაგან. მიტინგი გახსნა კოსანდილე ცინცაძემ. ტრიბუნაზე ადის ფ. მახარაძე, მთელმა დამსწრე ხალხმა უსტივნა და დაუძახა: მოღალატე მახარაძე, როგორ ბედავ ტრიბუნაზე გამოსვლასო, რუსის ჯარს შემოუძებით მოსკეთ ჩვენი მეობა, მთელი ერი შავებშია გახვეული, დიდი-პატარა, დედები ტირიან, ვინც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ძირს მოღალატე მახარაძე. ჯერ გაიყვანე რუსის ჯარი, მერე გამოდი ტრიბუნაზეო. სიტყვის თქმის ნება არ მისცეს და ვერც რეზოლუცია გამოიტანეს ასე, რომ ბოლშევიკები სახტად დარჩნენ.

შემდეგ ტრიბუნაზე გადის ჩვენი დამფუძნებელი კრების წევრი ნიკიფორე იმნაიშვილი. მას არ უშვებენ ტრიბუნაზე, მაგრამ ის ძალით გადის და შესძახებს: დღეს საქ. გლოვობს. რუსის ხიშტებით მოეპოო ერს თავისი მეობა, გაიყვანეთ რუსის ჯარი, მერე გამოდით და ილაპარაკეთ ტრიბუნაზეო. მთელი დამსწრე საზოგადოება ნიკიფორეს შეხვდა დიდი ოვაციებით და ტაშით. და ერთხმად შესძახეს = გაუმარჯოს ნოე ყორღანიას და ჩვენს ეროვნულ მთავრობასო, და შემდეგ კი შემოსძახეს ჩვენი ეროვნული ჰიმნი დიდება ჩვენსა სამშობლოს. (კოსანდილე ცინცაძე არის ძმა პარმენა ცინცა-

ძის და იულოსი. პარმენა იყო ცეკას წვერი. ისინი სამივე დახვრიტეს და პარმენას სტუდენტის შვილიც მას მიაყოლეს.)

თუ რა მოელოდა საქართველოს, ამაზე ხალხში აზრი ჭრელი იყო. ბევრი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ბოლშევიკებთან საერთო ენა გამოინახებოდა და რომ გასაბჭოება საქართველოს დაპყრობად არ გადაიქცეოდა. საერთოდ გურიაში დაპყრობის წინ ბოლშევიკების ორგანიზაციები განადგურებული იყვნენ. არ ყავდათ ხალხი მრავალ თემებში რევკომების შესადგენად და სხვა სოფლებიდან მოყავდათ. საერთოდ გურიაში არ მომხდარა ისეთი რამე, რომ ხელისუფლების რეპრესიები გამოეწვია. რასაკვირველია, იყო გამონაკლისები. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ის ხალხი, ვისაც ბოლშევიკები იცნობდნენ, როგორც შეურიგებელ მტრებს, ან ვინც დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების დევნაში.

1921 წ. 29 აპრილი წითელი პარასკევი იყო. ლანჩხუთში ბაზრობა პარასკეობით იცოდნენ. მე გავედი ბაზარში, ვინახულე ამხანაგები. შემხვდნენ ბევრი ბოლშევიკები. საღამოს გავიარე ჩემს სახლში და დამიხვდა ბათომიდან ჩამოსული ჩემი და ვერა და სიძე. შევყვეით ლაპარაკს უკვე ვახშამმა მოაღწია და შევექვეით მას, იყო ათი საათი საღამოს, რომ კარებზე არახუნებენ. გააღეს კარი, შემოვიდნენ შეიარაღებული ბოლშევიკები და მითხრეს, დატუსაღებული ხარო. რაშია საქმე? ამნისტია გამოუშვით და მატუსაღებთ - თქვა. მიპასუხეს: თქვენ არ ისვენებთ, ქუთაისში საშა გეგეჩკორს ბომბი ესროლესო. მე დამიჭირეს ღამის ათ საათზე და ქუთაისში კი ბომბი გავარდა თერთმეტ საათზე. ასე, რომ ეს ხელოვნურად მოაწყვეს, რომ ამით გამოეწვიათ რეპრესიები.

30 აპრილის დღით მიმიყვანეს ლანჩხუთის რევკომის ბინაზე. აქ დამიხვდა ყველა მოწინავე პირი დატუსაღებული. ბევრმა მისაყველურა, თუ რათ ჩაუვარდი ხელში ამათო. ამავე დღეს, ე. ი. დღე-შაბათს ჩაგვყენეს რიგში სუყველანი და ნაშუადღევის სამ საათზე გაძლიერებული დაცვით გაგვამგზავრეს ოზურგეთში, შუხუთის გზით. გავიარეთ შუხუთი. მთელი ხალხი გამოდგა ჩვენს გასამხნეველად. დაუახლოვდით შუხუთის მოედანს, სწორედ აქ ცხოვრობდა ნიკიფორე იმნაიშვილი. ის იყო ჭიშკართან, რაღაცას ასწორებდა. გავიხედე მისკენ და ბალკონზე გადმომდგარი დავინახე კირილე ნინიძე. როცა ნიკიფორემ დაგვინახა გამოიქცა ჩვენსკენ. მე

\*\*\*\*\*

ის დიდი ხნის უნახავი მყავდა, გადამკოცნა და გამაზნვევს მცველებმა ბევრი აღარ გაგვაჩერეს და გაგვიძახეს აკეთის გზით ნაგომრისაკენ (ლანჩხუთი ნაგომარი 12 კილომეტრია) სადაც საღამოს მივედით დაღლილები. აქ შეგვიყვანეს სკოლის დარბაზში. აქაც დაგვიხვდნენ ადგილობრივი დაპატიმრებული ამხანაგები.

მოვიდა თელი სოფლები, მოგვიტანეს საჭმელ-სასმელი. ჩვენი მცველი ბოლშევიკები სრულიად დაიბნენ. პირველ მაისს, დილით აღდგომა დღეს, ჩაგვაყენეს რიგში და ნასაკირალის გზით გაგვიძახეს ოზურგეთისაკენ. სადილობისას დაუახლოვდით ოზურგეთს ერთი კილომეტრით, სადაც ცნობრობდა ჩემი ბათომელი მეგობარი ბ. ჟღენტი, ფარმაცევტი. როგორც დამინახა, გამოიქცა ჩემსკენ და სულ ყველა შეგვიპატიჟა სახლში. სუფრა გაშლილი იყო და მას არაფერი არ აკლდა. ცოტა წაუქეიფეთ, ჩვენი მხლებელი ბოლშევიკებიც ცოტა შექეიფდნენ. მივედით ოზურგეთის ციხეში. აქ დაგვიხვდა მთელი გურიის მოწინავე საზოგადოება დატუსაღებული. ბევრი გადაიყვანეს სამხედრო ყაზარმებში, რადგან ციხეში აღარ იყო ადგილი, დაახლოებით ორი ათასი პატიმარი იქნებოდა, მათ შორის ბევრი მანდილოსანიც იყო. მათთან იყო აგრეთვე ერთი კარგი მღვდელი ლავრენტი წულაძეც. მეორე დღეს, ორშაბათს, მოიყვანეს ნიკიფორე იმნაიშვილიც. (ნიკიფორე იმნაიშვილი ჩეკამ დახვრიტა 1939 - ში )

ერთი კვირის შემდეგ სუ ყველანი გაანთავისუფლეს, დაგვტოვეს მხოლოდ თორმეტი პირი, რომლებიც დამოუკიდებლობის დროს იყვნენ ბოლშევიკების დაუნდობელი მტრები: ქრ. იმნაიშვილი, გრიგოლ ცინცაძე, ევგენი იმნაიშვილი, ისაკი ურუშაძე, ექვთიმე თოდრაძე (გახუჭული მღვდელი), ნ. ჭყონია, შიო ჭანტურიშვილი, სამის სახელი აღარ მახსოვს.

მოახლოვდა 26 მაისი. დიდი მგნიფესტაციები ხდებდა გარეთ. ოზურგეთის ქალაქის მოედანზე მოაწყვეს დიდი მიტინგი. მოისმის გიორგი ნაკაშიძის შესანიშნავი პატრიოტული სიტყვები, მიმართული სამშობლოს მოღალატეთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ. თუ როგორ შეხვდა ხალხი გურიაში რუსის ხიმტებზედ დაყრდნობილ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებ-





ას, ეს აშკარად ჩანდა იმ ფაქტებიდან, რასაც აღწერილი ჰქონდა მთელს გურიამში.

აპრილში ჩამოასვენეს ტაბახმელაზე მოკლული სახალხო გვარდიის ბათუმის ათასეულის უფროსი გრიგოლ კვაშალი. მთელი მაზრა მომზადებული იყო წინასწარ ამ შემთხვევისათვის — ქ. ოზურგეთის ახლო-მახლო თემების მცხოვრებნი, დელეგატები სხვა რაიონებიდან, დიდძალი ხალხი შავებში შეეგება სამშობლოსთვის თავდადებული გმირის ცხედარს. უსიტყვოდ, სამარისებური სიჩუმით მიასვენეს და დამარხეს ოზურგეთის ქალაქის მოედანზე, ეკლესიის ეზოში. საბჭოთა მთავრობამ გერავითარი ჩარევა ვერ გაბედა.

ეს იყო დიდი და ჩუმი პატივისცემა ბრძოლაში დაკარგულისადმი და პროტესტი — სამშობლოს მოღალატეთა და დამპყრობთა მიმართ! თითქმის ასევე ხდებოდა უფრო პატარა მასშტაბით ყველა რაიონებში შეხვედრა და დასფლავება სხვადასხვა ფრონტებიდან ჩამოსვენებული მხედრების.

გრიგოლ კვაშალის ჩამოსვენება და დასაფლავება მოხდა ჩემს დაჭერამდე. ლანჩხუთიდან ვიყავი მე დალეგატად ხუთი თანამებრძოლის თანხლებით-

30 მაისს, მახსოვს, ოთხშაბათი დღე იყო. ჩემთან შემოვიდა საკანში ციხის უფროსის თანაშემწე და წამიყვანა ციხის კანცელარიაში. იქ დამხვდა გიორგი მახარაძე, ჩემი მეზობელი, ბათუმის რეკომის თავმჯდომარე. მეუბნება — თავდებით უნდა გაგიყვანო. მე უპასუხე, — თქვენ ამნისტია გამოუშვით და ის უნდა დაგეცვათ-თქო. მახარაძე მეუბნება, — კაცო, მაგას თავი დაანებე, — მე შენი დები და ბიძაშვილები მემუქრებიან, ქრისტეფორეს თუ რაიმე ცუდი შეემთხვა, კარგ დღეს არ დაგაყენებთო... დამემშვიდობა მახარაძე და წავიდა. მესამე დღეს, პარასკევს დილით შემოვიდა ციხის უფროსი და ჩემი ხაბაკით წამიყვანა ოზურგეთის სამაზრო მილიციის სამმართველოში. კარების წინ დამიხვდა სამი ყოფილი ყაჩაღი, რომლებსაც დამოუკიდებლობის დროს ჩვენ ვდევდით, და მომილოცეს განთავისუფლება. შევედი მაზრის მილიციაში. უფროსმა დამსვა სკამზე და მომიყვა სხვადასხვა ამბები. შენ ძველი სოც.დემოკრატი ხარ, ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებო და

\*\*\*\*\*



გიორგი მახარაძეს თავდებით გაყავხარო. და მეუბნებოდა, რომ სად წავალ, რა მუშაობას მოვკიდებ ხელს, ჩამომართვას ამართი (ამ მილიციის უფროსის ძმა 1919 წელს გურიაში ბოლშევიკების აჯანყებისას იქნა დახვრეტილი).

რომ გამოვედი მილიციის სამმართველოდან, ის სამი ყაჩაღი შემეგება წინ: ძალიან გახარებული ვართ შენი განთავისუფლებითო და რესტორანში მიმიწვიეს სადილზე. კარგად ვხედავდი, რომ ჩემი თავდებში გამოყვანა ჩაწყობილი საქმე იყო და რაც მელოდა იმასაც ვხვდებოდი, მაგრამ არ დავიხიე.

დავსხედით სადილად. შეიქნა სადღეგრძელოებიც გარდა ერთისა, ყველამ შემაქო. ეს მესამე იყო ფილიპა მეგრელაძე, მისი დიშვილი მოკლეს ჩემს გვერდით ახალციხის ბრძოლაში. ეს მეგრელაძე არ იყო ყაჩაღი მაგრამ ჰქონდა ჩვენთან კავშირი. ქეიფისას, გამიხმო მეგრელაძემ გარეთ, ჩამიდვა გულის ჯიბეში თხუთმეტი მანეთი და მითხრა— თავს უშველეო. შებრუნდიო სუფრაზე და უთხარი, — რომ ვითომ აქ ნათესავებთან ხიბაკი გაქვს დატოვებული და ხელად მობრუნდები, ოღონდ ეტლი გიშოვონო. სწორედ ასე მოვიქეცი, — სუფრაზე ერთი ჭიქაც დაველიე და ვთხოვე იმათ, ეტლი ეშოვნათ ჩემთვის. ვითომც-და, ნატანებში ვიყავი წასასვლელი. სამი გზით შეიძლებოდა ნატანებში წასვლა: ნასაკირალით, ჯუმათით, ანდა — პირდაპირ ნატანების გზით. მკითხეს, — რომელი გზით წახვალო. მე უთხარი — ნატანებით მეთქი.

გამოვედი გარეთ და გავედი ქალაქიდან. ერთი მეგობარი მყავდა და იმას გაუარე. შემდეგ — სოფ. მშვიდობაურში ნათესავებს მივაკითხე, — ცოლი ძმებს. იმ საღამოს იქ დავრჩი, დილით კი ფეხით გავედი ნაგომარში, იქიდან აკეთის გზით გავსწიე ლანჩხუთისკენ. იქნებოდა დილის ათი საათი. მოვინდომე ტანის დაბანა, მაგრამ უკვე ალყაშემორტყმული ვიყავი, — შეცდომით ხარ გაშვებულიო. თურმე, მე რომ აღარ დავბრუნდი რესტორანში, ლანჩხუთის მისავალი ყველა გზები შეუტრავთ. და ეხლაც მიკვირს, თუ როგორ ავშორდი ამ დარაჯებს. მათ უნდოდათ, რომ გზაში მოვეკალით, იტყოდნენ: ჩვენ გავანთავისუფლეთ და ვიღაცამ გზაში მოკლაო.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)



ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე რ ე უ ლ ი  
ბ ი ზ უ ლ ი ო ტ ე ჯ ა

14 ნოემბრის გაზ. „ლე მონდიდან“ შევიტყვეთ, რომ: „მიწველ მალვილი და მისი ქალიშვილები მწუხარებით იუწყებიან ქალბატონ სალომე მალვილის გარდაცვალებას ( მალვილი გახლავთ იასონ მამულაიშვილის ფრანგული გვარი ).

დამწუხარებულ სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის კირისტულათ.

\* \* \*

ს ა ნ დ რ ო ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ი ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ალექსანდრე (სანდრო) ფანჩულიძე და ის დაიკრძალა ლევილის სამძო სასაფლაოზე 25 ნოემბერს.

განსვენებული, პირადობის მოწმობის მიხედვით დაბადებულია ქ. შორაპანში. სინამდვილეში, ის დაიბადა სოფელ ჩხარი-ეწერში, გრიგოლ რობაქიძის სოფელში, რომლის კარის მეზობელი და მგონი შორეული ნათესავიც ის იყო.



ჩხარი ეს ის თემია,

სადაც 1924 წლის აჯანყების დროს ყველაზე ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა ხელისუფლების დამსჯელ სამხედრო ნაწილებს. სულ ახალგაზრდა სანდრო ფანჩულიძე პატრიოტთა გვერდით იბრძოდა და დამარცხების შემდეგ, თავი შეაფარა, თურქეთის გზით, საფრანგეთს.

სანდრო გავიცანი ორმოცდაათიან წლებში. მას ჰქონდა პატარა რძის პროდუქტების სარეწაო. ჰყავდა უკრაინული წარმოშობის ფრანგი მეუღლე. ორივე იყო დიდი მშრომელი. სანდრო იყო ღინჯი, უღალატო, საყავესა თუ რესტორანში და ქართულ შეკრებულობაში მას გადახდას ვერავინ მოასწრებდა მასთან მაგიდაზე მჯდომი. არ მახსოვს, რომ მას ვინმესთვის ამაღ-

\*\*\*\*\*

ლებული სიტყვა ეთქვას. სანდრომ უეშმაკოდ, შრომაშია წუთისოფელი, იყო ჯანმრთელობით დაჯილდოებული, იშვიათად ავადმყოფობდა. მას ჰქონდა იმის ბედნიერებაც, რომ უკანასკნელ წლებში სამშობლოშიც იმოგზაურა. სულაც ფიქრობდა იქ გადასახლებას, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა და მისი ნეშტი ფრანგულ მიწაში განისვენებს.

საქმე ის კი არ არის, თუ სად მარხია ნეშტი, არამედ - სული. სული მისი, ეჭვი არ გვეპარება, მანათობლად ადგას საქართველოს მთა - ველს.

საუკუნო იყოს მისი ხსენება.

გ. წ.

\* \* \*

### ტაჯიკეთის ტრადედია

„ერთი კვირის შემდეგ დუშანბეს „პროკომუნისტებისაგან“ აღებიდან, ტაჯიკეთის დედაქალაქი აგრძელებდა, ხუთშაბათის 17 დეკემბერს, ცხოვრებას ტერორის ატმოსფეროში. „მთავრობის ძალები“, რომელსაც მეთაურობს რევილივისტი სისხლის-სამართლის დამნაშავე, ასრულებენ მათ დანაპირებს „ამოქლიტონ“ მოწინააღმდეგენი. ინტელიგენტები და დემოკრატიული პარტიელები იმალებიან და ცდილობენ თავს უშველონ, მაშინ, როცა ისლამისტი მეთაურები უკვე შეუერთდნენ ქვეყნის სამხრეთში სულ ცოტა 45.000 თავშეფარებულს. ამ უკანასკნელთა 50.000-ზე მეტმა, როგორც გამოაცხადეს გუშინ მოსკოვში, უკვე გადასცურა მდინარე ამუ-დარია და თავი შეაფარა ავღანეთში. ისინი ხშირად ტიკებით გადადიოდნენ და მთავრობის ძალები ვერტმფრენებიდან თუ ტანკებიდან უხსნიდნენ მათ ცეცხლს, რის შედეგადაც უთვალავი დაიღუპა. რუსის ჯარი მათ ამაში ხელს არ უშლიდა, ხოლო რუსეთის ტელევიზია უკანასკნელი კვირის განმავლობაში აცხადებს, რომ „მდგომარეობა ნორმალური ხდება“, იტყობინება „AFP“-ს კორესპონდენტი ქ. დუშანბედან.

-აზერბაიჯანი საქართველო, ტაჯიკეთი, ასეთია ჯერ-ჯერობით რიგი იმ „მომე“ რესპუბლიკების, რომლებიც რუსეთის „OMON“-მა დაარბიეს, ააწიოკეს, რათა რეალურ დამოუკიდებლობაზე ხელი აე-



ლოთ და სიტყვიერი „დამოუკიდებლობით“ დაკმაყოფილებულიყვნენ!  
ერთ თვეზე მეტია, რაც მოსკოვის დეზინფორმაციის განმარტვის  
„დემოკრატ - მუსულმან“ ტაჯიკების საშიშროებაზე და კომუნისტების  
(პრეზიდენტ ნაბიევის მომხრეთა) უშეღავათო ბრძოლებს ხელიუფლებ-  
ისათვის. დამარცხებულ პრო-კომუნისტებმა თავი შეაფარეს რუს საო-  
კუპაციო არმიის ყაზარმებს. გამოხდა დრო და ახლა კომუნისტებმა  
გაიმარჯვეს. ავღანეთიდან მიღებული ცნობებით, გაქცეულია კომუნიზ-  
მის მოწინააღმდეგე ტაჯიკთა მრავალი ათასი, გადარჩენილებმა თავს  
უშველეს სასაზღვრო მდინარის ამუდარიას გადალახვით, რომლის დრო-  
საც უამრავი დაიდრჩო. ავღანეთში თავშეფარებულებს 50 ათასამდე  
ანგარიშობენ. ამდენივე სამხრეთშია თავმოყრილი. დედაქალაქი ღუშა-  
ანბე კომუნისტების ხელშია.

ტაჯიკების შემდეგ ვინაა რიგში? (ტაჯიკეთი: ფართობი 143000 კვ.  
კმ. მოსახლეობა 4.365 ათასი 1984 წ. მონაცემებით. დედაქალაქი ღუშა-  
ნბე)

გ. ლუბაშვილი

\* \* \*

### ო ც და ხ უ თ ს ა დ ე კ ე მ ბ ე რ ს ა . . .

კიდევ ერთი წელიწადი მიიღია ჩვენი სამშობლოს წელთაღრიცხვისა, —  
— ცეცხლითა და მახვილით გადაუარა ქართლის ზეცა - წყალს „ქორო-  
ნიკონს ქრისტეს აქეთ“ 1992 - მა, — წელიწადმა სისხლიანმა, ცრემლი-  
ანმა, ღალატანმა...

სწორედ დღეის სწორს, — შობა დამეს აკვამლდა ცეცხლის პირველი ენე-  
ბი რუსთველის გამზირზე;

დღეის სწორს დაიგეგმა „მამულიშვილთა საუკეთესო ნაწილის“ მიერ  
საწვავის ჩატუმბვა მთავრობის სახლის სარდაფებში მეორეთა გამოსა-  
დევნად;

დღეის სწორს დაასაჩუქრა „ერთმორწმუნე უფროსმა ძმამ“ ერთგულნი  
„გრადის“ სისტემის სარაკეტო დანადგარებით;

დღეის სწორს შეიცვალა სასანგრე ნიჩბები „კალაშნიკოვებით“;

... დღეის სწორს გაითელა ნომენკლატურულ ფერხთ ქვეშე ათასწლიანი  
უმაღლესი ნატვრა და იმედი ქართველ კაცისა...

იმედი კი იყო. თუმცა, ვისთვის იმედი, ვისთვის კი... — „უბედურება!  
უბედურების დღედ ვთვლი მე 28 ოქტომბერს!“ — აღმოხდა მაშინ, საა-  
ხალწლო



\*\*\*\*\*

ტელენტრევიუში ცნობილ ხელოვანს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს. მისთვის და მათთვის ის დღე მართლაც რომ გლოვის დღე იყო - სახალხოდ დამარცხდა არჩევნებში კომუნისტური პარტია. დაეწეყებას ეძლეოდა იმ დღიდან ასობით ლექსი და რომანი, ფილმი და სპექტაკლი, ძეგლი და ტილო, ბალადა და ორატორია, წოდება და პრემია. და კიდევ - რამდენი რამ!

და - არ შეარჩინეს. დაიბრუნეს. ჩასვეს. გაძარცვეს. გააუბატურეს. მოჰკლეს. დასწვეს. გადახვეწეს. დაითხოვეს.

და - „აირჩიეს“: ცენტრალურები. გენერლები. მდივნები. ვადამოხდილები. „სახალხოები“. ყოფილები. დამსახურებულები.

და - დაუყენეს ცოდვის ტირილი სადარაჯოზე პატივ აყრილს ჩვენს დედა - საქართველოს. მას აქეთ...-აგერ სამას საშოცდა მეხუთე დღეა...

და მაინც - ქრისტეშობაა, ქართველო კაცო!

ახალი წელია, შენ გენაცვალე!

წამოდექ ფეხზე, ჩვენმა დალოცვილმა დედა - მიწამ რა დაგვიშავა, შიმშილით რომ სულს ვხდით, მის მთა - გორს, მის ჭალებს ყუმბარებით რად ვძიძგნით? თუ მტერმა გაიხაროს ჩვენი ზნეისა და სულის დაცემით? ან სამშობლოს ამაყ სახელს, მის ძუძუთა შვილებს განა, რას ვერჩით?

წამოვდგეთ და ავწიოთ თითო კიქა კახური ამ დალოცვილს დამეს! დღეს ხომ შობაა უფლისა ჩვენის იესოსი!

იგი დაგვაეწეყებს

იგი დაგვიფარავს

იგი დაგვარიგებს

იგივე - შეგვარიგებს. იგივე აგვაწევინებს თავებს ამაყად. ამაყად რა მეთუ ქართველები ვართ - ძენი მისნი!

გვფარავდეს მისი წმიდა სახელი. აწ და მარადის!

სანდრო თუშმალიშვილი  
პარიზი 1992. დეკემბერი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

კ რ ი ზ ი ს ი რ უ ს ე თ - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შ ო რ ი ს

სულ უკანასკნელი ცნობით (20/XII/92), გაზ. „ლე მონდ“ იტყობინება: „საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, პარასკევს 18 დეკე-



\*\*\*\*\*



მბერს, შეწყვიტოს მოლაპარაკება რუსეთის მთავრობასთან თვითნებური ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის დგომის პირობებზე მოლაპარაკების ირგვლივ. ეს ჯარი ამჟამად იმყოფება საგანგაშო მდგომარეობაში“ თბილისიდან მიღებული ცნობით: „მოკავშირეთა კონსერვატიული ძალები აფხაზ სეპარატისტებისაგან იზრებიან **AFP**

ჩვენი განცხადება. ჩვენ და ვფიქრობ, ყველა უცხოეთში მცხოვრები შეგნებული ქართველი მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის მტკიცე პოზიციას რუს იმპერიალისტებისა და აფსუა სეპარატისტების მიმართ.

სიმართლე მის მხარეზეა, საქართველო გაიმარჯვებს!

\*\*\* \*\*

გ უ შ ა გ ი ს ფ ო ნ დ ი

გრიგოლ ლომაძე	500	ლეო ჩიქოვანი	240
სანდრო მანველი	1183	ლეო ემუხვარი	200
დავით თოხაძე	1000	შაქრო ციმაკურიძე	180
ვენერა ხაბულიანი	200	ინეი გოგიშვილი	124
ნიკოლა ანთაძე	600	ქეთევან მჭედლიშვილი	170

\*\*\*\*\*

ჯ ა მ ი 4 397

გუშაგი უღრმეს მადლობას სწირავს ყველას.

\*\*\* \*\*

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხუთი წლის კარლო ჩიხრაძე (პავლე ვაშაძის ძე, ჯ შვილიშვილი) მკურნალობს გერმანიის ჭ. პერდევეს საავადმყოფოში. ის დაავადებულია ემბრიონალური აბდომიო სარკომით. საჭიროებს 50 ათას გერმანულ მარკას მკურნალობის გასაგრძელებლად მისი ანგარიშია: **KONTO № 3054400; BLZ 15051485; Payment for patient Karlo TSCHICHRADSE**

წინასწარი მადლობით, დედა: მ ა ი კ ო ვ ა შ ა ძ ე

\*\*\* \*\*

ჩვენი მადლობა

ამ შობა-ახალი წლის მოახლოებისას უამრავ მოლოცვის ბარათს ვღებულობთ მე და ჩემი ოჯახობა. არ მეგონა ამდენი მეგობარი და გულშემატკივარი თუ გვყავდა. ჩვენ ნამდვილად ახლა გვესაჭიროებო-

და გულით გამთბარი სიტყვები. უღრმესი მადლობა მეგობრებს, და  
გთხოვთ მამატიოთ, თუ ყველას ცალცალკე ვერ გაასუხობთ.

*გიორგი მამიაძე*

\*\*\*\*\*

**მ დ ვ ღ ლ ა დ ა კ უ რ თ ხ ე ვ ა**

წელს, 27 დეკემბერს, მონსენიორი **ჟ ე რ ე მ ი**, საფრანგეთის ბერძნული ეკლესიის მიტროპოლიტი და მსოფლიო პატრიარქატის ეგზარხოსი, — მღვდლად აკურთხებს წმიდბ ნინოს ქართული ეკლესიის დიაკონს არჩილ დავრიშაშვილს.

აკურთხევის ცერემონიალი შესრულდება წმიდა ეტიენის ტაძარში:  
**7, 4ue Georges Bizet Paris XVI** წირვა დაიწყება ათ საათზე

\*\*\*\*\*

**ახალ გაზეთი სამშობლოში**

სასიკადულო მამულიშვილებს, პოეტ მუხრან მაჭავარიანს, აკადემიკოს აღმოსავლეთმცოდნეს ელიზბარ ჯაველიძეს თანამოაზრეებთან ერთად დაუარსებიათ გაზეთი: „საქართველოს სამრეკლოდან“

გულით ვულოცავთ ახალ გაზეთს დაბადებას, გვჯერა, რომ ის შეძლებს თავისი ცოდნით, პროფესიონალიზმით და რაც მთავარია, უშედავითო პრინციპულობით ემსახუროს საქართველოს და სიმართლეს ჩვენს მრავაჭირნახულ სამშობლოში.

ღმერთმა ხელი მოვიმართოთ მეგობრებო! ერთგულ მეგობრად გვიგულვით საფრანგეთში.

ჩვენი მეგობრები: იონა გუნიას და მისი კალიფილი ნოელის მიღება ვატიკანში პაპა იოანე პავლე II - ს მიერ.



ი 27/36

\*\*\*\*\*



ს ა რ ჩ ე ვ ი

- 1 არჩევნების შემდეგ მოწინავე
- 11 რუსული იმპერიალიზმის ამოხეიქა  
ევროპის ერთობის სახელმწიფოთა განცხადება
- 12 ო რ ი ს ტ ა ტ ი ა გიორგი წერეთელი
- 16. სოლენიციინის ინტერვიუდან
- 17 ბილ კლონტჩი ა. შ. შ. ახალი პრეზიდენტი
- 19 შ ე მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა ალექსანდრე მანველიშვილი
- 37 სიტყვა პარიზის კონფერენციაზე მედეა თუშმალიშვილი
- 41 არჩევნების ირვლვ
- 55 პ რ ე ს ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ი დ ა ნ გიორგი წერეთელი
- 56 ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში  
ფინეთის პარლამენტის საქარ. მეგობრობის ჯგუფის განცხადება. ჰეიკი რიიპიავი
- 67 პ ო ე ზ ი ა  
უ ფ ლ ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი ტ. ქობალია
- 68 პ ო ე მ ა „უ დ ე ლ ი“ - დ ა ნ მიხეილ დანიშაშვილი
- 71 ო რ ი ლ ე ქ ს ი ისაკ მეგრელიშვილი
- 73 ი ს ე ვ ქ ა ჯ ე ბ ი დავით აგმონი
- 74 ქრონიკები ახლო წარსულიდან გივი კობახიძე
- 79 ქრისტეფორე იმნაიშვილის მოგონება
- 84 სამგლოვიარო განცხადებები  
სანდრო ფანჩულიძის გარდაცვალება
- 85 ტაჯიკეთის ტალღა გ. ლუბაშვილი
- 86 ო ც დ ა ხ უ თ ს ა დ ე კ ე მ ბ ე რ ს ა . . .
- 87 კრიზისი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში
- 88 გუშაგის ფნდ. განცხადებები.
- 89 რომის პაპმა მიიღო იონა გუნია და მისი ქალიშვილი

\*\*\*\*\*

ჩ ვ ე ნ ი რ ე დ ა ქ ც ი ა :

- მ თ. რედაქტორი გიორგი წერეთელი
- რედაქტორი სანდრო თუშმალიშვილი
- მდივანი გამ - ლი ნიკოლ-ეთერი წერეთელი



# GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE  
( POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES )*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE